CMYK



ვანო მერაბიშვილის შსს-ს მინისტრობიდან გადაყენება ერთადერთ მიზანს ემსახურება — ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილთან „საომრად“ და მის დასაჭერად ემზადება!



# საერთო გაზეთი

№30 (214) ● 4-10.VII.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## biZina ivaniSvilis

gamosvlis teqsti 1 ivlisis aqciaze, mcxeTaSi





## mereTi, adgili sadac omi jer ar damTavrebula

— დანამდვილებით ვიცით, რომ ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავს — აცხადებს კოალიციის ერთ-ერთი სახე.

თუ მართლაც დანამდვილებით იცით ეს ამბავი, რას დაატარებთ ამ ადამიანს შესაწირი ზვარაკივით ისეთ ადგილებში, სადაც ტერაქტის მოწყობა უადვილესი საქმეა?

### რეზო ჩხეიძე:

me, 86 wlis rezo CxeiZe, TiTqmis yvela regionSi kardakar davdivar da adamianebs movuwodeb, rom SiSi daZlion

### ელიზბარ ჯაველიძე:

vinc merabiSvilis premier-ministrad daniSvnas miesalma, isini saqarTvelos politikur dasulier sikvdils miesalmnen

### სანდრო ბარამიძე:

dadgeba dro, roca am qveynis mosaxleobas ecodineba, raxdeboda dRes, ise, rogorc Cven viciT, ra moxda 37-ian wlebSi

### თემურ ჭკუასელი:



bolo dros ase mexumrebian: _ momRerali xom xar da xar, mweralic yofilxar, Jurnalistic... `maliaric~ xom ar xar, biWoo?!

ISSN 2233-3983



### ამირან ამირანაშვილი:

`araCveulebrivi nacizmi~ _ aCveneT es filmi saqarTvelos da miSasgan aRaraferi darCeba!

# სს „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობის განცხადება

სს „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობა უფლებამოსილია განაცხადოს, რომ გუშინ, საღამოს 18.00 საათზე, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ბატონი ბიძინა ივანიშვილისათვის დაკისრებული ჯარიმის უზრუნველსაყოფად, საჯარო აუქციონზე გაიტანა სს „ქართუ ჯგუფის“ აქციათა 100 პროცენტი, მათ შორის სს „ბანკი ქართუს“ აქციათა სრული პაკეტი, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ამ სააქციო საზოგადოებაში ბატონი ბიძინა ივანიშვილი არ ფლობს არც ერთ ცალ აქციას (!?)




მეორე მხრივ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა საჯარო განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ იგი საქართველოში არ ფლობს არანაირ ბიზნესს. ეს დასტურდება სს „ქართუ ჯგუფის“ აქციების ახალი მფლობელების მიერ გამოგზავნილი ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულებებით, რომელთა თანახმადაც, ჯერ კიდევ ა.წ 30 აპრილს თერთმეტმა უცხოურმა კომპანიამ შეიძინა ჯგუფის აქციათა 91,74 პროცენტი; ამასთან, არც ერთი მათგანი არ ფლობს აქციათა 10 პროცენტსა და მეტს, რაც ათავისუფლებთ მათ, როგორც სს „ბანკი ქართუს“ ბენეფიციარ მფლობელებს, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეძენის ფაქტის წინასწარი შეთანხმების საკანონმდებლო ვალდებულებებისაგან და აბსოლუტურად უსაფუძვლოს ხდის ქვეყნის ცენტრალური ბანკის განცხადებას გარიგებათა ბათილობის შესახებ.

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენამდე ვერ მოაღწია უცხოეთიდან ფოსტით უკვე ორჯერ გამოგზავნილმა სადამფუძნებლო დოკუმენტაციამ, რაც სერიოზულ ეჭვებს ბადებს, რომ სპეციალურად იბლოკება ჩვენთვის ასე აუცილებელი კორესპონდენცია.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ

**გახსნილი საჯარო აუქციონი აშკარა ფარსია, რადგანაც ერთ ლოტად იყიდება სს „ქართუ ჯგუფის“ აქციათა 100 პროცენტი და მათ შორის, სს „ბანკი ქართუს“ აქციათა მთლიანი პაკეტი, რომლის შემძენსაც აუცილებლად წინასწარ უნდა ჰქონდეს საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობა, რაც მიუღწეველია ფარული აუქციონის შემთხვევაში.**

შედეგად, აუქციონზე სს „ქართუ ჯგუფის“ აქციათა პაკეტის შემძენი რომც გამოჩნდეს, გარიგება აპრიორი ბათილი იქნება და ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადავა — სწორედ ეს არის ხელისუფლების მიზანი და არა თუნდაც უკანონოდ დაკისრებული ჯარიმის თანხის ამოღება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქონების შეფასების გამოყენებული პრაქტიკაც — მხოლოდ სს „ბანკი ქართუს“ აქციის ღირებულების შეფასებას მსოფლიოს წამყვანი აუდიტორული ფირმები მინიმუმ ერთ თვეს მოანდომებდნენ. არსებული შეფასება ბადებს აგრეთვე საფუძვლიან ეჭვს, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილზე დაკისრებული ჯარიმის თანხა უბრალოდ გაორმაგებულია, რათა შემდგომ აუქციონის წესებით შეემცირებინათ ჯარიმის თანხის ოდენობამდე.

**სს „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუბრუნდეს საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოებს და შეწყვიტოს უცხოეთის მოქალაქეების კუთვნილი ქონებების ექსპროპრიაციის უკანონო პროცესი, შეაჩეროს საჯარო აუქციონი, მისცეს საშუალება დამფუძნებლებს, განახორციელონ ქონების ფლობისა და განკარგვის ლეგიტიმური უფლება.**

# vano merabiSvilis Sss-s ministrobidan gadayeneba erTaderT mizans emsaxureba _ xelisufleba biZina ivaniSvilTan `saomrad~ da mis dasaWerad emzadeba!

ყველაფერი, რასაც ეს ხელისუფლება ბოლო ხანებში აკეთებს, ერთადერთ ამოცანას ემსახურება — როგორმე შეაჩეროს ბიძინა ივანიშვილის ტრიუმფალური სვლა დასახული მიზნისკენ.

მთელი ეს ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელისუფლებამ დიდი ზარ-ზეიმით შემოგვთავაზა, მთელი ეს წინასაარჩევნო შოუები და დემოკრატიაზე ცალყბა საუბრები, ვითომ არჩევნებისთვის გაცხოველებული სამზადისი, ყველაფერი ეს თავიდან ბოლომდე ბლეფია — ხელისუფლებას სხვა საწუხარი, სხვა სატკივარი, სხვა პრობლემა არა აქვს გარდა ერთისა — რადაც არ უნდა დაუჯდეს, ნებისმიერი გზით, ნებისმიერი მეთოდებით გზიდან ჩამოიშოროს ბიძინა ივანიშვილი.

**ვანო მერაბიშვილის შსს მინისტრობიდან გადაყენება და პრემიერ-მინისტრად „დაწინაურებაც“ პირდაპირ და უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის „პრობლემას“ უკავშირდება და სხვას არაფერს.**

არ გაამართლა ივანიშვილის კომპრომატირებისთვის სპეციალურად დაქირავებული ცალკეული პოლიტიკური სუბიექტების თავდადებამ და თავგანწირვამ — ამ მცდელობამ ივანიშვილის კი არა სწორედ მათი იმიჯი შეიწირა და ბოლომდე გააკოტრა ისინი.

**ხელისუფლებას ორი გზა დარჩა — ან ბედს შეეგუოს და არჩევნებს დაელოდოს, სადაც მათ გარდაუვალი დამარცხება ელოდებათ, ან ნაცადი მეთოდებით იმოქმედოს და ივანიშვილზე გადამწყვეტი შეტევა მიიტანოს — შეთითხნოს მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, გასცეს ივანიშვილის დაპატიმრების სანქცია, რის შემდეგაც ან მართლაც დაიჭიროს იგი ან აიძულოს ქვეყნიდან წავიდეს.**

აი, ამ ძალზე რთული და სარისკო საქმის შემსრულებლად, როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილი არ გა-





ხელისუფლებამ ბევრი ხერხი სცადა ბიძინა ივანიშვილის მოსათვინიერებლად, მაგრამ ამ მცდელობებმა სათანადო შედეგები ვერ გამოიღო — ვერ გაამართლა ეკონომიკურმა სანქციებმა და ზღვარსგადასულმა ჯარიმებმა, ვერ გაამართლა ყოვლად უკანონო დაყადაღებებმა, ვერ მოხერხდა ბიძინა ივანიშვილისთვის საინფორმაციო არხების გადაკეტვა და ა.შ.

ხელისუფლებაში ვიღაც-ვიღაცები უკვე მიხვდნენ, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ეს ეკონომიკურ-ფინანსური რეპრესიები აუცილებლად ბუმერანგივით დაუბრუნდებათ უკან.

ხელისუფლება ივანიშვილის ჩასაძირად შეთითხნილი საქმეებით სინამდვილეში საკუთარი დანაშაულის დამამტკიცებელ და მამხილებელ დოკუმენტებს აგროვებს და ეს დოკუმენტები, საერთაშორისო სამართლის სივრცეში გადასული, ადრე თუ გვიან ამ ხელისუფლების გამამტყუნებელ დოკუმენტებად იქცევა.

არ იმუშავა სახელისუფლო საინფორმაციო საშუალებებით განხორციელებულმა უსაფუძვლო ბრალდებების და ცილისწამებების სამარცხვინო კამპანიამ.

მოდგებოდა, არ გამოდგებოდა მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, თუნდაც იმის გამო, რომ პოლიციაში გატარებული რეფორმა, რომლითაც ასე ამაყობს მერაბიშვილი, სწორედ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით, შეიძლება ითქვას, მისი თანაავტორობით განხორციელდა და, ამდენად, ცხადია, მერაბიშვილი ივანიშვილს დასაჭერად ვერ მიადგებოდა, რადგან ეს იქნებოდა მისი სახელის და ავტორიტეტის საბოლოო დასამარება.

ამიტომაც საჭირო გახდა ისეთი ახალი კადრის გამოძებნა ამ დავალების შესასრულებლად, რომელიც ბიძინა ივანიშვილთან მეგობრობის და პარტნიორობის „ცოდვით“ არ იქნებოდა დამძიმებული.

აი, ეს არის ამ ერთი შეხედვით უადგილო და ამოუხსნელი საკადრო ცვლილებების თავი და თავი, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი ატრიბუტი და უმნიშვნელო ნიუანსებია.

**გიორგი გამეზარდაშვილი**



## პოლიციამ სარკოზის ოფისში ჩხრეკა ჩაატარა

პოლიციამ სარკოზის ოფისში ჩხრეკა ჩაატარა. ამის შესახებ ინფორმაციას RFI ავრცელებს.

3 ივლისს პოლიციამ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის სახლსა და საადვოკატო ბიუროში ჩხრეკა ჩაატარა.

შესაძლებელია სარკოზი ბეტანკურის საქმეში ერთ-ერთი ფიგურა გახდეს. არსებობს ეჭვი, რომ სარკოზის წინასაარჩევნო კამპანია, საფრანგეთში ყველაზე მდიდარი ქალის, კოსმეტიკური კომპანია L’Oréal-ის მფლობელის - ლილიან ბეტანკურის ფინანსებით უკანონოდ იქნა ჩატარებული.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი.

# vano merabiSvilis premier-ministrad daniSvna _ dasja Tu dawinaureba

დიდი ამბავი და დიდი ხმაურია ატეხილი — ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად დანიშნესო.

რა იყო, ხალხო, ასე რამ შეგაშფოთათ და ასე რამ აგაღელვათ — ვანო მერაბიშვილი აქამდეც პრემიერ-მინისტრი „იყო", ოღონდ მის თანამდებობას სახელი ერქვა სხვა და ახლა, როგორც იქნა, ის სახელი დაარქვეს, რაც სინამდვილეში მის სტატუსს უნდა რქმეოდა — პრემიერ-მინისტრი.

ერქვას, ბატონო, ამ ჩვენს ბატონ ვანოს პრემიერ-მინისტრი, ვის რა უშავდება ამით?

ერთადერთი ვისაც დაუშავდა, ნიკა გილაურია, რომელიც ისე იბღვირებოდა მისი ჩამოლაბორანტების და მერაბიშვილის ალაბორანტების ცერემონიალზე, აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან ნაწყენი და გულნატკენია.

არა უშავს, გადავა ეს გილაური ოპოზიციაში და იქ გაიქარვებს დარდს.

ამ დანიშვნით მაინცდამაინც დიდად გახარებული არც მერაბიშვილი ჩანდა.

ჭკვიანი კაცია ვანო და იცის — ხანდახან, როცა გაწინაურებენ, სწორედ მაშინ გითხრიან სამარეს.

ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება, რატომ მიიღო სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება — ვანო მერაბიშვილისადმი განსაკუთრებული ნდობის თუ იმის გამო, რომ, როგორც ამბობენ, სააკაშვილი უკვე კარგა ხანია არ ენდობა მერაბიშვილს და ამიტომაც მისი „განიარაღება" გადაწყვიტა, რომ შსს უფრო საიმედო ვინმეს ჩააბაროს და ქართველ ხალხთან მომავალ საპარლამენტო „ბრძოლებში" თავი უფრო დაცულად იგრძნოს.

ახალი ცოცხი კარგად გვისო, ნათქვამია.

სააკაშვილს ახალი ცოცხი სჭირდება, საპროტესტო განწყობის ადამიანები კარგად რომ გაცოცხოს და თავიდან უკულმართი აზრები გამოუფერთხოს.



ამბობენ, მერაბიშვილი დიდი ხალისით არ იღებდა მონაწილეობას იმ აღმზრდელობით-სადამსჯელო ოპერაციებში, რომლებიც თავისი განსაკუთრებული სისასტიკით დაამახსოვრდა ქართველ ხალხს.

ის კი არა, იმასაც ამბობენ, რომ მერაბიშვილი ზოგჯერ უკმაყოფილების გამოხატვასაც არ ერიდებოდა სააკაშვილის ამა თუ იმ გაუმართლებელი და არაადექვატური ბრძანების გამო და თავის ჭკუაზე ცვლიდა ზემოდან მიღებულ სამოქმედო გეგმას.

აქვე იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ვანო მერაბიშვილი სააკაშვილისგან განსხვავებით, რუსული პოლიტიკური ელიტისთვის ფრიად მისაღები ფიგურაა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სააკაშვილი პრემიერად მერაბიშვილის დანიშვნით რაღაც მესიჯს უგზავნის რუსებს და მათთან ურთიერთობების აღდგენას ცდილობს.



ასეა თუ ისეა, ცხადია, რომ სააკაშვილისთვის პრემიერი ვანო ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე შსს მინისტრი ვანო, რომელსაც თვით ბიძინა ივანიშვილიც კი გარკვეული სიმპათიებით უყურებს და მისი გონიერების და წინდახედულების იმედიც აქვს.

— სწორედ ბიძინა ივანიშვილის გულის მოსაკლავად დანიშნა სააკაშვილმა მერაბიშვილი იმ პოსტზე, რომელზეც ივანიშვილი პრეტენზიას აცხადებს. ამ დანიშვნით მან სცადა „ჩორტი" ჩაეგდო ივანიშვილსა და მერაბიშვილს შორის და მათ შორის შესაძლო თანამშრომლობის შანსი გაანულაო, — ამასაც ამბობენ ვილაც-ვილაცები და არც ეს ვარაუდია მთლად უკუსაგდები — ბიძინა ივანიშვილი თუ პრემიერობისთვის იბრძოლებს, ვანო მერაბიშვილი პრე-



მიერობის შენარჩუნებას შეეცდება, ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ოქტომბრის არჩევნებში „ნაცმოძრაობა" გაიმარჯვებს.

ასე რომ, ბატონმა ვანომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ „ნაცმოძრაობა" უმრავლესობით შევიდეს პარლამენტში, თორემ შსს მინისტრობამ ხომ მოგჭამა ჭირი, ახლა პრემიერობასთან გამოთხოვებაც მოუწევს და დარჩება გალეტილი, როგორც სააკაშვილმა თქვა.

ენამ არ უყივლოს ამ სააკაშვილს, კაცო, მაგას ისეთი წინასწარმეტყველური გამოხტომები აქვს ხოლმე, კაკულიასაც კი შეშურდება.

ვანო — ქვეყნის ხერხემალი, ვანო — ქვეყნის მოურავი, ვანო — აღმშენებელი, ვანო — მეურნე, ვანო — სოფლის ქომაგი — აი, ასეთი კაცი მოევლინა აქამდე ბედკრულ საქართველოს მხსნელად და აწი რა გვიჭირს — გვეშველა და ეგაა.

ჯერჯერობით უცნობია ვინ გახდება შსს ახალი მინისტრი — ახალაია, ზღულაძე თუ შაშკინი?

არ არის გამორიცხული, არჩევანი მაინც შაშკინზე შეჩერდეს, მაგას ბავშვებთან პოლიციური მუშაობის ისეთი დიდი გამოცდილება აქვს, პირდაპირ გადმოიტანს დიდებზე და მეტი არც არაფერი დასჭირდება.

გახსოვთ, ალბათ, ჩვენს ყვითელ თუ მოყვითალო-მომწვანო პრესაში დროგამოშვებით რა სკანდალი აიწეოდა ხოლმე — „დაიჭერს თუ არა ვანო მერაბიშვილი მიხეილ სააკაშვილს" — განგაშს ტეხდნენ ჟურნალისტები, ვანო კი მრავალმნიშვნელოვნად დუმდა.

აბა, ახლა დაიჭიროს, თუ მაგარი ბიჭია...

სააკაშვილის ამ ახალი კომბინაციიდან ეს სარგებელიც აქვს — მინისტრ ვანოს შეიძლება დაეჭირა, პრემიერი ვანო ვერ დაიჭერს, მააშ!

ხმები დადის, პრემიერ ვანოს შეიძლება შსს მინისტრობაც შეუთავსონო.

თუ ეს მოხდება, მაშინ ვინ ვის გასკვანჩავს, მაგასაც ვნახავთ.

— ვანომ კორუფცია ბეჭებზე დადოო, — ბრძანა სააკაშვილმა. მართალია, ეს ბეჭებზე დადებული კორუფცია იმდენს მაინც ახერხებს, ლამის ქვეყნის ბიუჯეტი გამოხრას შიგნიდან, თუმცა ეს ამბავი საერთოდ რა გასახსენებელია, როცა ორშაბათიდან ხელისუფლება ქვეყნის განვითარების ახალ, სასწაულმოქმედ, საოცარ პროგრამას წარმოგვიდგენს, რის შემდეგაც საბოლოოდ ავშენდებით და დავმშვენდებით.

მოკლედ რომ მოვჭრათ, ცოტა ხანიც მოითმინე, ძვირფასო მკითხველო და სულ მალე გაიგებ, ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა დასჯა იყო თუ დაწინაურება?

# biZina ivaniSvilis

## gamosvlis teqsti 1 ivlisis aqciaze, mcxeTaSi



ჩემო ძმებო და დებო!

ჩემო საყვარელო ხალხო!

მოგესალმებით და მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ აქ შეკრებისთვის.

მე დღეს თქვენთან შეხვედრა გერგეტიდან დავიწყე, სტეფანწმინდასა და ფასანაურშიც ვიყავი. 14 ივლისს ფშავში ვაპირებ ასვლას, ჩარგალში - ვაჟაობაზე, დუშელებსა და თიანელებსაც ვეწვევი. ყველგან მივალ, ყველას გასაჭირს გავიზიარებ, გპირდებით!

მივესალმები სრულიად საქართველოს!

მივესალმები მცხეთა-მთიანეთს - ყაზბეგს, დუშეთს, თიანეთს, ჩვენს მოუშუშებელ ტკივილს - ახალგორს!

დღეს აქ, მცხეთაში, ამ უძველეს ქართულ მიწაზე შევიკრიბეთ, რათა მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ერთმანეთს!

მთისა და ბარის ხალხი აქ საერთო გასაჭირმა შეგვყარა - თუ დროზე არ ვუპატრონეთ, თუ დროზე არ მივხედეთ, ჩვენი სამშობლო ხელიდან გამოგვეცლება.

საქართველოს გარდა კი ჩვენ სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია!

საქართველოა ჩვენი სამშობლო, საქართველოა ჩემი სამშობლო და მის სიყვარულს ვერავინ ამიკრძალავს. მე აქ ვიცხოვრებ და ჩემი ხალხის სიყვარულში დავიხარჯები, მინდა ჩემს ხალხს ვემსახურო, გაჭირვებული ყოფა შევუმსუბუქო, და ამისათვის ყველაფერს გავიღებ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს!

ამ მიწაზე დგომა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს. აქ თავდადებით და თავგანწირვით ვერავის გააკვირვებ. აქ ნათქვამ თითოეულ სიტყვას განსაკუთრებული ძალა აქვს, რადგან არსად ისე არ იგრძნობა ჩვენი ისტორია, ჩვენი წინაპრების სულის გამოძახილი, როგორც აქ, ამ უძველეს ქალაქში - მცხეთაში!

სწორედ აქ, ამ ადგილას, არმაზის მთის ძირას, მტკვრისა და არაგვის შესართავთან დააფუძნა ფარნავაზმა ქართული სახელმწიფო.

აქ იქადაგა წმინდა ნინომ ქრისტიანობა და აქვე, არმაზში, კერპები დაამსხვრია.

აქ, ამ ქალაქში, 326 წელს მეფე მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და შემდეგ იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. სწორედ მაშინ გადაწყდა საქართველოს მომავალი განვითარების ბედი! სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის არჩევანს - გამხდარიყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი. მრავალი ისტორიული ქარტეხილის მიუხედავად, მრავალი განსაცდელის მიუხედავად, საქართველო დღესაც ამ არჩევანის ერთგული რჩება.

დღეს ჩვენ აქ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და სულიერების შუაგულში ვდგავართ.

ჯვარი და სვეტიცხოველი - ეს ორი ტაძარი ჩვენი ისტორიის არა დასაწყისს, არამედ უწყვეტობას აღნიშნავს, რადგან ეს ტაძრები ცარიელ ადგილზე არ აშენებულა, ეს ტაძრები ძველი, წარმართული სალოცავების ადგილზე და მათ მაგივრად აიგო. ჩვენ მართლაც თვალუწვდენელი ისტორია გვაქვს და ეს ისტორია, რაც არ უნდა ხშირად გაგვიმეორონ, 2003 წელს ნამდვილად არ დაწყებულა.

მცხეთა-მთიანეთი ჩვენი სამშობლოს ციხე-სიმაგრედ ქცეული კარიბჭეა. ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქსნისხევი, ყაზბეგი, დუშეთი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და ძალაა, ვაჟკაცი მოსახლეობით, რომელიც ყოველთვის იდგა სამშობლოს სადარაჯოზე, ქართველი კაცის ღირსების, კულტურისა და ტრადიციების სადარაჯოზე.

სტუმარ-მასპინძლობას, მეგობრობას, ძმადნაფიცობას, მოყვასის სიყვარულს მთაში განსაკუთრებული ფასი აქვს.

მთამ შექმნა უნიკალური ფოლკლორი, გენიალური ხალხური პოეზია. სწორედ მთაში, ალბათ ისე, როგორც არსად სხვაგან, „ნისლი ფიქრია მთებისა".

და ეს არ არის შემთხვევითი. რა თქმა უნდა, არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ მთების წიაღში დაიბადა ვაჟა-ფშაველა. და არც ის არ უნდა იყოს შემთხვევითი, და ესეც ჩვენი უბედურებაა, რომ სწორედ ვაჟამ სიღარიბეში დალია სული.

ვაჟა, რომელმაც „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი" და სხვა შედევრები დაუტოვა კაცობრიობას, ამბობს, რომ კაცისთვის ღირსებაა მთავარი, მეტიც, რომ ღირსება არა მარტო სიცოცხლეზე - სახელზე მეტიც კი არის. ნუ იქნები სახელოვანი, იყავი ღირსეული, თუნდაც შენი მეხოტბე და მაქებარი მთელი საზოგადოება დაგიპირისპირდეს. როცა საზოგადოება თუნდაც ერთი კაცის ღირსებას დაუპირისპირდება, ასეთი საზოგადოება თვითკმაყოფილ ჯოგად გადაიქცევა და, შესაბამისად, კაპიკია მისი ფასი! აი, ეს მთავარი სათქმელი გვითხრა ვაჟა-ფშაველამ.

ამ ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს ქართული სახელმწიფო და ჩვენ სწორედ ასეთ ქვეყანას ავაშენებთ! უღირსობას ღირსებას დავუპირისპირებთ! ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანის, თითოეული მოქალაქის ღირსებას დავიცავთ, გპირდებით!

აი, ამ ღირებულებების, კულტურისა და ტრადიციის ხალხს დაუპირისპირდა ეს ხელისუფლება და მისი დამარცხება მოინდომა. მაგრამ ამ ბრძოლაში თავად მარცხდება!

მე პირდაპირობა მიყვარს. არ ვამბობ, რომ ჩვენს ხელისუფლებაში ყველა უწესო ან ურიგო ადამიანია, მაგრამ არც ფაქტების შელამაზება მჩვევია. ყველამ ვიცით, რომ უწესრიგობა არც მანამდე გვაკლდა, მაგრამ ამ ხელისუფლებამ მას სისტემური სახე მისცა. ამასთან შეგუება დანაშაულია!

ჩვენ ბოლოს მოვუღებთ უწესრიგობას ჩვენს ქვეყანაში. ამის გარეშე ქართული ოცნება არ ასრულდება! თავისუფლებას კი მხოლოდ სამართლიანი კანონებისა და წესრიგის მყარ ნიადაგზე შეუძლია არსებობა, უწესრიგობასა და ქაოსში თავისუფლებას, უბრალოდ, არ დაედგომება! მე თქვენ გპირდებით, რომ ქართული ოცნება მოიპოვებს და დაამკვიდრებს სამართლიანობას, წესრიგს! თავისუფლებას!

ჩვენ ისეთ ქვეყანაზე ვოცნებობთ, სადაც საკუთარი წარსულის მიჩქმალვას კი არ ცდილობენ, არამედ პატივს მიაგებენ წინაპართა ღვაწლს. ჩვენ ისეთ ქვეყანაზე ვოცნებობთ, სადაც ადამიანის ღირსებას პატივს სცემენ, სადაც ნიჭი და შრომა დაფასებული იქნება!

ამ ხელისფულებას ეს ქვეყანა რომ ჰყვარებოდა, ამ მადლიან მხარეს შიმშილის პირას არ მიიყვანდა, სიდუხჭირეში არ ამოხდიდა სულს, ასეთ გულღია და სიცოცხლისმოყვარე ხალხს მომავლის იმედს არ მოუსპობდა, არ გაამწარებდა და მის სხვა ქვეყნად და სხვა ხალხად გადაქცევას არ განიზრახავდა!

როგორ შეიძლება მოგინდეს, რომ მცხეთა, ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქსნისხევი, ყაზბეგი, დუშეთი რამე სხვას დაამსგავსო?

მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორი, გააზრებული, თანამიმდევრული პოლიტიკით ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას და ვეღარავინ შეძლებს, უკან დაგვწიოს და შეაჩეროს საქართველოს სვლა დემოკრატიისკენ, თანამედროვე სამყაროსკენ!

დღეს, აქ, ერთმანეთს სიტყვა მივცეთ, რომ ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი უფლებებისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის! ჩვენი მომავლისთვის! დღეიდან ჩვენ ყველანი თანამებრძოლები ვართ!



მე ახლა, თქვენთან ერთად, სიმართლეს მინდა გავუსწორო თვალი. სიმართლე კი არის ჩვენი ხალხის სიღარიბე და გაჭირვება, უამრავი უდანაშაულო პატიმარი, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ოკუპირებული ტერიტორიები.

დარწმუნებული ვარ, დღეს აქ, ჩვენს შორის, წეროვანის ახალი მოსახლეებიც დგანან. ახალი იმიტომ, რომ ბედის უკუღმართობით საკუთარი სოფლებიდან აიყარნენ და თავისსავე სამშობლოში დევნილებად იქც-

ნენ. მთელ საქართველოში ყველაზე მებრძოლმა და შეუპოვარმა ხალხმა წარმოუდგენელ განსაცდელს, წარმოუდგენელ ტკივილს, წარმოუდგენელ გაჭირვებას გაუძლო, უახლოესი ადამიანები ომში დაკარგა. მათ წინაშე მინდა ქედი მოვიხარო!

მინდა მივმართო ამ ადამიანებს: საკუთარ სახლებში დაბრუნებამდე, ჩვენ ყველა პირობას შეგიქმნით, რათა სასწრაფოდ გაიმართოთ წელში! თქვენ ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა უნდა გქონდეთ! თქვენ აღარ იქნებით ხელისუფლების მოწყალებაზე დამოკიდებული, თქვენ, ღირსეული კუთხის ღირსეული შვილები, ღირსეულ ცხოვრებას, შეძლებთ! მე ამის სიტყვას გაძლევთ!

დაპირებებს ადვილად არ ვიძლევი, იმიტომ რომ სიტყვის ფასი ვიცი. ასე მიცხოვრია და ასე მიცნობენ.

დღეს ამ აქციით და სხვა მრავალათასიანი აქციებით კარგად გამოჩნდა, როგორი მხარდაჭერა აქვს „ქართულ ოცნებას“. სწორედ ამიტომ, ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა დააკნინოს ამ აქციების მნიშვნელობა, და გაუგონარ შეურაცხყოფას გვაყენებს როგორც ჩვენ, აქციის ორგანიზატორებს, ისე თქვენ, ჩვენს მხარდამჭერებს.

სააკაშვილს ისე უნდა წარმოაჩინოს, რომ ჩვენ და ჩვენი მხარდამჭერები სხვა ქვეყნიდან ვიმართებით, მეტიც, გამუდმებით იმეორებს - ივანიშვილს მხოლოდ იმიტომ უდგანან გვერდში, რომ ბევრი ფული აქვსო.

მე არა მაქვს ასეთი წარმოდგენა საკუთარ ხალხზე, მე არ ვაკადრებ ჩემს ხალხს ასეთ შეურაცხყოფას. მე ვიცი, რომ ჩემი მთავარი კაპიტალი თქვენი ნდობაა, ჩემი განვლილი ცხოვრებაა, რომლითაც არასდროს მიტრაბახია.

მე ყოველთვის ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, დავხმარებოდი ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს. ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა ყოველთვის. მაგრამ დავრწმუნდი, მხოლოდ ასეთი დახმარებით ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას საგრძნობლად ვერ შევცვლიდი.

ჩემი ქვეყნისა და ხალხის გაუსაძლის მდგომარეობას რომ ვხედავდი და ამ ხელისუფლების თავგასულობას ბოლო რომ არ უჩანდა, ამან გადამაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა.

მე ვერ მოვახდენ სასწაულს, მაგრამ ჩემს გუნდთან ერთად, თქვენთან ერთად, ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შესაძლებელია. რეალური პოლიტიკა, რეალური ნაბიჯები, ეს არის ის, რასაც გპირდებით.

ჩვენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მხოლოდ ჩვენი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით მივიღებთ. ხალხის დაუკითხავად ჩვენ არც ერთ ნაბიჯს არ გადავდგამთ!

ამ რამდენიმე თვის წინ გაიხსნა ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტი. მეზობელ სახელმწიფოებთან მოწესრიგებული ურთიერთობები როგორ შეიძლება კაცს არ უხაროდეს ან რამე ჰქონდეს ამის საწინააღმდეგო.

მაგრამ, როცა შენს ხალხს კვლავ დამცირებულს და დაბეჩავებულს ხედავ, როცა ხედავ, რომ მისთვის სასიკეთო ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა, აუცილებლად გიჩნდება კითხვა: რატომ არსად და არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ეს ხელისუფლება თავისი ხალხის ინტერესს? განა არ შეიძლებოდა ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომ ლარსის გამშვები პუნქტის ამოქმედებით მეზობელი ქვეყნისთვის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯი შენი ხალხისთვისაც გამოსადეგი ყოფილიყო? ნუთუ ძნელი იყო ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც შენს ხალხსაც წაადგებოდა და ცოტათი მაინც ამოასუნთქებდა?

ამის პასუხი ერთია - ამ ხელისუფლებას არ აინტერესებს საკუთარი მოქალაქეების ბედი. ის გადაწყვეტილებებს არ იღებს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის გადადგმული ნაბიჯებია, რომელსაც ნებისმიერ ფასად აღწევს. ეს უნდა დამთავრდეს!

ხელისუფლების ყველა ნაბიჯი, პირველ რიგში, ჩვენი მოქალაქეების თანხმობით უნდა იდგმებოდეს და მათ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ჩვენ ვიქნებით ის ხელისუფლება, რომელიც ამას შეძლებს, გპირდებით!

დღეს ერთი ადამიანი წყვეტს ყველაფერს ჩვენი ქვეყანის ყველა რეგიონში, ყველა ქალაქში, ყველა სოფელში. დღეს მხარეებს განაგებენ გუბერნატორები, რომლებიც პირადად სააკაშვილის სურვილებს ემორჩილებიან, მისი ახირებების უსიტყვო შემსრულებლები არიან.

„ქართული ოცნება“ დაამკვიდრებს თვითმმართველობას - ჩვენი მოქალაქეები თვითონ მიიღებენ გადაწყვეტილებებს საკუთარ ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში, თავად დაგეგმავენ ბიუჯეტს და თავად იქნებიან მისი განმკარგავები.

კანონით იქნება განსაზღვრული, ცენტრიდან რა თანხა გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. აღარასოდეს იქნება დამოკიდებული ამ თანხის ოდენობა და გადაცემა-არგადაცემის საკითხი რომელიმე ჩინოვნიკის ნება-სურვილზე.

თვითმმართველობის სიკეთეს ყველანი იგრძნობთ. ჩვენ ამას გპირდებით!

ერთპიროვნული მმართველობის შედეგია ის მდგომარეობა, რომელშიც ქართული სოფელი ჩავარდა. სოფლის დაკნინებასთან ერთად მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღატაკეში აღმოჩნდა, რადგან მათი უმრავლესობა მიწაზე შრომით ირჩენდა თავს. ქვეყნის სირცხვილია ის, რომ დღევნდელი ქართული სოფელი შიმშილობს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვეღარ ახერხებს თავის შენახვას და ოჯახის სარჩენად უცხოეთშია გადახვეწილი.

დუშეთში, ყაზბეგში, თიანეთში, ამ მაღალმთიან რაიონებში მთლიანად მოშლილია მეცხოველეობაცა და მიწათმოქმედებაც, მიწაზე მომუშავე გლეხი მარტოკა ვეღარ უმკლავდება თავის გასაჭირს.

საქართველოს მთიანეთის სოფლები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის კარიბჭის ფუნქციას ასრულებდნენ, დღეს იცლება იმის გამო, რომ აღარ არსებობს სკოლები, ბაგა-ბაღები და, ხშირ შემთხვევაში, სასურსათო მაღაზიებიც კი. ამ სოფლებში ეკლესია-სალოცავებიც კი ინგრევა და კაცი არ არის მიმხედავი. ეს უნდა დასრულდეს!

ჩვენ ავამოქმედებთ მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონს, რომელიც რეალურად შეუწყობს ხელს მთის სოფლების აღორძინებას და მოსახლეობის დაბრუნებას.

სოფელს ეყოლება პატრონი და ეს პატრონი მისი მოსახლეობა იქნება!

სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდება მაღალმთიანი რეგიონის მცირეკონტინგენტიანი სკოლები, ყველა სოფელში აღდგება ბაგა-ბაღები და სკოლები, რადგან მათზეა დამოკიდებული არა მარტო განათლების საკითხი, არამედ მოსახლეობის დამაგრება და ისტორიული კუთხეების დაცლისაგან გადარჩენა.

ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საწინდარია. სწორედ ამიტომ, „ქართულ ოცნებას“ დაგეგმილი აქვს, ააღორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი.

ამ გეგმის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები შეძლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების აღებას და ამით სარგებლობას; მოწესრიგდება მიწის დაკანონების საკითხები და შეიქმნება სათანადო გარანტიები; გლეხებს ხელი შეეწყობა მოსავლის აღებაში, დაბინავებაში, დასაწყობებაში, ბაზარზე გატანასა და გასაღებაში.

ჩვენ შევძლებთ ჩვენი მოსახლეობის გამოკვებას ადგილობრივი წარმოების პროდუქტით, აღარ ვიქნებით დამოკიდებული უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტზე, ბაზარში კვლავ დაბრუნდება იაფი და ამავე დროს ხარისხიანი ადგილობრივი ბოსტნეული, ხილი, ხორცი. საბოლოოდ, სოფლის განვითარება საქართველოს კეთილდღეობას ჩაუყრის საფუძველს.

ჩვენ ხელს შევუწყობთ მთისთვის დამახასიათებელი ქართული ტრადიციული დარგების აღორძინებას - ქსოვას, ქარგვას და ვიზრუნებთ ამ ტრადიციის აღდგენისათვის, შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

მთიანი საქართველოს უნიკალური ბუნება, უნიკალური ეთნოგრაფიული თავისებურებები იმის საშუალებას იძლევა, რომ ამ რეგიონის ტურისტული პოტენცია სათანადოდ გამოვიყენოთ და განვავითაროთ.

მსოფლიოში სულ უფრო ცოტა რჩება ასეთი ადგილები. ასეთი წყალი გვაქვს, ასეთი ბალახი, ასეთი მთა. ბუნებამ ჩვენ ასეთი სიმდიდრე გვარგუნა და ჩვენ ამ სიმდიდრეს გამოვიყენებთ, გპირდებით!

ჩემო ძმებო, ჩემო თანამებრძოლებო!

6 gv.













5 gv.

დღეს ჩვენს ქვეყანაში უამრავი პრობლემა დაგროვდა. აღარ დარჩა არც ერთი დარგი, არც ერთი სფერო, სასწრაფოდ გადაჭრას რომ არ მოითხოვდეს.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი დღეს საჯარო სამსახურში დასაქმებული ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობაა. ყველამ კარგად ვიცით, როგორი მძიმე პოლიტიკური წნეხის ქვეშ უწევთ მათ მუშაობა. ხელისუფლება მათ მხოლოდ პირადი ერთგულების ნიშნით აფასებს და პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებს.



სულ ახლახან, ხელისუფლების ერთმა აქტიურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თურმე საჯარო სამსახურში დასაქმებულს არ შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი. ეს განცხადება დემოკრატიულ ღირებულებებთან ისე შეუთავსებელია, დემოკრატიული ღირებულებების ისეთი იგნორირებაა, რომ ხელისუფლებას მოუწია ამ ფრაზის უარყოფა და თავად ამ სიტყვების ავტორს დემოკრატიული ღირებულებების არცოდნაშიც კი დასდო ბრალი.

დიახ, მშვენივრად იცის ხელისუფლებამ, რომ ყოვლად დაუშვებელია საჯარო მოსამსახურის პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება, თუმცა ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე თავად სჩადის.

ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდან გავათავისუფლებთ საჯარო სამსახურს პოლიტიკური წნეხისაგან. საჯარო მოხელის დასაქმება და გათავისუფლება აღარ იქნება ვინმეს ნება-სურვილზე დამოკიდებული, მათ მხოლოდ პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება მოეთხოვებათ.

ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ შეწყდება პოლიტიკური ანგარიშსწორება, არ დაიწყება წინა ხელისუფლების მომხრეების და სახელისუფლებო სტრუქტურებში ნამსახურები ადამიანების დევნა. მე პირდაპირ და გადაჭრით ვიტყვი: ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

ჩვენ ყველანი დიდი იმედით შევყურებდით პოლიციის რეფორმას. ჩვენს თვალწინ პოლიციაში მუშაობა პრესტიჟული და საამაყო გახდა, ქუჩებში ვხვდებოდით თავაზიანი ღიმილითა და სიტყვა-პასუხით ერთმანეთზე უკეთეს ახალგაზრდებს, ჩვენს ძმებს, ჩვენს შვილებს.

ხომ უნდა მოეხერხებინა ხელისუფლებას, რომ ეს შემართება, ეს იმედი და ამხელა ნდობა გაეცამტვერებინა. დღეს ჩვენ მივიღეთ სტრუქტურა, რომელიც ხელისუფლების ერთი მცირე ჯგუფის ძალადობას განიცდის და მათი უკანონო ბრძანების შემსრულებელია. სამწუხაროდ, ჩვენ ყველანი გავხდით იმის მოწმე, რომ ეს სტრუქტურა არა ერთხელ განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა საკუთარ თანამოქალაქეებს.

მაგრამ მე მჯერა და ვიცი, რომ პოლიციელების აბსოლუტური უმრავლესობა ღირსეული ადამიანია. მათ უკანონობა არ ჩაუდენიათ, ბევრ მათგანს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად სხვისი სიცოცხლე გადაურჩენია. ისინი საკუთარ სამშობლოსა და ხალხს ემსახურებიან.



ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ არასაიმედოობის გამო პოლიციის 200-მდე თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს.

მე ვპირდები ჩვენს პოლიციელებს, განსაკუთრებით მათ, ვინც პოლიტიკური ნიშნით დაითხოვეს: ჩვენი გამარჯვების შემდეგ ისინი აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ სამსახურს; პოლიციელის საიმედოობა აღარასოდეს განისაზღვრება ერთი რომელიმე ჯგუფის ერთგულებით, მათ აღარავინ დაავალებს უკანონო ბრძანებების შესრულებას. პოლიცია კვლავ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩადგება და ამით დაიბრუნებს ნდობასა და პატივისცემას! ამის სიტყვას მე გაძლევთ!

დღეს პროკურატურაც და სასამართლოც ხელისუფლების რეპრესიული მანქანის ნაწილია. პროკურატურა მმართველი ჯგუფის დაკვეთის შემსრულებელია, ხოლო სასამართლო პროკურატურის დანამატად არის ქცეული.

ჩვენ გავათავისუფლებთ პოლიტიკური დაკვეთების შესრულებისგან პროკურატურასაც და სასამართლოსაც და ამით ქვეყანაში სამართლიანობას დავამკვიდრებთ. ამის პირობას მე გაძლევთ!

ჩვენ შევქმნით სამართლიან სახელმწიფოს, რომლის მთავარი ღირებულება ადამიანი იქნება!



არავისთვისაა უცხო, რომ დღეს ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარული პირობებიც არ არსებობს, ისინი სახელმწიფოსაგან მიტოვებული არიან.

უამრავი ჩვენი თანამოქალაქე გაღატაკდა და უსახლკაროდ დარჩა მკურნალობისთვის გაწეული კატასტროფული ხარჯების გამო. ასეთი ადამიანების რიცხვი სულ უფრო იზრდება, 21-ე საუკუნეში ადამიანები უექიმობისა და უწამლობის გამო იღუპებიან. ჩვენში წამლის ფასი ევროპულს უტოლდება და ხშირად აღემატება კიდეც მას, თუმცა წამლების უმეტესობა სრულიად უხარისხოა და განკურნებისთვის გამოუსადეგარი. ამის გამო ჩვენი მოსახლეობა სასოწარკვეთაშია ჩავარდნილი.

ჩვენ გპირდებით, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი გახდება.

სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას და იზრუნებს საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე!

„ქართულ ოცნებას" უკვე შემუშავებული აქვს ჯანდაცვის კანონპროექტი, რომელშიც ზედმიწევნითაა განსაზღვრული და ასახული ყველაფერი, რასაც ჩვენ წინასაარჩევნოდ ვპირდებით მოსახლეობას. თუ ხელისუფლება აცხადებს, რომ ყოველ მეორე



მოქალაქეს ექნება სამედიცინო დაზღვევა, და ჩვენ კარგად ვიცით მათი დაპირების ფასი, ჩვენი დევიზია უფასო ჯანდაცვა ყველას! ჩვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა მაცხოვრებელს ექნება სამედიცინო დაზღვევის უფრო ყოვლისმომცველი პაკეტი, ვიდრე ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული.

და ეს ყველაფერი არის დეტალურად დაანგარიშებული, კარგად გათვლილი და გააზრებული.

ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს, პენსია არანაკლები იქნება, ვიდრე საარსებო მინიმუმია. თავად საარსებო მინიმუმის ოდენობაც გადაიხედება, შეიცვლება და რეალურ ციფრს მიუახლოვდება.

ასეთია ჩვენი განაცხადი და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამაში ყველანი დარწმუნდებით, როდესაც ბლოკი „ივანიშვილი-ქართული ოცნება" გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში და მოვა ხელისუფლებაში.

ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!

საზოგადოება ღელავს, ხალხი შეშფოთებულია იმ უკანონო მოქმედებების გამო, რომელსაც სააკაშვილი და მისი უსიტყვოდ მორჩილი სტრუქტურები ახორციელებენ პირადად ჩემსა და ჩემი გუნდის მიმართ.

სააკაშვილს ამ საქმეში ჩართული ჰყავს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, მათ შორის სასამართლოც, და აიძულებს მათ უკანონო, საღ აზრს მოკლებული, უგუნური გადაწყვეტილებების მიღებას.

სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხალხი აღშფოთებამ ქუჩაში გამოიყვანოს, მაგრამ ჩვენ არ ავყვებით მას, ჩვენ დაწყებულ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ და არჩევნებით გავიმარჯვებთ!

ჩვენ არ გადავუხვევთ ამ გზას, კანონიერების გზას და მთელ მსოფლიოს დავანახებთ, რომ ცივილიზებული ერი ვართ, რომლისთვისაც დემოკრატიული ღირებულებები თავსმოხვეული კი არ არის, არამედ მისი მოთხოვნილებაა.

ხალხო, არ არსებობს წინააღმდეგობა, რომელიც მე შემაჩერებს, ჩვენ შეგვაჩერებს! რადგან ერთად ვართ, ჩვენ ვერავინ გვაჯობებს. არაფერი გამოუვათ, სიტყვას გაძლევთ! მე სიტყვის გატეხა არ მჩვევია!

27 მაისს ჩვენ თბილისით დავიწყეთ. პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო! შეუძლებელია პროცესების შეჩერება, მით უფრო, ამ პროცესების შემობრუნება. ხელისუფლებამ რაც არ უნდა დაგეგმოს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს, ეს ბრძოლა აუცილებლად ბოლომდე მივა და ჩვენი გამარჯვებით დასრულდება!

ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ და ერთად დგომით აუცილებლად მივაღწევთ წარმატებებს! მე გპირდებით, რომ ამ ბრძოლაში ბოლომდე ვიდგები თქვენ გვერდით, ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიდგებით, ვიდგებით გამარჯვებამდე!

ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!

*გვესაუბრება ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი* ***სანდრო ბარამიძე***

**— ბატონო სანდრო, იმ ფონზე, რაც ბოლო პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ივანიშვილის მიმართ ხორციელდება, რა სამართლებრივ მოცემულობაში ვცხოვრობთ?**

— სამართლებრივი მოცემულობა ასეთია — ხელისუფლება უბრალოდ სამართლის სფეროდან გავიდა, არავითარი კანონი, სამართლის პრინციპები უკვე საერთოდ, აღარ არსებობს. თუკი რამე სამართლის პრინციპი არსებობს ყველაზე ფუძემდებლური, ყველაფერი ირყვნება, ილახება. მხედველობაში მაქვს შემდეგი: მაგალითად, ადამიანს აჯარიმებენ ასტრონომიული თანხით — 75 მილიონი ლარით. ალბათ, ვინმე იფიქრებს, რომ პროცედურული გარანტიები, რაც შეიძლება ესოდენ მძიმე ბრალდებებში დადანაშაულებულ პირს ჰქონდეს, ეს ყველაფერი დაცულია. არავითარ შემთხვევაში, არაფერი არაა დაცული. ბბატონი ბიძინას ადვოკატებს სასამართლოს უწყება საღამოს ცხრის ნახევარზე ჩაგვაბარეს, მეორე დილით სასამართლო პროცესი იყო დანიშნული. როგორ წარმოგიდგენიათ ღამის საათებში ადამიანმა დაახლოებით 500 გვერდი მასალა და 4 კომპაქტ-დისკი მრავალრიცხოვანი ფაილებით ჯეროვნად შეისწავლოს?! ან როგორ შეიძლება ჭკუათმყოფელმა ადამიანმა ივარაუდოს, რომ ღამის საათებში რაიმე მტკიცებულებებს შევაგროვებდით წარდგენილი ბრალდებების გასაქარწყლებლად?! ან იქნებ ვინმე, ჰგონია, რომ ბრალდებები საკმარისად ზუსტადაა ფორმულირებული ისე, რომ პირი გაერკვევა, რაში ადანაშაულებენ?! — არავითარ შემთხვევაში. კონტროლის პალატის მიერ წარდგენილი სამართალდარღვევის ოქმები, ესაა ერთ ფურცელზე კონკრეტულ გრაფაში გაკრული ხელით ასიოდე ჩაწერილი სიტყვა — ეს არის ბრალდების არსი? ეს უბრალოდ აღარ არის სამართლებრივი სივრცე. ეს არის ყველაფერი სამართლებრივი სივრცის გარდა.

**— რაც შეეხება სხვა პოლიტიკური პარტიების დაჯარიმებას, ამ სიაში „ნაციონალური მოძრაობაც“ მოხვდა, მაგრამ რამდენად ლოგიკურია ის, რომ ჯარიმების თანხები კოლოსალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რა პრინციპს ეფუძნება ეს?**

— ეს იზომება შემდეგნაირად — ესაა ორმაგი სტანდარტები, კანონის არაერთგვაროვანი გამოყენება — ვიღაცისთვის ნაკლებად მკაცრი სანქციებია გათვალისწინებული, ვიღაცისთვის ზედმეტად მკაცრი. ეს არის რეალურად შერჩევითი მართლმსაჯულება, რომელიც ექვემდებარება არაპროპორციულად დისკრიმინაციულ მოპყრობას. ეს ყველაფერი იზომება იმით, რომ ვიღაცას მე არ მოვწონვარ და სხვა უფრო მოსწონს. აქედან გამომდინარე, რაც მას ეპატიება, არ მეპატიება მე. ორმაგი სტანდარტი ფუძემდებლური დარღვევაა, რომელსაც კანონის წინაშე თანასწორობის პრიციპის დარღვევა ეწოდება. კანონის წინაშე პასუხი ან ყველამ ერთად უნდა ვაგოთ, ან თუ მარტო მე ვაგებ — მაშინ ამას დისკრიმინაცია ჰქვია.

**— ამ სასამართლოში აშკარაა რომ სამართლიანი, კანონიერი გადაწყვეტილებების გამოტანას ვერ ვაღწევთ, თუმცა, თქვენ განაცხადეთ, რომ ეს საჭიროა იმისათვის, რომ დაფიქსირდეს ფაქტები, საერთაშორისო ტრიბუნალიც აუცილებლად მხარს დაგვიჭერსო, მაგრამ იქამდე ხომ აქ უნდა გავიაროთ გარკვეული ინსტანციები, რასაც საკმაო დრო სჭირდება?**



## dadgeba dro, roca am qveynis mosaxleobas ecodineba, raxdeboda dRes, ise rogorc Cven viciT, ra moxda 37-ian wlebSi

— იცით რა, მთელი ეს პროცედურა რაც არ უნდა ფორმალური იყოს, ვალდებული ხარ გაიარო. თუ შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არ ამოწურე, ვერცერთ საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის სტრუქტურაში ვერ წახვალ მეორეც, თუნდაც არ არსებობდეს საერთაშორისო ინსტიტუტები, საკუთარმა მოსახლეობამ ხომ უნდა იცოდეს რეალურად რა ხდება, მათ ხომ უნდა დაანახო, რომ რისი თქმაც შეგეძლო სასამართლოში, ყველაფერი თქვი, მაგრამ მათ ყურად არ იღეს. მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი კიდევ ესაა, რაც ერთ-ერთმა ინგლისელმა მოსამართლემ მე-20 საუკუნის დასაწყისში თქვა — მართლმსაჯულება არა მარტო უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა დაინახონ, რომ ის განხორციელდა. ანუ, რიგითი მოქალაქე, ვინც ამას აკვირდება, უნდა დარწმუნდეს, რომ მართლმსაჯულება განხორციელდა და იგი ფარსი, კომედია, პაროდია არ იყო. ყველა ადამიანს აქვს სამართლიანობის განცდა, ეს თანდაყოლილი გრძნობაა. სხვა საკითხია, რომ ადამიანი ამას გარკვეული მოსაზრებების — სინდისის უქონლობის გამო, იგნორირებას უწევდეს. მაგრამ, რა არის სწორი და არასწორი — ეს ყველამ იცის. ამიტომ ყველას უნდა დაანახო — რაც შენ გააკეთე, სწორი და სამართლიანი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შთამომავლობის, ისტორიის წინაშე ვართ ვალდებულნი. დადგება დრო, როცა ამ ქვეყნის მოსახლეობას ეცოდინება, რა ხდებოდა დღეს, ისე, როგორც ჩვენ, დღეს ვიცით, რა ხდებოდა 20-30-იან და ა.შ. წლებში. დღევანდელმა მანტიებში გამოწყობილმა მოსამართლეების პაროდიებმა უნდა იცოდნენ, რომ შთამომავლობის წინაშე პასუხს აგებენ. ამის ასე დატოვება არ შეიძლება. ამის მიტოვება, უთქმელობა არაფრით არ შეიძლება.

**—რამდენიმე დღის წინ, ბიძინა ივანიშვილს უარი ეთქვა მოქალაქეობის მინიჭებაზე. ამ შემთხვევაშიც, ცხადია, რომ გასაჩივრება შედეგს არ მოიტანს. ანუ ამის დაფიქსირებაც მხოლოდ შთამომავლობისთვის გვჭირდება თუ სხვა რაიმე ზომებს მიმართავთ?**

— იგივე, რაც უკვე ვთქვი. ფორმალურად უნდა ამოიწუროს ყველა შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმი, რათა საერთაშორისო ინსტიტუტებში გასაჩივრებისთვის გზა გაგვეხსნას. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სამართლებრივად ყველაფერს ვაკეთებთ, რისი კეთებაც შესაძლებელია, უბრალოდ, როცა ქვეყანაში სამართალი არ არის, ფიზიკურად ამას ვერაფერს დაუპირისპირებ. სხვა საკითხია, რომ იტყვი — ვიბრძოლე, ყველაფერი გავაკეთე და თუნდაც შთამომავლობის წინაშე ამ მხრივ პირნათ-



ელი ვარო. საქართველოში მალე ყველაფერი შეიცვლება.

**— რაც შეეხება დაჯარიმებებს, ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ ჯარიმას არ გადაიხდის. საპირისპიროდ ხელისუფლებამ „ქართუ ბანკისა“ და „ქართუ ჯგუფის“ ქონება დააყადაღა და მისი აუქციონზე გატანითაც იმუქრება. რა განვითარება შეიძლება მოჰყვეს ამას?**

— ბიძინა ივანიშვილს არ გააჩნია არანაირი ქონება არც „ქართუ ბანკში“ და არც „ქართუ ჯგუფში“. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა — რომელი ქონება უნდა გაიყიდოს? ქონება, რომელსაც სააღსრულებო ბიურო ივანიშვილისად თვლის, სინამდვილეში სულ სხვა პირებისაა. მაგალითად, 100 პროცენტიანი სააქციო კაპიტალი „ქართუ ბანკში“ ბიძინა ივანიშვილს კი არა, „ქართუ ჯგუფის“ ქონებაა იმიტომ რომ იგი ფლობს ამ აქციების ასივე პროცენტს. გამოდის, რომ ამ აქციების დაყადაღებით სულ სხვა პირის, არა მოვალის, არამედ „ქართუ ჯგუფის“ ქონებას ხელყოფ. იგივე ეხება „ქართუ ჯგუფის“ აქციებსაც, რომელთაც სულ სხვა 6 იურიდიული პირი ფლობს, რომელთაგან 2 საქართველოში, 4 კი საზღვარგარეთაა დაფუძნებული. რა თქმა უნდა, საბანკო სამართალში არსებობს ინსტიტუტი ბენეფიციარი მესაკუთრე, ეს არის პირი, ვინც ამ წილების იერარქიის სათავეში დგას, მაგრამ ივანიშვილი ბენეფიციარი მესაკუთრეც არ არის. მან თავისი წილები გაასხვისა თავის ვაჟზე — უტა ივანიშვილზე. თუნდაც, იგი დღესაც ამ წილების მფლობელი ყოფილიყო, საქართველოს სააღსრულებო ბიურო, ვერც ამ წილებს ვერ დააყადაღებდა იმიტომ, რომ ეს წილები სხვა ქვეყნებშია რეგისტრირებული. ეს ქონება სხვაგანაა და ამას საქართველო ვერ დააყადაღებს, იმიტომ, რომ მას არ გააჩნია უფლებამოსილება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განახორციელოს იურისდიქცია.

**— მაგრამ, ბატონო სანდრო, ხელისუფლებამ მაინც დააყადაღა ეს ქონება, როგორც ივანიშვილის საკუთრება. რა შეიძლება ამ ყველაფერს სამართლებრივად დავუპირისპიროთ?**

— ეს არის სამართლებრივი ნონსენსი, რაც მათ გააკეთეს. ვიმეორებ, ეს არის არა ივანიშვილის, არამედ სულ სხვა პირების საკუთრება. აქედან გამომდინარე, თუ ეს ქონება აუქციონზე გაიყიდება, პირველ რიგში, ვერ იქნება წარდგენილი მტკიცებულება, რომელიც ამ აუქციონს ლეგიტიმურს გახდის. თუ ბიძინა ივანიშვილს ქონებას უყიდი, აუქციონზე წარდგენილი უნდა იყოს მტკიცებულება რომ ეს ქონება ნამდვილად მისია, მაგრამ ასე რომ არ არის, რა ვქნათ?! ამიტომ ეს აუქციონი ვერანაირად ვერ იქნება ლეგიტიმური. დეფაქტო ხელისუფლებას ყველაფრის გაკეთება შეუძლია. მაგალითად, მოვიდეს ვინმე თქვენთან სახლში, გამოგაძევოთ იქედან და განაცხადოს, რომ ეს სახლი სახელმწიფოს საკუთრებაა, ეს ქონების დაუფლების კანონიერი, სამართლებრივი გზა იქნება?! — რა თქმა უნდა არა — ეს იქნება ჩვეულებრივი ყაჩაღობა.

**— თუ ხელისუფლება პერმანენტულად გააგრძელებს დაჯარიმებების, ქონების დაყადაღების სერიას, ხომ არ არის საშიშროება ივანიშვილი გადახდისუუნარო გახდეს და მას სხვა სახის საფრთხე დაემუქროს? მითუმეტეს, რომ მას ქონების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ აქვს, რომლის დაყადაღების უფლება ჩვენს ხელისუფლებას არ აქვს.**

— ივანიშვილი გადახდისუუნარო არ გახდება იმიტომ, რომ ვიცით — მას ბევრად მეტი ქონება აქვს, ვიდრე ის სანქცია, რაც მას დაეკისრა. სხვა საკითხია ის, რაც თქვენ ბრძანეთ, რომ ივანიშვილის ქონების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთაა და მას შეუძლია განაცხადოს, რომ ნებაყოფლობით არ შეასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას. ამით მას სისხლის სამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობა არ ემუქრება.

**— მაშინ, რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება დაჯარიმებებს გააგრძელებს, ივანიშვილი კი ჯარიმების გადახდაზე კვლავ უარს იტყვის?**

— იგი, უბრალოდ ამბობს, რომ არ ასრულებს სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებებს. თუ სახელმწიფო სასამართლოს მიერ უკანონო გადაწყვეტილებების აღსრულებას გადაწყვეტს, მათ შორის ისეთ ქონებაზე მიქცევით, რომელიც საქართველოში არ არის, ეს მისი საქმეა, მაგრამ, წესით ამის გაკეთება საქართველოს არ შეუძლია იმიტომ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ივანიშვილის ქონებაა განთავსებული, იმ სახელმწიფოებთან საქართველოს სამართლებრივი დახმარების შეთანხმება და ხელშეკრულება დადებული არ აქვს. შუამდგომლობითაც რომ მიმართოს საქართველომ სხვა ქვეყნებს, ესეც ნაკლებ შესაძლებელია იმიტომ, რომ ამისთვის სათანადო სამართლებრივი პროცედურაა საჭირო და გარწმუნებთ, რომ იქ ნანა დარასელიები, კობა გოცირიძეები, ირაკლი შენგელიები და მისთანა მოსამართლეები არ სხედან. იქ ნამდვილი მოსამართლეები სხედან. აქედან გამომდინარე, ამ მხრივ ივანიშვილს არაფერი ემუქრება. აქ შეიძლება დადგან ფარსი, მაგრამ ეს გამოაშკარავდება, დაერქმევა თავისი სახელი. ამ ფარსით, შეიძლება დეფაქტო რაღაც მოქმედებები განახორციელო, მაგრამ ეს აბსოლუტურად უკანონო იქნება.

ვერ გეტყვით, თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს ხელისუფლებამ, რომელიც 2007 წლის ნოემბერში დამოუკიდებელ ტელეკომპანიებში შევარდა და იქ აბსოლუტურად ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ უპრეცენდენტო ძალადობა განახორციელა და არნახული ვანდალიზმის აქტები ჩაატარა, გაანადგურა ქონება. მე არ მაქვს გარანტია, რომ ამას არ გაიმეორებს ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ან სხვა პირის მიმართ. სამართალს ზღვარგადასული ხელისუფლება ნებისმიერ ბარბაროსობაზე, ვანდალიზმზე წავა, მაგრამ 21-ე საუკუნეში სულ სხვა საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგის ვითარებაში, არა მგონია ქვეყანაში რაიმე სერიოზული გამწვავება მოხდეს, საბოლოო ჯამში ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება არჩევნების გზით.

**— დასაწყისში ვახსენეთ, რომ ხელისუფლება სხვა პარტიებსაც მიადგა, მათ შორის კოალიცია „ქართულ ოცნებას“. ხომ არ არის საშიშროება ისინი საარჩევნო პროცესს ჩამოაშორონ?**

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

7 gv.

— მარტო იმიტომ, რომ პარტია ჯარიმას ვერ იხდის, არ ნიშნავს არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევას. სხვა საკითხია, როდესაც მას ფინანსურ წყაროს უკეტავ, რაც ჩვენს თვალწინ ხდება. თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რის მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიებს ისეთი ოდენობის თანხების გადახდა დაეკისრათ — 3 მილიონი ლარი, რომლის გადამხდელებიც ისინი არ არიან. შესაბამისად, ძნელი მისახვედრი არაა, რომ მათ ანგარიშებს ყადაღა დაედებათ და რაიმე ფინანსური სახსრების მოძრაობას გზა გადაეკეტება. ამის ბლოკირება ხდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარტიები შეწყვეტენ საქმიანობას. ჯერჯერობით კანონმდებლობა ისევ ითვალისწინებს მოხალისეობას. ხალხი სამართლიანია, როცა დაინახავს, ამათ უნდათ ოპოზიციური ძალების დახრჩობა, მოხალისეობას გაუწევენ.

**— და ხალხის მოხალისეობის იმედად უნდა დარჩეს ოპოზიცია? ფინანსური ბერკეტის გადაკეტვა განა საარჩევნო პროცესისგან ჩამოშორებას არ ნიშნავს?**

— ხალხის რაოდენობა, რომელიც სისტემატურად დადის „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციებზე, მაძლევს ამის თქმის საშუალებას — ვერ გადაკეტავენ ისეთ წყაროს, რასაც ხალხის კეთილი ნება ჰქვია გამოიჩინოს მოხალისეობა და ამგვარად შეუწყოს ხელი იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა მოსვლაც სურთ.

**— თუმცა, აშკარაა, რომ დღეს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ივანიშვილი და მისი გუნდი პოლიტიკურ პროცესს ჩამოაშოროს.**



— დიახ, მაგრამ ჩვენ სხვა საუკუნეში ვცხოვრობთ და, საბედნიეროდ არა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში. ახლა სხვა საერთაშორისო წესრიგია. ბასმა გააკეთა განცხადება და მნიშვნელოვანი რამ გააჟღერა — ივლისში საქართველოში გრძელვადიან დამკვირვებლებს გამოგზავნიან. ამით ნათქვამია, რომ არჩევნები უშუალოდ მხოლოდ არჩევნების დღე როდია. ისინი აბსოლუტურად ყველაფერს დააფიქსირებენ. არავის ექნება ილუზია, რომ მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში ვინმეს „გამარჯვება“ შეიძლება ლეგიტიმურად იქნეს ცნობილი. დარწმუნებული ვარ, სერიოზული დარღვევების შემთხვევაში არც საქართველოს მოსახლეობა და არც საერთაშორისო თანამეგობრობა არჩევნებს ლეგიტიმურად არ სცნობს. თუ ვინმეს კადაფიზაციის, ასადიზაციის, მუბარაქიზაციის გზით სურს საქართველოს წაყვანა, არ ვიცი, მაგრამ ეჭვი მეპარება, გამოუვიდეთ.

**— ახლა ლეგიტიმაცია ახსენეთ, თუმცა არჩევნები არც წინა წლებში ყოფილა ლეგიტიმური, მაგრამ სააკაშვილს სულაც არ გასჭირვებია „ლეგიტიმურობის“ მოპოვება.**

— წინა წლების არჩევნებთან შედარებით, სიტუაცია განსხვავებულია. ჯერ ერთი, სახელისუფლებო ძალის რეალური ალტერნატივა და რესურსი არსებობს, მხოლოდ ფინანსურ რესურსს არ ვგულისხმობ, არამედ იმ მასობრივ მხარდაჭერას, რაც ამ ალტერნატიულ ძალას გააჩნია. მეორეც — ეს მხარდაჭერა ბევრად უფრო ფართო, ორგანიზებულია, ვიდრე გუშინ იყო, დღეს მთელი ახალგაზრდობა გარეთაა. ასე რომ, სიტუაცია 2008 წლის არჩევნებთან შედარებით, რადიკალურად განსხვავებულია.

**— თუმცა, ვერ ვიტყვით იმას, რომ ხელისუფლება ლმობიერია. კი ვიძახით, აგონიაშიაო, მაგრამ წინა წლებთან შედარებით რეპრესიების ფორმები გამწვავებულია. ეჭვიც არ მეპარება ხელისუფლება ადვილად გაყიდის აუქციონზე სხვის ქონებას, როგორც ივანიშვილისას.**

— რას დააყადაღებს, რაც სხვას ეკუთვნის?! და რა იქნება მერე, რისი იმედი აქვთ, რომ ხალხი ივანიშვილის მხარდაჭერას შეწყვეტს?! დარწმუნებული ვარ, რაც მეტ უსამართლობას ჩაიდენს ხელისუფლება, მით უფრო გააბრაზებს მოსახლეობას. საზოგადოება ისედაც გაბრაზებულია და კიდევ უფრო გაბრაზდება.

**— ბევრი საუბრებია იმის თაობაზეც, რომ შეიძლება ხელისუფლებამ არც ივანიშვილის დეპორტაცია ითაკილოს. ეს რამდენად შესაძლებელია?**

— დეპორტაცია კიდევ უფრო უარესია. ერთია მოქალაქეობის ჩამორთმევა და მეორეა, პირის ქვეყნიდან გაძევებით მისი ოჯახთან დიზენტეგრაცია მოახდინო. ამის იმედი ნურავის ექნება, რადგან რამოდენიმე საათში შეიძლება ამის საწინააღმდეგოდ სტრასბურგის სასამართლოდან სარჩელის უზრუნველყოფის მოპოვება. ივანიშვილი ევროკავშირის წევრი მოქალაქეა, მას 360 დღის მანძილზე შეუძლია აქ ყოფნა.

**— თუმცა, არაერთი ფაქტი არსებობს, თუ როგორ ექცევა ხელისუფლება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.**

— აქ საფრანგეთის მოქალაქეობა გადამწყვეტი ფაქტორი არაა. ივანიშვილი არის ფიგურა, რომელიც სათავეში უდგას ოპოზიციურ კოალიციას. აქედან გამომდინარე, ასეთი პირის მიმართ ძალადობრივი, უკანონო აქტების განხორციელება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს არჩევნების ლეგიტიმურობას. თუ ხელისუფლება ამას დაუპირისპირდება, ეს უკვე ნიშნავს იმას, რაც აქამდე ვთქვი — კადაფიზაციას, ასადიზაციას, მუბარაქიზაციას, რაც საქართველოში გამორიცხულია. ჩვენი ფინალი ასეთი იქნება — არჩევნების გზით შეიცვლება ეს ხელისუფლება.

**თამარ შველიძე**

# beso juReli: xelisuflebis mxridan ivaniSvilis ase aSkarad devna marTebuli ar aris



## „პოლიტიკაში დაბრუნებას ნამდვილად აღარ ვაპირებ“

*„საერთო გაზეთს“ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობის“, ერთ-ერთი დამფუძნებელი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი* ***ბესო ჯუღელი*** *ესაუბრა.*

**— ბატონო ბესო, თქვენ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბრძანდებით, როგორია თქვენი პოზიცია დღეს ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით?**

— ხელისუფლების მხრიდან ბიძინა ივანიშვილის ასე აშკარად დევნა მართებულად არ მიმაჩნია, რადგან ქმედებები, რომელითაც ხელისუფლება ივანიშვილის წინააღმდეგ ახორციელებს, საზიანოა არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობისთვის“, არამედ მთელი საქართველოსთვის. მმართველი გუნდის წევრებს ერთი რამ ავიწყდებათ, რომ ქართველი კაცი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის მხარს უჭერს დაჩაგრულს. ამიტომ ე.წ. „შავი“ მეთოდებით ივანიშვილზე ზეწოლა „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე წყალს ნამდვილად ვერ დაასხამს, რადგან იმით, რასაც ხელისუფლება ივანიშვილის წინააღმდეგ ახორციელებს, ხალხი უფრო ღიზიანდება და ე.წ. ნეიტრალური ამომრჩეველი ასეთ შემთხვევაში „დაჩაგრულის“ ბიძინა ივანიშვილის პოზიციას დაიჭერს.



**— როგორ ფიქრობთ, რატომ დევნის ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილს?**

— ძირითადი მოტივი, ალბათ, უფრო შიშის ფაქტორია, რადგან ხელისუფლებას მართვის ბერკეტების დაკარგვა არ სურს.

**— ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილისთვის სერიოზულ კონკურენტად განიხილება. არსებული რეალობის გათვალისწინებით, თქვენ როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის შანსებს?**

— მიხეილ სააკაშვილს არსებული კანონმდებლობის მიხედვით მესამე ვადით პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება არ აქვს, ამიტომ ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის გზები არ გადაიკვეთება. დღევანდელი გადასახედიდან ძნელია ვისაუბრო, რა იქნება ოთხი წლის შემდეგ.

**— როგორ ფიქრობთ, 2012 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე ივანიშვილისა და სააკაშვილის გზები არ გადაიკვეთება?**

— ეს პროცესი დამოკიდებული იქნება იმაზე, მიხეილ სააკაშვილი სამომავლოდ რას აპირებს. ის თუ პრემიერობას ან პარლამენტის თავმჯდომარეობას აპირებს, ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ოქტომბერში, ივანიშვილისა და სააკაშვილის გზები გადაიკვეთება, რადგან ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები სწორედ პარლამენტის გადასაწყვეტი იქნება. ამიტომ საპარლამენტო არჩევნებზე ივანიშვილმა თუ გაიმარჯვა, მიხეილ სააკაშვილს საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. ჯერჯერობით, არავინ არ იცის, რას აპირებს სააკაშვილი, რჩება საქართველოში, არ რჩება, აპირებს პოლიტიკაში დარჩენას, თუ არა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ოქტომბრის არჩევნების შედეგებზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ხელისუფლების თქმით, საპარლამენტო არჩევნები თავისუფლად და დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს, ისე მეც არ მეპარება ეჭვი, რომ შემოდგომაზე არჩევნები მშვიდობიან, დემოკრატიულ ვითარებაში ჩაივლის.

**— ხალხის განწყობით თუ ვიმსჯელებთ, იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება უზრუნველყო, დიდი ალბათობით, შესაძლოა, იგი დამარცხდეს. წავა სააკაშვილი ამ დათმობაზე?**

— მიხეილ სააკაშვილმა საქართველო ისეთ რანგში აიყვანა, რომ მსოფლიოს თვალში ჩვენი ქვეყანა ხელწამოსაკრავად აღარ ითვლება. ამიტომ მან არჩევნები არასამართლიანად რომ ჩაატაროს, საქვეყნოდ თავი მოეჭრება და ვფიქრობ, სააკაშვილი ამაზე არ წავა და არჩევნებს დემოკრატიულად ჩაატარებს.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ იმის მიუხედავად, რომ ივანიშვილი ქველმოქმედია, არ ნიშნავს იმას, რომ ის ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვას. რას გულისხმობთ?**

— მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, იმ დღიდან მოყოლებული დღემდე დემოკრატიის მაჩვენებელი თანდათანობით დადებითად ვითარდება. სამწუხაროდ, ქართულ გენში გამჯდარია, რომ ადამიანს გამარჯვების შემდეგ ძალიან უჭირს თავისი „სკამის“ დათმობა. საქართველო არც ნორვეგიაა არც შვეიცარია და არც დანია, სადაც ხალხი უკვე ისტორიულად დემოკრატიულ ცხოვრებას შეეჩვია. ქართველი ხალხი კი ნამდვილი დემოკრატიისთვის ჯერჯერობით მზად არ არის. ერთს ვამბობთ ხოლმე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველაფერს მაინც ავტოკრატიულად ვწყვეტთ.

**— როგორც თქვენ ამბობთ, ქართველ ხალხს შესისხლხორცებული არ აქვს დემოკრატია.**

— სამწუხაროდ, ქართველი კაცი ძალიან ძნელად ეგუება როგორც ძალაუფლების დაკარგვას ისე მაკონტროლებელს. ივანიშვილი, მართალია, ახლა ამბობს, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, საქართველოში დემოკრატია იქნება, ღმერთმა ქნას იყოს, მაგრამ მე, როგორც ერთ ინდივიდს, ამაში ეჭვი მეპარება.

**— რატომ, რა არის მიზეზი? პრობლემა ბიძინა ივანიშვილშია თუ მის გარემოცვაში?**

— ბიძინა ივანიშვილის მიმართ არანაირი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ მისი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მოხდება ისე, როგორც გამსახურდიას დროს მოხდა, როცა მთელი პარლამენტი ხალხმა გააქცია. ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებული პარტიები, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, იმ ბოღმით მოვლენ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ აქვთ და შემდეგ დაიწყებენ ბოლოს გადმონთხევას და სწორედ ეს იქნება საშინელება საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის.

**— ბატონო ბესო, შესაძლოა პოლიტიკაში კიდევ გიხილოთ?**

— კარგად თუ ცუდად ჩემი საქმე გავაკეთე და ახლა ჯერი ახალგაზრდებზეა. პოლიტიკაში დაბრუნებას ნამდვილად აღარ ვაპირებ.

**მირანდა ნაბახტეველი**

# saqarTveloSi aris kanonebi, magram ar aris samarTali

„საერთო გაზეთის“ სტუმარია **მარიამ ცაცანაშვილი**

**— ქალბატონო მარიამ, რაც ხდება საქართველოში, ყველასთვის გასაგებია, ვგულისხმობ ახალ-ახალი კანონების მიღებას, დაჯარიმებებსა და დაყადაღებებს ერთი კაცის, ბატონი ივანიშვილის გამო. „სამართლიანობისთვის“ სხვა პარტიებსაც რომ დაერივნენ, ესეც სახეზეა, მაგრამ მოდით, მაგალითად ავიღოთ ამ ყველაფრის სათავე, ბატონი ივანიშვილი და ვთქვათ, რასთან გვაქვს საქმე, რატომ ეხვევა ეს პირი ამ გაუგებრობებში, მას ხომ ჰყავს მრჩევლები იურიდიულ საკითხებში.**

— სუბიექტი არ ჰყავთ, ამდენად, გაუგებარია რას აკეთებენ.

**— როგორ არ ჰყავთ, აბა, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი.**

— ეს, თქვენ ამბობთ, რომ სუბიექტია, მაგრამ იურიდიულად ის არ არის სუბიექტი. თუ იურიდიულად მიუდგები საკითხს, მან უნდა აგოს პასუხი, ვინც „ეს“ ჩაიდინა. მივყვეთ — ვთქვათ, ჩაიდინა ივანიშვილმა და „ქართუ ბანკს“ დაადე ყადაღა — „ქართუ ბანკის“ როგორც დამფუძნებელ სუბიექტად იურიდიულ დოკუმენტებში არ არის ეს კაცი. მერე უკან წამოვიდნენ და „ქართუ ბანკის“ დამფუძნებელ „ქართუ ჯგუფს“ მიადგნენ. „ქართუ ჯგუფს“ ჰყავს ექვსი დამფუძნებელი – იქაც არ აღმოჩნდა სუბიექტად, ის ყოფილა ბენეფიციალი მფლობელი. როგორ ავუხსნათ ეს ჩვენს მოქალაქეებს — ანუ, მე ვარ ისეთი სუბიექტი, ვისაც, ის ნორმები, რომელიც ითქვა სახელმწიფოს მხრიდან, არც ერთი არ მეხება?

**— მაგრამ, რეალურად, მაინც რომ ეხება?**

— კანონი არის შეჯიბრებითობა სამართლებრივ ტერმინოლოგიაში, რასაც აკეთებს სახელმწიფო და აკეთებენ ადვოკატები, როცა ჭიდაობენ. სამოქალაქო ენაზე ეს ასე შეგვიძლია ვთქვათ — სახელმწიფომ თავისი მოჩვენებითი ფანტაზიებით დაადო ყადაღა და გაიჯირითა სამართლებრივი მექანიზმებით იმ სუბიექტზე, ვინც იურიდიულად არ არსებობს. მე ერთი რამ შემიძლია გითხრათ, თუ გინდა, რომ მოუგო სააკაშვილის ხელისუფლებას, უნდა მოუგო იურიდიულ დეტალებში – ეს ცნობილი ფაქტია. ამიტომ, ძალიან კარგია, რომ ბატონმა ივანიშვილმა კარგად გადაიტანა ამათი საქციელი საკანონმდებლო სივრცეში.

**— ეს რას ნიშნავს, რას გულისხმობთ.**

— აქამდე, ამათ, იურიდიულ დეტალებზე არავინ გამოჰკიდებია, შეჰყვებოდნენ, მაგრამ ჩერდებოდნენ. წინა პლანზე რომ ადვოკატებმა გადმოინაცვლეს, ბევრს უკვირდა, მათ რა უნდა გააკეთონ პოლიტიკურადო. რა უნდა გააკეთონ და, როდესაც რაღაც ხდება, ადგილზევე, პირველად დოკუმენტებს ისინი ნახულობენ. ახლა, შორიდან, მე და თქვენ აზრად არ მოგვივიდოდა, რომ სასამართლო გამოიტანდა გადაწყვეტილებას, დაიწყებოდა დაყადაღება და თურმე მასზე არ არის მოსამართლის ხელმოწერა...

თქვენ ისეთ კითხვებს მისვამთ, რომ იქითკენ მიგყავთ საუბარი, რაზეც ხუთი-ექვსი წელია გა-



მოცხადებული მაქვს, რომ კომენტარს არ ვაკეთებ — სამართალი და კანონმდებლობა, არის პროცედურული. თუ პროცედურები კანონშიც აღრეულია და მორგებული გაქვს ხელისუფლებაზე, ყველაფერი აღრეული გექნება.

ჩვენ ვსაუბრობთ კანონებზე და არ ვსვამთ კითხვას, რას ვერჩით საბჭოთა კავშირს? 1937 წლის კანონებს რას ვერჩით? — არა, ამას მოუძებნა განმარტება დემოკრატიულმა საზოგადოებამ, რომ ეს იყო კანონები, რომელიც ხალხის ნებას არ გამოხატავდაო. დიახ, გეუბნებით, რომ კანონები, რომლებიც დაყადაღებასა და მსგავს საკითხებს ეხება, არაა ხალხის ნების გამომხატველი. მაშასადამე, ეს არის იარაღი მმართველის ხელში მმართველობის შესანარჩუნებლად. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს კანონები და არ გვაქვს სამართლი.

**— სახეზეა გათანამედროვებული გაკულაკება.**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ძალიან მარტივად შეგვიძლია ვთქვათ იმაზე, რაც ეხება პირად ქონებას. ვთქვათ, ყადაღა — ისეთ ვადებშია ჩასმული, ვერაფერს ვეღარ ასწრებ, ანუ სამართლებრივ პროცედურებს ვეღარ მიმართავ და უნდა დაემორჩილო.

სხვათა შორის, როდესაც ესენი მოვიდნენ ხელისუფლებაში და ქონებაზე დატაკება უნდოდათ, ერთმა საინტერესო ფიგურამ, იურისტმა, მკითხა, რა აქტი შეიძლება მივიღოთ, რომ ქონების საკითხები დავარეგულიროთო, იმიტომო, რომ როგორც კი მივადგებით ჩამოსართმევად, რაღაც დოკუმენტებს ამოაფრიალებენ, 10-20-30 წლის წინანდელს და იმებს სად ვდიოთო. ვერ გავიგე, რა აქტი გინდათ-მეთქი. აი, პრეზიდენტის ბრძანებულებითო. რას ბრძანებთ, როგორ შეიძლება, პრეზიდენტის ბრძანებულებით გადაფაროთ საკუთრების ხელშეუვალობის კონსტიტუციური უფლება. მაშინ, მოგიწევთ ისიც ჩაწეროთ პრეზიდენტის ბრძანებულებაში, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაცია საქართველოში არ მუშაობს-თქო. საკუთრების უფლება იმდენად ძლიერია, ამის გამო რევოლუციები მოხდა... თუ ფიქრობ, რომ პირს ის არაკანონიერად აქვს და გინდა ჩამორთმევა, დიახაც, იმ დოკუმენტებით უნდა სდიო, რასაც ის გიჩვენებს, თუ ეს არ მოგწონს, მაშინ, სამართალზე ნუ მელაპარაკები, რა?! სამართლიანობა აღარ არის და რა სამართალზე ვილაპარაკოთ...

დასავლურ ღირებულებებზე თუ უჭირავთ თვალი, აბა, ვნახოთ, მაგალითად, ინგლისში, როგორ წყვეტენ ამ საკითხს. ვთქვათ, დადგინდა, რომ ვიღაც შეიჭრა სხვის ბინაში (თავისუფალ ფართში სადაც პატრონი არ ცხოვრობს) და უკანონოდ არის იქ. რა თქმა უნდა, გამოსასახლებელია, მაგრამ სასამართლო იმას უყურებს, რომ სამართლიანი იყოს მისი გადაწყვეტილება. ნოემბრიდან მარტამდე საერთოდ არ მიიღებს გამოსახლების გადაწყვეტილებას, ზამთარია, ცივა, რომ გამოვასახლო, სად წავიყვანოო? გაზაფხულზე გამოიტანს გადაწყვეტილებას და მისწერს სახელმწიფოს, რომ ის ვალდებულია უზრუნველეყოს პირის სოციალური დაცვა და მოითხოვს დოკუმენტურად დადასტურებულ პასუხს, სად აძლევს თავშესაფარს; მანამდე ელოდება და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვს გადაწყვეტილება მესაკუთრის სასარგებლოდ. ეს დროსთან არის დაკავშირებული, მაგრამ მესაკუთრე ითმენს, რადგან იცის, რომ მის სასარგებლოდ გადაწყდება. სად არის აქ უსამართლობა?

დამისახელონ მსოფლიოს ერთი ქვეყანა, სადაც ადამიანები მიდიან და თავიანთ ქონებას სახელმწიფოს ჩუქნიან, თან რატომღაც ღამის პირველ საათზე და ამ დროს ნოტარიუსსაც არ სძინავს, სამუშაო გრაფიკი არ აქვს. ამათი ახალი კანონი რა არის იცით, შენ უნდა მიხვიდე და დაკარგულად გამოაცხადო შენი ქონება. დაკარგული არის ის, რასაც პატრონი არ ჰყავს, შენ როგორ იტყვი რომ შენს ქონებას პატრონი არ ჰყავს, აბა, როგორ არის შენი და თუ შენია, როგორ არის უპატრონო – ახალ მითში გადავიდნენ, კანონის ახლებურ გაგებაში. ასეთი ცინიკური დამოკიდებულება აქვთ კანონთან და რაღაც კანონიერებაზე ლაპარაკობენ...

**— არ არის სამართალი, კი, ბატონო. მისდგნენ ივანიშვილს, უყადაღებენ და აჯარიმებენ საკმაო თანხით, როდემდე შეიძლება ეს გაგრძელდეს, რამენაირი დასასრული ხომ აქვს. ხომ არ მიდის საქმე იქით, რომ ეს, ასე ვთქვათ, გამაფრთხილებელი წკიპურტებია, მთავარი დარტყმა ბოლოს იქნება და თუ ეს ასეა, რა შეიძლება ვივარაუდოთ., სად მიგვიყვანს ამ ხელისუფლების ე.წ სამართალი.**

— ცხადია, მისმა ადვოკატებმა აკრიფეს საწყისი დოკუმენტები და დაიწყეს სამართლებრივი პროცედურები, რაც გაგრძელდება ორი-სამი წელი მაინც. ახლა, თქვენ გაგეცინებათ, ამ ხნის განმავლობაში ან ჩვენ აღარ ვიქნებით, ან ივანიშვილიო, ნერვები გაუძლებსო? ნახეთ, სადამდე მივედით, არ გვინდა სამართალი. კაცს აქვს იმის ნებისყოფა, რომ დაელოდოს სამართლიანობას და ამით შენც გიჩვენებს, რომ მის ხელში სამართლიანობა იქნება ამოსავალი...

**— ბატონი ივანიშვილი რომ უარზე დადგა, არ გადავიხდი ჯარიმასო და მართლაც არ აპირებს გადახდას, რა შეიძლება ამას მოჰყვეს.**

— ჩვენ არ გვაქვს საქმე გაჯიუტებულ ბავშვთან, რომელსაც დაუჩემებია, არაფერსაც არ გადავიხდიო. მაგალითად, „პროკრედიტ ბანკის“ შემთხვევაში გამოვიდა



ადვოკატი და თქვა, ყველაფერი სწორად არის დადგენილი, იქ სუბიექტები ვართ და ვიხდითო. სადაც არ არის სამართლებრივი პროცედურები დასრულებული, ამბობს, არ გადავიხდიო და მართლაც, არ უნდა გადაიხადოს. ივანიშვილი ამით ეუბნება, შენ იძულება გიწერია კანონში? — მიდი, გააკეთე, გამოგყვები ბოლომდე, არ დავიღლები!

**— ადვოკატებისგან გამუდმებით ისმის, რომ კანონში ღრიჭოებია...**

— ამათი მიღებული კანონები არის რაღაც ზოგადი ფრაზები დეკლარაციის დონეზე. კანონი უნდა იყოს რეგულატორი, სადაც ზუსტად იქნება განსაზღვრული ფორმულები, რომლებსაც თქვენც მიხვდებით, მეც, სხვაც — ეს უნდა იყოს საზოგადოებრივი შეთანხმება. „საეჭვო ვითარებაში“, „დაკავშირებული პირი“, „გონივრული ეჭვის ფარგლებში“ — ამ ფრაზებიდან რამეს გებულობთ? ვთქვათ, ის, რომ რომელიღაც ბანკი ივანიშვილისაა, გონივრული ეჭვია, მაგრამ თუ შენ იურიდიულ ენაზე მელაპარაკები, აბა, წამომყევი იურიდიულ ბრძოლაში. იურისპრუდენცია იმისაა, რომ ყველაფერი იყოს დასაბუთებული...

სააკაშვილი მითების ქვეყანაში ცხოვრობს. 2002 წელს იუსტიციის საბჭო რომ იქმნებოდა, მიშას უთხრეს, ესა და ეს ქალბატონი ძალიან სამართლიანია და იუსტიციის საბჭოში გამოდგებაო. „ჩვენ არ გვინდა სამართლიანობა, ჩვენ გვინდა დამაჯერებელი მითი“, — უპასუხა მიშამ. აი, ამ მითებით მოვიდა მიშა და მითებში ამყოფებს ქვეყანას, მათ შორის, საკანონმდებლო მითებშიც, რომ თითქოს, ყველაფერი კანონშია გაწერილი. იმდენად ჩაეფლო თავისივე შეთხზულ მითებში, რომ თვითონვე დაიჯერა და ახლა გაგიჟებულია, ამ ხალხს რატომ აღარ სჯერა ჩემიო — ხელში შეგვრჩა საკუთარ მითებში გახვეული მიშიკო.

**— რა არის ბატონი ბიძინასა და მისი იურისტების სიმშვიდის საფუძველი, თქვენ მაინც გაგვაგებინეთ, თორემ მხოლოდ „ყველაფერი კარგად იქნებას“ თქმაში, გადაირია ხალხი...**

— იურიდიული დეტალებითა და ტერმინებით, რომელიც რთული გასაგებია სხვა პროფესიის ადამიანისთვის, არ დაგღლით, როგორც ექსპერტი, გეუბნებით, რომ საქმე ძალზე კარგად მიდის. ადამიანს უნდა რომ ხვალვე დაინახოს შედეგი, მაგრამ არ არის იურიდიული პროცედურების საკითხში ასე, ეს არის ხანგრძლივ დროზე გაწერილი.

**— ისეთი ტემპითა და ხრიკებით მიმდინარეობს თავდასხმები ამ კაცზე, ვისზეც მთელი საქართველოა ჩამოკიდებული, როგორც ბოლო იმედზე, რომ ვარაუდია გამოთქმული, ციხეში თუ არ ამოაყოფინეს თავი, დეპორტაციას მაინც მოუხერხებენო, კიდევ უარესს აღარ ვამბობ, ანუ საქმე საით შეიძლება რომ წავიდეს...**

— დეპორტაციას ვერ გაუკეთებენ. მე ჩემთვის ვინახავდი ამას, მაგრამ თქვენ გეტყვით, თვითონაც იციან, თუმცა, შეიძლება, არ უნდა ვამბობდე —

**არსად არ წერია, არც ერთ კანონში, რომ კაცს შეიძლება გაუკეთდეს დეპორტაცია, — ოჯახს ვერ მოაცილებენ – მისი ოჯახის წევრები კი, საქართველოს მოქალაქეები არიან**

და აქ არიან, ასე რომ, დამშვიდდით.

ნაჯახით რომ გვადგანან თავზე, ეს მოხდება და ის მოხდებაო — არ მოხდება ეგრე, ჩემო მიშა და ნაციონალებო, არა!

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# vinc merabiSvilis premier-ministrad daniSvnas miesalma, isini saqarTvelos politikur da sulier sikvdils miesalmnen

**გვესაუბრება მწერალი ელიზბარ ჯაველიძე**

**— ბატონო ელიზბარ, ხელისუფლებამ ახალი საკადრო ცვლილება განახორციელა, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ვანო მერაბიშვილმა დაიკავა. როგორ ფიქრობთ, რით არის ეს განპირობებული, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— ხელისუფლებისგან, თავად მიხეილ სააკაშვილისგან აღარაფერი მიკვირს. საკადრო ცვლილებები სააკაშვილისთვის ერთგვარი ხერხია საზოგადოების ყურადღება ნაკლებ მნიშვნელოვან პრობლემებზე გადაიტანოს. თუ გახსოვთ, მან არაერთი პრემიერ-მინისტრი შეცვალა, ზოგი პანღურით გააგდო, ზოგი მადლობით, ზოგსაც თავში საფერფლე უთხლაშუნა. იგი კრიტიკულ სიტუაციებში ყოველთვის მსგავსი სიახლის შემოტანას იწყებს. რაც შეეხება ბოლო დროს მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, ეს იმ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ქცევაა, რომელიც თავს კონტროლს ვერ უწევს. მისი ბრძოლის მეთოდები ახალი არ არის, ეს მის ბუნებას შეეფერება. ადრე, ქართველ მოსახლეობას არა, მაგრამ დასავლეთს, გარე სამყაროს მაინც უწევდა ანგარიშს, ახლა ამასაც აღარ აკეთებს. ბოკერიას განცხადება: საქართველოს ბედი საქართველოში უნდა წყდებოდესო — ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება მაშინ, როცა საქმე მათ სავარძლებს ეხებათ, გარკვეულწილად თავიანთ სათაყვანებელ აშშ-საც კი ეწინააღმდეგება. რაც შეეხება, მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას, ბოლო დროს ვაკვირდებოდი „ნაციონალების" მიერ გამოქვეყნებული „იმიჯის სქემას", თუ ვინ უფრო ფასეული, ცნობილია საქართველოში, წინა პლანზე ყოველთვის ვანო მერაბიშვილი იყო, როგორც ერთ-ერთი ნოვატორი, რეფორმატორი, რომელმაც შექმნა და გარდაქმნა პოლიცია. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ვეთანხმები კიდეც, რადგან დღეს ქართული პოლიცია, რომელიც ქართველი ხალხის, საზოგადოების დამცველი უნდა იყოს, პოლიტიკურ პოლიციად გარდაიქმნა, რომელიც არსებული სახელმწიფოს და მისი მეთაურის უშიშროებას და მის პრესტიჟს იცავს.

**— ანუ ფაქტობრივად ამ რეფორმის შედეგად პოლიციური სახელმწიფო მივიღეთ?**

— დიახ. ამას შევადარებდი ნატოს, ეს გახლავთ ძალა, რომელიც მთელს მსოფლიოში ამერიკის პოლიტიკურ ინტერესებს იცავს. ჩვენი პოლიციაც პატარა ნატო გახლავთ, რომელიც მიხეილ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას იცავს. გარდა ამისა, ამ რეფორმის სიკეთე არ მესმის თუნდაც იმიტომ, რომ ამ პოლიციის მიერ დაახლოებით ასზე მეტი ადამიანი განუკითხავადაა მოკლული ისე, რომ კაცმა არ იცის, ისინი დამნაშავენი იყვნენ თუ არა. ეს ყველაზე დიდი ბოროტება გახლავთ. შეიქმნა მანქანა, რომელიც განუკითხავად იჭერს, შეურაცხყოფას აყენებს ადამიანებს, მეორეც, უსწორდება ოპოზიციონერებს, საპატიმროები პოლიტ. პატიმრებითაა ავსებული. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ანტისოროსი არსებობდა და მეც იქ ვმოღვაწეობდი, ამ პოლიტიკამ 13-14 ყოვლად უდანაშაულო ადამიანი შეიწირა. 7 ნოემბერს, ხალხის დარბევის შემდეგ, კადრში ჩანს, როგორ ამაყად მიაბიჯებს ვანო მერაბიშვილი. ხოლო 26 მაისს იმ პოლიციელებმა, რომლებიც პირადად ვანო მერაბიშვილს ემსახურებიან სასაკლაო მოაწყვეს. რაც მთავარია, ეს დაპატიმრებული ადამიანები უმოწყალოდ სცემეს პოლიციის სამმართველოს ე.წ. გამჭვირვალე შენობაში. გამჭვირვალე შენობის შიგნით ჯურღმულებია, სადაც ადამიანებს აწამებენ და კლავენ. ამ ყველაფრის შემდეგ, ვინც ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას მიესალმა, ისინი საქართველოს პოლიტიკურ და სულიერ სიკვდილს მიესალმნენ. ვანო მერაბიშვილის ნიჭიერებაზე არაფერი მსმენია, მაგრამ იმდენი გონიერება კი გამოიჩინა, რომ შეძლო დიდი ავტორიტეტის მოპოვება. ეს დადებითი მოვლენაა, რომ ჭირსა თუ ლხინში საკუთარ თანამშრომლებს გვერდით უდგას,



მაგრამ ეს ნიშნავს, რომ იგი ქვეყნისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის ფიქრობდა და ადამიანებს არა ქვეყნის, არამედ მისდამი ერთგულებას უნერგავდა. დღეს საზოგადოებაში ასეთი განცდა ადვილი მოსაპოვებელია. რაიმე სიახლეს არ ველი, არამედ ამ საკადრო ცვლილებით ოფიციალურად გაცხადდა, რომ საქართველო პოლიციური რეჟიმის ქვეყანაა. ეს ისედაც ცნობილი იყო, მაგრამ მავანნი, როგორც ჩვენთან, ისე დასავლეთში, ამაზე თვალს ხუჭავდა და საქართველოს დემოკრატიის მოდელად აცხადებდა. ახლა დადასტურდა, რომ ასე არაა. ასევე, მთელი სისტემა პოლიციის გამგეობის ქვეშ მოექცა, თუნდაც განათლება. საინტერესო არ არის, რომ ამ სფეროში ყველა მინისტრი ან პროკურატურიდან, ან ციხიდან მოვიდა. შაშკინი, რომელიც ტროცკის მაგონებს, ბავშვების თავისუფლების პირველი სულისჩამკვლელია, მანდატურების ინსტიტუტი პირველი ნიშანია იმისა, რომ ქართული სკოლა, სადაც ბავშვის სულიერი აღზრდა უნდა ხდებოდეს, პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებად იქცა. უწიგნური მანდატურები თავზე ასხედან პედაგოგებსაც და აღსაზრდელებსაც, რომლებიც ბავშვებს სიკეთეს და სიყვარულს კი არა, დასმენას ასწავლიან. ეს მასონური მეთოდია. მერაბიშვილის დანიშვნა ასევე, შესაძლოა გამოწვეულია იმის შიშით და რწმენით, რომ იგი გავლენიანი კაცია, არჩევნებს მოიგებს და ხალხს მოთოკავს. ეს გონებანაკლულთა მოსაზრებანია და სწორედ ესაა მთელი უბედურება.

**— ბატონო ელიზბარ, როგორ ფიქრობთ ვისი ან რისი ბრალეულობაა ის, რაც დღეს ქართველებს გვჭირს?**

— ამაზე ბევრჯერ მიფიქრია და მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ საზოგადოება არ გვყავს. ქართველ კაცს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ სამწუხაროდ, ხალხისადმი მიზანმიმართული ქმედება ხორციელდება, რათა ისინი მორჩილი მონის მდგომარეობაში ამყოფონ. მსოფლიოში მრავალი ინსტიტუტი არსებობს, რომლებიც ადამიანის ტვინის გამორეცხვაზე მუშაობს. ჩვენმა ხელისუფლებამ ეს მეთოდები ქართულ სინამდვილეში „ბრწყინვალედ" გადმოიტანა და მიაღწიეს იმას, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სპექტაკლის საზოგადოებად აქცია, რომელსაც აზროვნების უნარი არ აქვს, მხოლოდ სხვის ნათქვამს ისმენს და გარედან მოსმენილი აზრი თავისი ჰგონია, ვერ აფასებს მოვლენებს, ვერ არჩევს შავს და თეთრს. ეს ფართო მასების ის ნაწილია, ვინც ელექტრონულმა მედიამ ამ დონემდე მიიყვანა, რაც მთავარია, ადამიანს, როდესაც შია, იგი ზნეობაზე ველარ ფიქრობს. თავისუფალი ბაზარიც ისე წარმართეს, რომ ადამიანი უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდეს. ასეთი ხალხის დიდ ნაწილს მავანნი 10 ლარიანებს უწოდებს. აბა, მათ სცადონ და იცხოვრონ 80 ლარად?! ეს ხომ შეგნებულადაა გაკეთებული — როდესაც სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ჩვენს ქართულ ფინანსურ სისტემას აფინანსებდა, ისინი ხალხის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას საერთოდ კრძალავდ-



ნენ, მითითება იყო, რომ ფანტანების, ხიდების მშენებლობაში დახარჯულიყო ფული, რაც მათ მერე უკანვე დაუბრუნდებათ. ამას ბრწყინვალედ ასრულებს სააკაშვილი, ვინც ზოგზოგიერთს გიჟი ჰგონია. არა, ბატონო, იგი პირნათლად ასრულებს იმ დავალებას, რითაც მისი ტახტი ძლიერია — ეს გახლავთ მორჩილება, სხვათა პოლიტიკის გატარება, რომელიც ანგრევს საქართველოს. რაც ანგრევს საქართველოს, ის ამაგრებს სააკაშვილს. შიმშილის პრობლემა იმიტომ შეუქმნეს ხალხს, რომ მათ ზნეობრივ საკითხებზე არ ეფიქრათ და თავისუფლებაზე არ ეოცნებათ. აი, ამ მდგომარეობაშია დღეს საზოგადოება. ჩვენ კი მივეჩვიეთ მესიის მოლოდინს — თურმე მოვა თეთრ რაშზე ამხედრებული კაცი და გადაარჩენს საქართველოს. ჩემი მეგობრები, ვისაც ძალიან დიდ პატივს ვცემ, დღესაც ფიქრობენ, რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალია, შემოვა თეთრ ცხენზე ამხედრებული და საქართველოს გადაარჩენს. ეს შეიძლება სიმბოლურად წარმოიდგინო, მაგრამ არა — ფიზიკურად. იმის წარმოდგენა, რომ იგი ცოცხალია და იმალება, მისი შეურაცხყოფაა.

დღეს ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი ივანიშვილის მიმართ. ეს იმედი ხალხს გაუჩნდა, მაგრამ მათი უმეტესობა ფიქრობს: ივანიშვილი მოვა და გადაგვარჩენსო. ამ დროს, არ ფიქრობენ იმაზე, რომ ქართველ ხალხში არსებობს რწმენა — ღმერთი არ გაგვწირავს, გადაგვარჩენს, მაგრამ ხომ არსებობს სხვა გამონათქვამიც: ღმერთმა გვითხრა ხელი გაანძრიეთ და გეშველებათო. თუ ხალხმა შინაგანი შიში და სხვაზე გადაიმედება საკუთარ თავში არ დავძლიეთ, ამით ბიძინა ივანიშვილს ძალიან ცუდ დღეში ჩავაგდებთ. მეც ძალიან მიხარია ივანიშვილის გამოჩენა და მაქვს იმედი, რომ იგი ქვეყნისთვის კარგს და სასურველს მოიტანს, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ გამარჯვებას მოიტანს მხოლოდ მაშინ, თუკი ყველა ჩვენთაგანი ხელს გამოიღებს და საბრძოლველად ერთად დავდგებით. კიდევ ერთ პრობლემაზე მინდა ყურადღების გამახვილება, ხშირად გვესმის ქადაგება — ევროპისკენ მივისწრაფვით, ჩვენი გზა იქითააო. ჯერ ერთი, სად მივდივართ, როცა ევროპის ნაწილი ოდითგანვე ვართ, მაგრამ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით გზაჯვარედინზე ვიყავით, სადაც ერთიანად მძლავრობდა, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის კულტურა. ეს კულტურა ქართველმა, ნიჭიერმა ხალხმა შეითვისა, საკუთარ თავში გადაამუშავა და მსოფლიო ცივილიზაციის პირამიდის შენებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

**— ბატონო ელიზბარ, ისევ მერაბიშვილის გაპრემიერებას დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, რა გავლენას მოახდენს ეს საარჩევნო პროცესზე, რატომ განხორციელდა ეს ცვლილება ახლა, რა იყო ამის მიზეზი?**

— სააკაშვილმა თავად განაცხადა, არჩევნები ახლოვდებაო და დიდი იმედი მაქვს მერაბიშვილის, როგორც დიდი ავტორიტეტის მქონე პირისო. არამგონია, მერაბიშვილი ზნეობრივი ან ინტელექტუალური ავტორიტეტი იყოს, უბრალოდ იგი ძალასთან გაიგივებული პირი გახლავთ, რომლისთვისაც ზნეობა მნიშვნელოვანი არ არის. ამ პოლიტიკას ატარებს სააკაშვილი დღიდან მოსვლისა — ესაა მოსახლეობაში შიშის პოლიტიკის დანერგვა — თუ ხმას არ მომცემ, მოვალ და დაგიჭერ. ცვლილების არსიც ესაა, სხვა არაფერი, ისინი ისეთი ბრიყვნი არ არიან, რომ ამით ადამიანის ფსიქოლოგიაში რაღაც შეცვალონ. ეს ფსიქოლოგია ჩვენში უნდა მოვკლათ. ვერავინ, ვერც ივანიშვილი, ვერც ქრისტე ღმერთი ამ ფსიქოლოგიას ვერ ჩაგვიკლავს, თუ საკუთარ თავში თავად არ დავძლიეთ ის, რასაც შიში ჰქვია. მერე და შიში გვაქვს ვისადმი? შიში ადამიანს ღმერთისადმი უნდა ჰქონდეს და არა ვინმე პიროვნებისადმი. ერთგულება უნდა გვქონდეს ქვეყნისადმი და არა ვინმე პირისადმი. ღირსების განცდა არ უნდა ჩაიკლას არც ერთ ადამიანში, ამ ხელისუფლებამ კი ეს მოახერხა. არადა, უღირსი ადამიანი ვერც თავისუფლებას მოიპოვებს, ვერც პირად ბედნიერებას და ვერც ქვეყანას მოუტანს სიკეთეს.

**— ეს ცვლილება ხომ არ ნიშნავს იმასაც, რომ ხელისუფლება „ქართული ოცნების" ტრიუმფალურმა აქციებმა შეაშფოთა და რეპრესიების კიდევ უფრო გამწვავებას უნდა ველოდოთ?**

— ამაზე მეტი რაღა უნდა გამწვავდეს. ერთმა ვითომ ოპოზიციურმა არხმა, ახალ ამბებში გამოაცხადა — ივანიშვილი მერეთში ვერ შევიდაო — ეს პირველი ტყუილი იყო. იგი კიდეც შევიდა, ცენტრშიც იდგა და მოსახლეობას ესაუბრებოდა. მეორეც, გამოაცხადეს, საზოგადოების ნაწილი მას უარყოფითად შეხვდაო. არადა, ეს ხალხი მერეთიდან კი არა, არამედ სპეციალურად მოგზავნილი ზონდერბრიგადები იყვნენ. როდესაც „სახალხო კრების" წარმომადგენლები ასეთ შეხვედრებზე დავდიოდით, ძალიან დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებოდით. მაგალითად, ლტოლვილებთან შეხვედრისას დაგვხვდა მობილიზებული ხალხი, ვინც ნინო ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე კინაღამ ჩაქოლეს, ქვები დასცხეს და მათ ძლივს გამოასწრეს, ბეწვზე გადარჩნენ. არც ერთი ოპოზიციური პარტია არ გამოხმაურებია ამ ფაქტს. ასევე, როცა 26 მაისს სისხლი დაიღვარა, არც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, რომელიც დღეს ივანიშვილის გვერდით ბრძანდება, არ განაცხადა, რომ ეს ქართველი ხალხის კვლა იყო. პირიქით, გახარებულები იყვნენ, ტელევიზორთან ხელებს იფშვნეტდნენ და იძახდნენ — ჩვენ ხომ ვამბობდით ამ ხელისუფლების დამარცხება ასე არ შეიძლებოდაო. ახლა, დავჯდები და როცა ესენი დამარცხდებიან, მერე მე ვიტყვი — ხომ ვამბობდი, ასე არ შეიძლება-მეთქი, მაგრამ საქართველოს რამე ეშველება ამით?! — ამაზე არც ერთი არ ფიქრობს, არც ოპოზიცია, არც პოზიცია, არამედ ფიქრობენ თავიანთ საჯდომზე, მუცლის ამოყორვაზე.

**— ბოლო დროს მუდმივად იყო საუბრები, თითქოს მერაბიშვილი ხელისუფლებას განუდგა და ოპოზიციაში გადმოსვლას აპირებს, თუმცა აშკარაა, რომ სახელისუფლებო გუნდი შეიკრა...**

— ეს საუბრები შეგნებულად იყო. ბატონი ბიძინა კეთილშობილი, მაგრამ გულუბრყვილო ადამიანია — ვერ ხვდება, ვისთან აქვს საქმე. ესენი ხომ ადამიანები არ არიან. ესენი სატანის ყალიბში ჩამოსხმული არსებები არიან, ვინც დედას არ გაუჩენია, არ არსებობს ბოროტება, რასაც ისინი არ ჩაიდენენ. როგორ შეიძლება მათ სიტყვით მოეფერო. მათ არა იდეა, არამედ დანაშაულებები აერთიანებთ. მათ აქვთ შიში, რომ ბევრი მათგანი ციხემდეც კი ვერ მიაღწევს. ხალხი ისეა გამწარებული, შეიძლება ჩაქოლოს ისინი, აი, ამის შიში აქვთ.

**— ამ ილუზიიდან როგორ გამოვიდეთ?**

— ეს ილუზია არსებობს. ქართველი ხალხი თავად იქმნის ამ ილუზიას, მისჩერებია ტელევიზორს, სიამოვნებს იქ არსებული კარგი ცხოვრების ყურება და ჰგონია, რომ თვითონაც კარგად ცხოვრობს მაშინ, როდესაც სახლში ლუკმა პური არ აქვს. ჩვენში, ეს თუ არ დაიმსხვრა, საქმე დამთავრებულია. ხალხი ვირტუალურ მდგომარეობაშია და არ უნდათ გამოფხიზლება, არ უნდათ ვირტუალური ცხოვრებიდან ამოხტომა, რაც დამღუპველია.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# bo l o d ros ase mexum rebian: _ momReralixom xar da xar, mweralic yofilxar, Jurnalistic... `maliaric~ xom ar xar, biWoo?!

**გთავაზობთ საუბარს კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ თემურ ჭკუასელთან.**

**— ბატონო თემურ, ელოდით, რომ დეპუტატობის კანდიდატად დაგასახელებდნენ?**

— დეპუტატობის კანდიდატად დასახელება ჩემთვის ზუსტად ისეთივე მოულოდნელობა იყო, როგორც თვით ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლა. 15 წელიწადია ამ ადამიანს ვიცნობ, არაერთხელ გვისაუბრია ამ საკითხზე და ყოველთვის წინააღმდეგი იყო პოლიტიკასთან ოდნავ მოახლოებისაც კი, მაგრამ, როცა ჩემმა მეგობარმა, ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლა მისთვის მოვალეობა იყო, მეც დღეს თავს ვალდებულად ვთვლი, ამ ძნელ საქმეში გვერდით დავუდგე ჩემს მეგობარს. როცა იგი რისკებზე უკან არ იხევს და გთხოვს, რომ გვერდით დაუდგე, ბუნებრივია, უარს ვერ ეტყვი.

**— იცნობთ გურიის პრობლემებს? იცით, რა უჭირს და რა ულხინს ხალხს ჩოხატაურში?**

— ამას წინათ მოვიარეთ ზემო იმერეთის სოფლები, ვიყავი ჭიათურაში, სხვაგანაც, რა თქმა უნდა, საოცრად მოვიხიბლე იქაურობით, მაგრამ დამეუფლა ორმაგი განცდა — აღფრთოვანება არაჩვეულებრივი სილამაზით და პირისპირ შეჯახება უკიდურეს გაჭირვებასთან. ხალხი ისეთ დღეშია, გული მოგიკვდება. წარმოიდგინეთ, როცა ბებია იტყვის, შვილიშვილის გაჩენა არ გამიხარდაო, რა მდგომარეობა უნდა იყოს...

ჩოხატაურშიც ზუსტად იგივე გაჭირვებაა, რაც სხვაგან. მე კარგად ვიცნობ იქაურების პრობლემებს, რადგან თვითონ წარმოშობით სოფელ საჭამიასერიდან ვარ. იქ არის ჩემი მამულეთი, იმ დასახლებასაც მამულარი ჰქვია, სადაც მამაჩემი დაიბადა და გაიზარდა. მამაჩემი ცნობილი ფიზიკოსი იყო, მუშაობდა სოხუმში ომისშემდგომ პერიოდში. მაშინ ორი ცნობილი მეცნიერი წამოიყვანა ბერიამ და ურანის გამდიდრებაზე დააწყებინა მუშაობა. მამაჩემი იმხანად ახალგაზრდა ფიზიკოსი იყო, მამამ და ცნობილმა მეცნიერმა ალბენემ ერთობლივი მუშაობით მოახერხეს ურანის გამდიდრება, რის გამოც მამას სტალინური პრემია მიანიჭეს.

მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი მეცნიერი იყო, თვეში რამდენიმე დღე გლეხი გახლდათ. ვერ ტოვებდა სოფელს, ძალიან უყვარდა იქაურობა. მერე ყველაფერი ჩემზე გადმოვიდა და დღემდე, შეძლებისდაგვარად, ყურადღებას ვაქცევ მამისეულს.

დედაჩემი ლანჩხუთელი გურული იყო, ბებია და ბაბუა ორივე მხრიდან გურულები არიან, ერთი სიტყვით, სუფთა სისხლის გურული ვარ და ვალდებული ვარ დავეხმარო ჩოხატაურს, რითაც შემიძლია.

**— როგორ აპირებთ ჩანაფიქრის განხორციელებას, იქნებ უფრო კონკრეტული იყოთ.**

— შესაძლებლობების მაქსიმუმით ვეცდები, ვიყო აბსოლუტურად სხვა ყაიდის მაჟორიტარი, მინდა ვიყო შუამავალი ხელისუფლებას და გურულებს შორის. პრობლემა ძალიან ბევრია, მაგრამ, რაც მთავარია, ღირსება მინდა დავუბრუნო ჩემს კუთხეს. ოჯახიდან მოგვდგამს და მთელი გურია ასეა — სტუმარზე მეტად არაფერი არ უხაროდა მასპინძელს, მე-17-ს-ში იტალიელი მისიონერებიც ხაზს უსვამდნენ გურულების განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას. მერე თედო სახოკია წერდა: გურიაში რომელი ეზოს ჭიშკართანაც არ უნდა ჩაგევლო, გეტყოდნენ: ჩამობრძანდი, ბატონო, თქვენი ხელის ნაბანი წყალი დაგვიტოვე ოჯახშიო.

ახლა ისე უჭირს იქაურებს, სტუმრის დახვედრა ჩვეულებისამებრ, აღარ შეუძლიათ. სპეციალურად აკეთებენ ამას, ყოველგვარი ლამაზის, იდენტურის, ტრადიციულის ამოძირკვა უნდათ. ჩვენი გადასარჩენია ყველაფერი ეს. ამას მთელი სერიოზულობით ვამბობ და ეს არ არის მხოლოდ პათეტიკა.



**— მინდა იმედი ვიქონიო და ალბათ, ასეც იქნება, რომ იმ კუთხის პრობლემებს საკუთარ ტვირთად აღიქვამთ, მაგრამ იცით, ალბათ, რომ ეს ტვირთი სიმძიმის გარდა პასუხისმგებლობაც იქნება.**

— დილით ადრე ვიღვიძებ, გამოვაღებ ფანჯარას და ჩიტების ხმას ვუსმენ. გურიაში რომ იტყვიან, ჯერ გატიალებული რომ არაა და იალონი (ალიონი — გურულად — ი.კ.) რომ არის ჯერ კიდევ, აი, მაშინ ამეკვიატება ფიქრი — ეს ხელისუფლება სხვაგანაა და ხალხი სხვაგან, აბსოლუტურად აცდენილი არიან ერთმანეთს, ერთი ალთასაა, მეორე — ბალთას...

თუ დავინახე, რომ ახალი პარლამენტი ისეთივე უმაქნისი და უმოქმედო იქნა, როგორიც ახლა არის, ჩემს ადგილს მე ასეთ პარლამენტში ვერ ვხედავ, ამიტომ დავტოვებ, ალბათ, დეპუტატობას, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, მომავალი საკანონმდებლო ორგანო სულ სხვანაირი იქნება.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყანას აუცილებლად გამოვიყვანთ ამ მდგომარეობიდან იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში.

რაც შეეხება არჩევნებს. წინ ძალიან სერიოზული ბრძოლა გვაქვს. სადაც, სავარაუდოდ, არ იქნება დაცული თამაშის წესები. თუ, მაგალითად, ჩემს ბავშვობაში ფეხბურთის თამაშის დროს არჩევანი და არადანი იყო, ამ ხელისუფლებამ იცის მხოლოდ არჩევანი, ამბობს: — არჩევანი მე და არადანიც მე. არ გაძლევს იმის უფლებას, აირჩიო ვინც გინდა, როგორიც გინდა. გასაგებია, რომ ხელისუფლებას, რადგან ძალაუფლება უპყრია ხელთ, აქვს არჩევანის თქმის უფლება, მაგრამ დაგვიტოვოს ჩვენ არადანის შესაძლებლობა. მოკლედ, მე ვოცნებობ, საქართველოშიც ისე იყოს, როგორც მსოფლიოს ნორმალურ ქვეყნებში და არჩევნები არ იყოს ვიღაცის თავის გასატეხი, ვიღაცის დასაჭერი, ვიღაცის ყელის გამოსაჭრელი პროცესი.

**— ბატონო თემურ, თქვენ ხელოვანი კაცი ხართ, საქართველოში კი მავანი ამბობს — პარლამენტში ხელოვანების ადგილი არაა, პოლიტიკოსების სასპარეზო მოედანიაო. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, ხართ საჭირო დღეს ქართული პოლიტიკისთვის?**

— ვერ გეტყვით, ვარ თუ არა საჭირო პოლიტიკაში, მაგრამ ახლა მახსენდება სოციალურ ქსელებში მეხუმრებიან — თემურ ჭკუასელი მომღერლობის გარდა მწერალიც ყოფილა, ჟურნალისტიც, სცენარებსაც წერს თურმე, მალიარი ხომ არა ხარ, ბიჭოო?! ალბათ, მხატვრული ფილმის „ბელურების გადაფრენის“ ასოციაციით, ისე, კი, თუ საჭირო იქნება ქვეყნისთვის, მალიარიც ვიქნები, მეშახტეც, მიწის მუშაც... თუმცა, მე ვფიქრობ, უფრო კარგი მწერალი ვარ, ვიდრე მომღერალი, ჩემი სცენარებით ფილმები არის გადაღებული, რამდენიმე გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი წიგნის ავტორი ვარ, გახლავართ პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, 45 ქვეყანაში გავიტანე საქართველოს სახელი, გადაღებული მაქვს 7-სერიანი სატელევიზიო ფილმი, 16 სატელევიზიო ფილმი ჩავწერე საფრანგეთში, მქონდა საავტორო გადაცემა და ვიმუშავე მთავარ რედაქტორად ტელევიზიაში წლების განმავლობაში.

ახლა ცოტას გურულად წავიტრაბახებ: ქალბატონმა ივლიტა მესხიშვილმა ერთხელ თქვა: მთელი ჩემი მოღვაწეობის განმავლობაში ისეთი მთავარი რედაქტორი, როგორიც თემურ ჭკუასელია, მე არ შემხვედრიაო და გადამეკიდა მერე მთელი ტელევიზია ამ სიტყვების გამო.

ყველაფერი ეს იმიტომ მოვყევი, რომ გავლილი მაქვს ეს გზები და თუ დეპუტატობა მოვიპოვე, ძალიან კარგად ვიცი, რაც უნდა გავაკეთო.

დიახ, ეს საკითხი ტრიალებს საზოგადოებაში — რატომ ხელოვანი, რატომ სპორტსმენი, აი, ამიტომ, რაც ზემოთ ჩამოვთვალე და ძალიან მესიამოვნა ეს კითხვა რომ დამისვით.

მინდა გითხრათ: მე, თემურ ჭკუასელს, არასდროს მქონია პრობლემა იმისა, რომ არ ვყოფილიყავი საქართველოს პარლამენტის დეპუტატი — პირდაპირ გეტყვით, ადრეც მქონია შემოთავაზებები ზუსტად ჩოხატაურის მაჟორიტარობაზე, მაგრამ მაშინ უარი ვთქვი.

**— რომელი პარტიიდან გქონდათ შემოთავაზება? რატომ თქვით უარი?**

— რომელი პარტიიდან, ამას ახლა არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ მე უარი ვთქვი, რადგან ზუსტად ვიცოდი, არავითარი შანსი არ მექნებოდა იმ პრობლემების მოგვარების, რა პრობლემებიც ჩოხატაურშია. ახლა იმიტომ ვარ თანახმა, რომ ზუსტად ვიცი, რაც ჩაფიქრებული მაქვს, გავაკეთებ.

ჩემი ვარაუდით, 4 ან 5 ივლისს მივდივარ გურიაში და ირაკლი აბაშიძის ლექსის არ იყოს: „ამიერიდან აქ დავსახლდები, ჩემი სამშობლო არის გურია“. სამი თვე იქ ვიქნები და ფეხს არ მოვიცვლი ჩოხატაურიდან.

პასუხისმგებლობა დიდია. როცა ქვეყანა, ხალხი, ამხელა მოვალეობას გაკისრებს, ფაქტობრივად, გამოდის, რომ მოსვენება უნდა დაკარგო, დაუზოგავად უნდა იშრომო, მე ჩემი შინაგანი ხასიათით ასეთი ვარ, ბიძინა ივანიშვილი კი, მოგეხსენებათ, რა თავგადაკლული პატრიოტია.

**— მაინც როგორი ხართ, თავიდან ყველა ასე ლაპარაკობს.**

— წაგიკითხავთ ჩემს ნაწერს, რომელიც 1985 წელს ჩავწერე ჩემს წიგნში და მიიღებთ მაგ კითხვაზე პასუხს: *„ჩემო წინაპრებო, მახარბელ, გრიგოლ, თომა, ბიქტორ, დავით, მადლობა თქვენ, რომ მიანდერძეთ სწორი ნაკვთები, ფიქრიანი, მღელვარე, ზღვისფერი თვალები, კეთილი აღნაგობა, სწრაფი რეაქცია, სიმღერის სიყვარული, იუმორის გრძნობა, ბილწსიტყვაობისადმი ზიზღი, უფროსებისადმი მოკრძალება და უმცროსის პატივისცემა. მადლობა თქვენ, რომ მიანდერძეთ ნათელი აზროვნების, თავშეკავების, მცირედით დაკმაყოფილების, მოვალეობის არდავიწყების, პატიების, მოვლენებისა და საკუთარი თავის შეცნობის, სიტუაციის შეფასების, მოყვასის სიხარულისა და მწუხარების გაზიარების, მოყვრისა და კეთილის გარჩევის, სილამაზის აღქმისა და კეთილად გაღიმების უნარი.*

*მადლობა თქვენ, რომ მიანდერძეთ კონკურენციის დროს უცნაური რიდი და სიმორცხვე, არჩევანის წინ დაბნევა, პატივმოყვარეობისაგან გაჩენილი შიში, მცირე საყვედურითაც კი გაღიზიანება, იმპულსური ხასიათი, მეტისმეტი სიფიცხე, დროდადრო მოდუნება და სიზარმაცე და მედღემეხვალიეობა; მადლობა იმიტომ, რომ საშუალება მომეცით, შევებრძოლო ყოველივე ამას და დავტკბე განვლილი წლების სიხარულით. მაგრამ, მახარბელ, გრიგოლ, თომა, ბიქტორ, დავით, რომელმა დაიდეთ „ცოდვა“ და რომელმა გადმომილოცეთ ადამიანთა შეცნობის უცნაური უნარი, სიზიფეს ლოდივით რომ მაწევს გულზე და მთელი ცხოვრება თან მახლავს.*

*რას მერჩოდით, რა დავაშავე, განა არ ჯობდა ქრონიკული სურდოთი გაგეშვით იმ უკიდეგანო ყვავილნარში, ცხოვრება რომ ჰქვია?!“*

ეს არის ჩემი ხასიათი და კიდევ, არ შემიძლია ღალატი, ამიტომ, მგონია, რომ ჩემი ნდობა შეიძლება.

**— და ამ „არსენალით“ აპირებთ ჩოხატაურში ძირითად მოწინააღმდეგეებს — „ნაციონალ გურულებს“ დაუპირისპირდეთ?**

— ცხადია, ბევრი რამ არის მოსალოდნელი, თუმცა მე იქ მარტო არ ვიქნები. ჩემთან ერთად იქნებიან „ქართული ხმების“ წევრებიც. გადავიღებთ სახასიათო ფოტოებს და გავაკეთებთ გამოფენას. ჩვენთან ჩამოვლენ ჩემი მეგობრები, ცნობილი ადამიანები; გუშინ კახი კავსაძეს დავურეკე და ჩამოვა. რაიონის ბავშვებს უფასოდ ჩავუტარებთ მასტერ-კლასებს, მოკლედ, ვეცდებით ცხოვრება უფრო საინტერესო გავხადოთ ამ სამი თვის განმავლობაში ჩოხატაურლებისთვის. რაც შეეხება დაპირისპირებებს, ვიცით, როგორც უნდა დავხვდეთ.



ახლა რასაც გეტყვით, ეს, ვფიქრობ, სიურპრიზი იქნება თქვენთვის: ახალგაზრდობაში ძალიან მიყვარდა კარტის თამაში. პრეფერანსს ვთამაშობდი ხშირად და უნდა გითხრათ, რომ კარტში ზუსტად ისე ხდება, როგორც ცხოვრებაში — არის პერიოდი, როგორადაც უნდა მოინდომო, არა და არ გეძლევა მოგების შანსი. მაგრამ შემდეგ დგება დრო, როცა ფორტუნა შენსკენ ტრიალდება და იგებ და იგებ. ასეა ცხოვრებაშიც... საყოველთაო სიდუხჭირის ჟამს, ანუ ახლანდელ პერიოდში, პესიმისტს ოპტიმისტი უნდა სჭარბობდეს და საყოველთაო კეთილდღეობისას ოპტიმისტზე მეტი პესიმისტი უნდა იყოს. ახლა დადგა დრო, რომ შეიცვალოს ყველაფერი უკეთესობისკენ, დადგა დრო ქვეყანამ შვებით ამოისუნთქოს.

**ირანდა კალანდაძე**

# politikuri rebusi _ `vin aris saakaSvili?~ _ amoxsnilia!

დაუსრულებლად შეიძლება იმაზე ლაპარაკი, თუ რა ძალამ, რა გარემოებებმა და რა აუცილებლობამ მოიყვანა მიხეილ სააკას შვილი ხელისუფლებაში! მაგრამ, კონკრეტულად და ისიც ფაქტებით თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობ ძალიან მარტივად ამოსახსნელია ის რებუსი, რომელიც საქართველოს, როგორც უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური ერთეულის შესახებ, შექმნეს მავანთ და რომლის ამოხსნაც, მთელი 20 წლის განმავლობაში ასე უჭირს გაუთვითცნობიერებელ რიგით მოქალაქეებს!

არ მინდა, ახლა იმაზე შევჩერდე და ვისაუბრო, რამდენად „მომგებიანია“ ჩვენთვის, ანუ ჩვენი ქვეყნისათვის მიშას მასწავლებლების პროგრამული მენტალური რევოლუციები, მაგრამ ფაქტია — ჩვენ, ზუსტად მენტალიტეტის შეცვლას გვავალდებულებენ მსოფლიო მამები და რამდენად გაუძლებს ამ წნეხს ქართველობა — დრო გვიჩვენებს!

ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანო ის გაუთავებელი ექსპერიმენტები (რომელთაც რატომღაც რეფორმები დაარქვეს), რომლებიც დღითიდღე „იხვეწება“ და რომლებიც ჩვენ სამშობლოს, ასევე დღითიდღე ძალიან ძვირად უჯდება!

ედუარდ შევარდნაძემ და შემდგომ მისმა საყვარელმა შეგირდმა — სააკაშვილმა (რასაკვირველია შესაბამისად გაწვრთნილ გუნდთან ერთად), „დემოკრატიის სახელით“, ამერიკიდან, ანუ ამერიკული დემოკრატიიდან იმდენი მანკიერებანი გადმოთესეს ჩვენთან, რომ რაც არ უნდა ვმარგლოთ, რაც არ უნდა ვებრძოლოთ და ეროვნული შხამ-ქიმიკატები ვაყაროთ, კიდევ დიდხანს ვერ მოვერევით!

ამას გარდა, ჩნდება ლოგიკური კითხვა —

**ასაკით საშუალო თაობა, რომელიც ასე თუ ისე ეროვნულ პრინციპებზე დგას, მუდმივად ხომ არ იცოცხლებს? რასაკვირველია — არა! ჰოდა, სწორედ აქ არის ყველაზე რთულად საქმე და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, სააკაშვილი და მისი გუნდი, როგორი დიდი ძალისხმევით ექაჩება ჩვენს ახალგაზრდებს კოსმოპოლიტიზმის ჭაობში — რებუსის პირველი ნაწილი, ამოხსნილად უნდა ჩავთვალოთ და დავასკვნათ, რომ — სააკაშვილი, მავანმა ხელისუფლებაში სწორედაც, — „რომ ქართველი ახალგაზრდების, ანუ საქართველოს მომავალი გონის გადასაჯიშებლად მოიყვანა, რათა — ახალი „ჯიშისთვის“ უცხო იყოს „მამული, ენა, სარწმუნოება“,**

ეროვნული ფასეულობები, სექსუალური ორიენტაციის ტრადიციული დოგმები და ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი, იქცეს იმ „ადამიანად“, რომლისთვისაც საკუთარი სამშობლო, მხოლოდ გეოგრაფიული ერთეული იქნება და არა ის ადგილი, რომლისთვისაც „ვიღაც“ წინაპარმა სისხლი დაღვარა! ანუ, „სააკაშვილების“ გათვლებით, მომავალი თაობის ქართველები კი არა — მსოფლიო მოქალაქეები უნდა ეწოდოს? ცნობილია, რომ ეროვნულად მოაზროვნე თაობა, ჯერ შევარდნაძემ და შემდგომ სააკაშვილმა — ნელ-ნელა, მაგრამ ზუსტად გაწერილი გეგმის მიხედვით, პერიოდული, ხელოვნური კონფლიქტების მეშვეობით მიწის ქვეშ საგულდაგულოდ დატკეპნეს და დღეს რომ ჩვენში, ჩვენი სამშობლოსათვის ამ ურთულეს დღეებში, ასეთი ადამიანების კატასტროფული დეფიციტია — სწორედ მათი, ანუ „ბატონი“ ედუარდის და „ბატონი“ მიხეილის უდიდესი გარჯის შედეგია!

და, მაინც — რატომ შეაჩერეს თავიანთი მახვილი მზერა, „მავანთ“ მაინცდამაინც მიხეილ სააკას შვილზე? რით იყო იგი გამორჩეული იმ ადამიანებისგან, ვისაც აგრეთვე წლობით წვრთნიდნენ და ვის კარიერულ აღმასვლაზეც ასევე თავგამოდებით ზრუნავდნენ მავანნი?“

ფაქტი ჯიუტია — სააკაშვილი ნიჭიერი, ზედმეტად კომუნიკაბელური, ჭარბად ფამილარული და, რაც მთავარია, ბოლმით, კომპლექსებით და ოჯახური ჩეკისტური ტრადიციებით ნაწრთობი პიროვნება იყო! — ანუ, ამ ერთობლიობათა კომპლექტში — მიშას ბადალი არ ჰყავდა, ეთამაშა სულელის, ვერაგის და ამავდროულად „ხალხის რჩეულის“ როლი!

გულახდილად რომ გითხრათ —



არ მგონია „იქ“, ჩვენი ქვეყნის გარეთ, ასე ზედმიწევნით ზუსტად თუ იცოდნენ ჩვენი ეროვნული მიდრეკილებანი და დაფარულ-შენიღბული ზნე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, მიკროსკოპულად შესწავლილები ვყოფილვართ და რა გასაკვირია, ამ ყოველივეს „გასაფურჩქნად“ ისეთი ადამიანი რომ მოგვიყვანეს მებაღედ, რომელსაც პრაქტიკა მეზობელ ქვეყანაში რომ ჰქონდათ გავლილი და ახლა ოკეანისგაღმა „წალკოტშიც“ წაიყვანეს და იქ გაამდიდრებინეს ცოდნა?

თუ სააკაშვილის თანაკლასელებს დაეჯერებათ — მიშა ნიჭიერი, მაგრამ, ამავდროულად ნიჭიერად ვერაგი ბავშვი ყოფილა და ამიტომაც, საფეხბურთო მოედანზე, არ უშვებდნენ! მისი ადგილი „შვიშტოკით“ ხელში, ხეზე, ანუ მაღლა ყოფილა და მსაჯობაც თურმე ძალიან მოსწონდა! აგრეთვე ძალიან მოსწონდა იძულებითი სიმაღლის, ანუ ხის თითქმის ყოველდღიური დაპყრობა და აჰა — განგებას, თუ ეშმას თავგამოდებამ, იგი წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მთავარ მსაჯადაც აქცია! ოღონდ, მიკერძოებულ, ბოროტ, ნაყიდ მსაჯად და ამიტომაცაა „პენალტების“ უწყვეტი სერია ასე რომ არ წყდება ჩვენი ქვეყნის კარებში!

ყრმა, ყმაწვილი და თინეიჯერი სააკაშვილი, (იმიტომ, რომ ბიოლოგიურმა მამამ, ადრეულ ასაკში მიატოვა) — ბიძის, „კგბ“-ს თანამშრომლის და ასევე „კგბ“-სადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული ბაბუის ყურადღების და მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა! თუ რამ, სიკეთე ჰქონდათ გამზრდელ და მარჩენალ უახლოეს ნათესავებს, ყველაფერი პატარა მიშიკოსათვის უნდოდათ და მეტიც, როდესაც ის უკრაინაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაამწესა საბჭოთა კომისარიატმა, მაშინაც კი, პრივილეგირებულ „კგბ“-ს ბატალიონში ამსახურეს ბიძა-ბაბუამ და მთელი ის „სიბრძნე“ და სიბოროტე, ერთბაშად შეასისხლხორცებინეს ყმაწვილ ჯარისკაცს, რაც ალასანია-სააკაშვილის პატარა ოჯახებში ასე აკლდა „ბავშვს!“ დამეთანხმეთ, ერთი შეხედვით, ძალიან დამთრგუნველია მუდმივი კონტროლისა და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა, მაგრამ როცა მიზანი „დიადი და ნათელია“, უნდა აიტანო თუ ჭეშმარიტი ჩეკისტი ხარ, და უნდა აიტანო სიცოცხლის ბოლომდე! ამბობენ, მიშა ბავშვობიდანვე დაუმორჩილებელი და შინაგანად მეამბოხე ტიპი იყო — თურმე პერიოდულად „ნადზორ“ ნათესავებს ხელიდან უსხლტებოდა და იქით მიიჩქაროდა, რასაც ყველაზე ძალიან უკრძალავდნენ, ანუ პორნო-ფილმების რეჟისორობის და საპირისპირო სქესისადმი დაუოკებულ, ავადმყოფურ სწრაფვას! დღეს მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პირველი პირია, „მიშაში“ პერიოდული ინტერვალებით, აღნიშნული აკრძალვები, ვულკანივით ამოხეთქავს ხოლმე და მისი „ჩაქრობა“ ხან დედას და ხანაც ბიძას, და-ძმა, გიული და თემურ ალასანიებს უწინდელი თავგამოდებით უწევთ! მართალია, მიშას დაოკებაში ალასანიები უკვე დღეს, მარტონი არ არიან, მაგრამ აბა დააკვირდით ვის წინააღმდეგ მებრძოლად ჩამოაყალიბეს იგი მათ, ვისი კონტროლიც ოჯახის გარდა ადრეული ასაკიდან ჰქონდა დაწესებული?! აშკარაა, რომ სააკაშვილის ფსიქო-ტიპი, წლების განმავლობაში დიქტატისკენ მიმართეს, რადგან მუდმივად მომწყვდეული, დამცირებული და დათრგუნული ჰყავდათ, მაგრამ, როცა დღეს ამგვარად „ნაწრთობი“ მიშა თავადვეა ძალაუფლება — რა გასაკვირია, რომ ახლა სხვაზე ძალადობდეს?

**ბოლშევიკურ-ჩეკისტური მრწამსით აღზრდილი მიშიკო, როგორ, ფიქრობთ, ძალაუფლებას, ანდა, საკუთარ მონაპოვარს ასე მარტივად შეელევა და სიკვდილამდე მადლიერი მაინც არ**



**იქნება იმ ბუდისა, რომელშიც მართალია ძალით ჩასვეს, მაგრამ შემდეგ მოეწონა და სწორედ იმ ბუდიდან დაიწყო ფრენა?**

**ფრენა კი უპირველესად, ჯერ ჩეკისტმა ნათესავებმა ასწავლეს, ხოლო უფრო „მაღლა საფრენად“ ის „არწივები“ წაეშველნენ, რომლებიც აგერ უკვე მე-3 საუკუნე დაიწყო, კავკასიონის მაღალ მწვერვალებზე ბუდობენ და არაფრისდიდებით არ უნდათ იქიდან გაფრენა! მეტიც, ნისკარტალესილები დროდადრო ჩვენი ლეშითაც იკვებებიან და ახალი მსხვერპლის მოლოდინში, თვალებს ბოროტად გვიბრიალებენ! 2003 წლის 23 ნოემბერი, ამგვარი „არწივების“ მასიური განაყოფიერების და ბარტყობის დღედ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან „კგბ“, დღეს კი „ეფესბე“-დ წოდებული ბუდიდან, ხმაურით ჩამოგვიგდეს ის „მართვე“, რომელსაც „დასავლური მიხვრა-მოხვრა“ კი ჰქონდა, მაგრამ ჯავშანჟილეტის ქვეშ — ცხელი, ბოლშევიკური გული უძგერდა!**

ანუ „ეფესბემ“ მთელი ეს „ერთი ვარდის რევოლუცია“ თავად დაგეგმა და ახალგაზრდა „არწივს“ ე.ი. მიშას, რამე რომ არ სტკენოდა, თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი, იგორ ივანოვიც სასწრაფოდ დაადევნა თბილისში! ნიშანდობლივია ის, რომ სწორედ რუსეთის საგარეო უწყება აკონტროლებდა საქართველოში ნოემბრის „რევოლუციურ“ ვნებათაღელვებს და სწორედ რუსეთის საგარეო უწყების მხრიდან იყო მხარდაჭერილი, ხელისუფლებათა ცვლა! არადა, ეს „უმნიშვნელო“ ფაქტი — არათუ შევარდნაძეს, არამედ ახალგაზრდა „ნაც. მოძრაობას“ მეტიც (ქვეყნის საშინაო საქმეში ასეთი აშკარა ჩარევა) — არც ამერიკის ადმინისტრაციას და არც მაშინდელ ამერიკის ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტს — არ გაუპროტესტებიათ! რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ რუსეთ-ამერიკა, საქართველოს საკითხში იმთავითვე ურთიერთშეთანხმებით მოქმედებდნენ და რეგიონში ისევე როგორც ადრე „მეფისნაცვლის“ შეცვლა ახლით, რუსეთის პრეროგატივად უნდა დარჩენილიყო! გარიგების შედეგი იყო სააკაშვილის „ამერიკული დემოკრატიის“ მანტიით შემოსვაც მისი ძლევამოსილების ეკონომიურად განმტკიცებაც და იმიტომ, რომ, ყველაფერი მაღალკონსპირაციულ დონეზე ყოფილიყო — მიშამ, სულ მალე რუსებს და რუსეთის ხელისუფლებას, გინება დაუწყო! არადა, სწორედ ამ გინების მიღმა მიმდინარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების, რუსეთის სახელმწიფოსათვის გადაცემა და ეს კეთდებოდა მაშინაც კი, როცა 2008 წლის 31 დეკემბერს არათუ ახალი დამთავრებული იყო „ომი რუსეთთან“, არამედ მაშინ, როცა მთელი საქართველო ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა, მიუხედავად აფხაზეთ-სამაჩაბლოს დაკარგვისა! ანუ, მიშა სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფოს „ოკუპანტს“ ეძახის, შუაღამისას, ახალი წლის ღამეს, უჩუმრად ასხვისებდა „ენგურჰესს“ — რუსულ „რაოესზე“ და დღისით — მზისით, 2008-მდე და 2008-ის შემდეგაც, რომ ასე იქცევა, რა ლოგიკით გამოდის „ამერიკის აგენტი“, როგორადაც მას ხშირად წარმოაჩენენ ხოლმე?

არაერთხელ დამიწერია და ახლაც ვამბობ — 2008 წლის 8 აგვისტოს, მიშამ ცხინვალის მიმართულებითაც კი, რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით გაისროლა პირველი ჭურვი, რითაც ვითომ დაუძლურებულ, „დაჩმორებულ“ რუსეთს, ახალი რევანშის დიდი შანსი გაუჩინა! სწორედ, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ დადგა რუსეთის სახელმწიფო ყალყზე და დღეს, როგორც ევროპას, ისე ამერიკას არათუ პარტნიორის, არამედ მსოფლიოს „ახალი ბატონის“ პოზიციაც პრეტენზიებით ესაუბრება! მართალია, ამერიკელებმა კი გააფრთხილეს სააკაშვილი, პროვოკაციაზე არ წამოგაგონ და ომი შენ არ დაიწყოო, მაგრამ რა იცოდა ან კონდოლიზა რაისმა, ანდა ჯორჯ ბუშმა, რომ მიშა სწორედ მათ წასვლას ელოდა და ხელ-ფეხიც, სწორედ მათი წასვლის შემდეგ ეხსნებოდა?

**რაც შეეხება მიშას გორში მიწაზე კოტრიალს და შეშინებულ ბღავილს, ეს იქიდან მომდინარეობდა, რომ „იქ“, დაწერილი სცენარის ფინალი, მარიონეტებმა არასოდეს არ იციან და „ჩვენი“ მხედართმთავრის შიშიც ამით იყო გამოწვეული — არიქა გამომიყენეს და ახლა მკლავენო!**

სააკაშვილი რომ დემოკრატი კი არა, პირწავარდნილი დიქტატორი ბოლშევიკია იქიდანაც გამოჩნდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ლეწა და ლეწა ეკლესიები! მუსრი გაავლო დამოუკიდებელ ტელევიზია-გაზეთებს! ვინც აკრიტიკებდა, ან ქვეყნიდან გააძევა, ანაც მუდმივი სასუფეველი დაუმკვიდრა! ხოლო, ვინც დარჩა — სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მიუჩინა ადგილი და შიმშილით სიკვდილისთვის ჰყავს განწირული!

„მიშა ორმაგი აგენტია, ამერიკის და რუსეთის“ — ხშირად გაიგონებთ ასეთ გულუბრყვილო მოსაზრებასაც! არადა, ასეთი ლუსტრირებული ორმაგი აგენტობა, კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს და რაღა სააკაშვილის შემთხვევაში დაიშვებოდა გამონაკლისი? ახლა რებუსის იმ ნაწილს მივადექით, საიდანაც ფინალამდე გასვლას, ანუ გამოცანის გამოცნობამდე არცთუ დიდი დროა საჭირო!

მაშ, ასე! ვინ არის სინამდვილეში სააკაშვილი და რომელი ბატონის მსახურის იგი, ამერიკის თუ რუსეთის?

მართალია, მიშას ამერიკული „ფანები“ ხან თბილისში და ხანაც იქ, თავიანთ სამშობლოში, ფიანდაზად ეგებიან, პირში შესციცინებენ და ნებისმიერ არჩევნებში კოჭს უგორებენ მიხაილ ნიკოლაევიჩს, მაგრამ აბა, დააკვირდით

**1) ამერიკელები დემოკრატიას უქადაგებენ სააკაშვილს, ის კი დიქტატორად ყალიბდება დღითიდღე!**

**2) ამერიკელები ომის დაწყებას უკრძალავენ, მიშა კი მათ ჯინაზე იწყებს!**

**3) ამერიკელები სტრატეგიული ობიექტების გასხვისებისგან თავის შეკავებას ურჩევენ, სააკაშვილი ისევ მათ ჯინაზე ყიდის!**

**4) ამერიკელები, უკვე მერამდენედ, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისკენ მოუწოდებენ — ე.წ. პრეზიდენტი კი პირიქით, წლითიწლობით ხვეწს გაყალბების მექანიზმებს!**

**5) ამერიკელები მედიის სახელისუფლებო წნეხისგან განთავისუფლებას სთხოვს სააკაშვილს — ის, კი პირიქით, დღითიდღე მარწუხებში აქცევს მას! და ა.შ. და ა.შ. ანუ, სააკაშვილი თავისი პროტესტანტული ბუნებით, მუდმივად საწინააღმდეგოდ მოქმედებს „მამა-მარჩენალი“ ამერიკისადმი და ამგვარი წინააღმდეგობით ვის წისქვილზე ასხამს წყალს? საქართველოს? ნურას უკაცრავად — რუ-სე-თის! რატომ?**

**რატომ და იმიტომ, რომ 1) ომი დაიწყო და... რუსეთს მისცა საბოლოოდ აფხაზეთი და ცხინვალის ოლქი! (იქამდე, კი პარლამენტში „ზემო“ აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთის“ ვერაგული ტერმინები დააკანონებინა, ასევე „კგბ“-ს ერთგულ კადრებს, ე.ი. დეპუტატებს!).**

**2) იმიტომ, რომ სტრატეგიული ობიექტების უდიდესი უმრავლესობა არა ამერიკელებს, არამედ რუსეთის**

„ეფესბეს“ მაღალჩინოსნების კომერციულ ფირმებს უფეშქაშა, ზოგი დღისით, ზოგი ღამით!

3) იმიტომ, რომ „დემოკრატიულის“ ნაცვლად, ყოველთვის „საბჭოთა არჩევნებს ატარებს, პოლიციის და ძალოვანი სტრუქტურების აკომპანიმენტით.

4) იმიტომ, რომ დასავლური თავისუფალი მედიის ნაცვლად, საბჭოური, ცენზურიანი, მუხრუჭებიანი და კონტროლირებადი პრესის მეხოტბეა და ზუსტად ასეა რუსეთშიც!

და ბოლოს, რასაც სააკაშვილი ვითომცდა ამერიკელების კარნახით გვახვევს თავს და ჩვენ კიდევ არ მოგვწონს — ეს ყველაფერი, ვის სასარგებლოდ მუშაობს და ვისკენ დასაბრუნებლად გვიბიძგებს? რუსეთისკენ, რუსეთისკენ და ისევ რუსეთისკენ, ხომ?

ძალიან მარტივია — ჩვენ გვეზიზღება მიშა, ე.ი. გვეზიზღება ამერიკელები, რომლებმაც „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხეს იგი!

ჩვენ გვეზიზღება მიშასეული დემოკრატია, ე.ი. გვეზიზღება ის ამერიკაც, რომელმაც ამდაგვარი დემოკრატია ასწავლა მას!

ჩვენ გვეზიზღება ის ინვესტორები, რომლებმაც ტყე, წყალი, მიწა, და ლამისაა სამშობლო იყიდეს მიშასგან, მისცეს მას ფული, პატივი და სიმყარის შეგრძნება და ამ ყველაფერშიც ამერიკელებს ვადანაშაულებთ! ჩვენ გვეზიზღება ის მანკიერებანი, რომელიც დასავლური თუ ამერიკული ლიბერალიზმით არის წახალისებული — მიშას კი მოსწონს! ე.ი. ამ შემთხვევაშიც იმ ვექტორზე ვიხრებით, სადაც კაცის და კაცის, ქალის და ქალის კანონიერი ქორწინება იკრძალება და ბოლოს — ქვეცნობიერად, იმიტომ რომ გადაშენება-გადაჯიშებისკენ მიმავალი მცირე ერი ვართ, დამცველს და მეგობარს ათასობით კილომეტრის იქით კი არ ვეძებთ, არამედ აქვე, მართლმადიდებლურ დიდ ქვეყანაში და კვანძიც გაიხსნა — მიშა, თავისი ვითომცდა დასავლური ღირებულებებით, ვითომცდა მათი დაცვით და პროპაგანდით, სინამდვილეში ჩვენს ქვეცნობიერს ჩრდილოეთისკენ ატრიალებს და საბჭოთა „კგბ“-ს, დღეს კი „ეფესბეს“ ოცნებაც ეს იყო.

**დღევანდელი გამოკითხვებით — საქართველოს მოსახლეობას თითქმის 75 პროცენტი, რუსეთის ფედერაციასთან დიალოგს და ურთიერთობების აღდგენას უჭერს მხარს!**

**დღევანდელი გამოკითხვებით — სააკაშვილისგან თავსმოხვეული „ნატო“-ს წევრობა საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უკვე აღარ სურს!**

**დღევანდელი გამოკითხვებით — აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დასაბრუნებლად, ამერიკა-ევროპაში კი არ უნდა ვეძებოთ გასაღები, არამედ რუსეთში!**

და, რა გამოდის?

მიშას „დემოკრატობანა“, „ამერიკანცუზელობა“ და „ევროპელობა“ ტყუილად უთამაშია, თუკი საზოგადოებას ვერ დააჯერა მათი სიკეთე? როგორც გამოდის, ფაქტებიც ღაღადებენ ტყუილად!

და, ტყუილად იმიტომ, რომ მიშას „დასავლური მენტალობა“ ძირშივე ისეთივე ბლეფი იყო, როგორც მისი „დემოკრატიის შუქურობა!“

**მიშა ყველა ლოგიკით და ყველა მოქმედებით რუსეთის ერთგული ქვეშევრდომია! ხოლო, ევროპა და ამერიკა იმიტომ ელაქუცებიან ასე, რომ იციან ვისი რჩეულია იგი! ხვალაც მიელაქუცებიან, ზეგაც და კიდევ რამდენიმე წელი, თუ, რა თქმა უნდა, რუსეთმა საქართველოში ხელისუფლების შეცვლა თავად არ მოინდომა და ახლა, ამას არჩევნებით მოიწადინებს თუ ისევ „რევოლუციით“, რა განსხვავებაა?**

როგორც ერთი „ქილა ერბო“, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ჩვენთვის ყოველთვის მოეძებნება ან „ისეთი“, ან „ასეთი“ სცენარი და როგორც ყოველთვის ხდებოდა — ერთ თავის „კაცს“ ყოველთვის დაგვისვამს ქვეყნის სათავეში!

ასე იყო ადრეც, ასეა ახლაც და ასე იქნება შემდეგშიც, ანუ იქამდე, ვიდრე რუსეთის „იუჟნი რუბეჟი“ და „კორიდორ ვოსტოკა“ გვქვია! ასე იქნება უსასრულოდ, ვიდრე „კგბ“-ს დავერბოვკებულ-გაზულუქებული მახინჯი მტაცებლების ასპარეზია საქართველო და ვიდრე ახალ დავითს, ილიას და თამარს არ შობს უფალი ჩვენში!

ძვირფასო მკითხველო, ახლა მაინც მიხვდით, სინამდვილეში ვინ არის მიშა? ე.ი. რებუსი ამოხსნილია, მაგრამ „მიშები“ არიან შორს და გაფრთხილდით!

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. წერილის წერას ვამთავრებდი და საინფორმაციო სივრცეში ახალი ამბავიც „შემოვარდა“ — რუსეთში ყველაზე პოპულარული, ყველაზე რეფორმატორი მინისტრი ვანია მერაბიშვილი, საქართველოს პრემიერ- მინისტრად აკურთხა სააკაშვილმა!**

**ამაზეა ნათქვამი —„ავოეეე, პრიეხალი!“**

**ახლა უკვე ნამდვილად რუსულ-ჩეკისტური ხელისუფლება გამოგვდის და ნახეთ როგორ?**

**1. სააკაშვილი რუსეთის რეზიდენტი — საქართველოს პრეზიდენტი!**

**2. გრიგოლ ვაშაძე, რუსეთის მოქალაქე — საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი!**

**3. ივანე მერაბიშვილი — შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრი, აწ უკვე პრემიერ-მინისტრი — რუსეთის „ოცნება“ და სასურველი პარტნიორი!**



## kaxa kaxiSvi l i:

# კონტროლის პალატის მიერ დაკისრებული ჯარიმები მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ ანგარიშწორებას ემსახურება

**ქვეყანაში მიმდინარე და მოსალოდნელ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ არჩევნებისა და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი კახა კახიშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო კახა, ფაქტობრივად, დღე ისე არ გადის, რომ კონტროლის პალატამ „ქართულ ოცნებას“, ან ფიზიკურ პირს ბიძინა ივანიშვილს სოლიდური ჯარიმები არ დააკისროს. რით ხსნით ამ ფაქტს?**

— მოგეხსენებათ, როდესაც პოლიტიკური პარტიების შესახებ პარლამენტში კანონპროექტი იხილებოდა, მაშინაც ვაცხადებდი, რომ აღნიშნული კანონპროექტი მიზნად ისახავდა არა რომელიმე კონკრეტული სფეროს რეგულირებას, არამედ ისეთი ბერკეტის ხელში აღებას, რომლის საშუალებითაც მოხდებოდა, როგორც პოლიტიკური სუბიექტების, ასევე ამომრჩევლის ნების კონტროლი და ფაქტია, ეს ვარაუდი ახდა. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მხრიდან ისეთი სოლიდური ჯარიმები ვიხილეთ, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მაღალი ჯარიმა ერთი მილიონი დოლარი აშშ-ში ფიზიკური პირის მიმართ იყო გამოწერილი. კონტროლის პალატის მიერ ივანიშვილისთვის დაკისრებული 148 მილიონი, ხოლო შემდეგ განახევრებული ჯარიმა 75 მილიონამდე ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილს თავისი გადაწყვეტილება პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ ენანა, ხოლო, მეორეს მხრივ, ეს ივანიშვილის გაკოტრების მცდელობა იყო. მას შემდეგ, რაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ საქართველოში ბიძინა ივანიშვილის სახელზე გაფორმებული ქონება ვერ მოიძია, დააყადაღეს ის ქონება, რაც ივანიშვილის შვილის სახელზე იყო გაფორმებული და ამ ფორმით დააყადაღეს „ქართუ“ ბანკის აქტივები. კონტროლის პალატის ქმედებები მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას ემსახურება და არა იმას, რომ პირმა კონტკრეტული რეგულაცია დაარღვია.

**— ივანიშვილის მხრიდან რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა ჯარიმის გადახდაზე უარის თქმა?**

— ბიძინა ივანიშვილმა დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარი თქვა, იმიტომ, რომ მას საქართველოში ქონება არ ჰქონდა, რომლის დაყადაღებასაც აღსრულების ბიურო მოახდენდა. ამასთან, თავისი გადაწყვტილებით, ივანიშვლმა ხელისუფლებას უბიძგა, იმ ქვეყნებში, სადაც ქონებას ფლობს მისი ქონების დაყადაღების შესახებ ხელისუფლებას წერილი გაეგზავნა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ბიძინა ივანიშვილს პროცესების გადატანა საერთაშორისო სასამართლოში სურდა. ამით ივანიშვილი საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანდა არაადეკვატური ქართული სასამართლოს არაადეკავატურ გადაწყვეტილებას, რაც ქართული ხელისუფლებისათვის მომგებიანი ნამდვილად არ იქნებოდა. შესაბამისად, ხელისუფლებამ დააყადაღა ბიძინა ივანიშვილის შვილის ქონება, რადგან მათთვის სულ ერთია, ვისი ქონება იქნება დაყადაღებული-უტა ივანიშვილის, თუ თავად ივანიშვილის. მთავარია, ბიძინა ივანიშვილსა და მის ოჯახს პრობლემები შეუქმნან. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო ივანიშვილის რეზიდენციაში მივიდეს და იქ დაიწყონ ქონების აღწერა.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა, ივანიშვილი ჯარიმის გადახდას არ აპირებდა, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიები დააჯარიმა და ამით ივანიშვილი არჩევანის წინაშე დააყენა: თუ არ გადაიხდიან ჯარიმას, პარტიების ქონებას დააყადაღებენ და ამით პარტიებს პოლიტიკურ აქტივობას შეუზღუდავენ. ხელისუფლება ამ ნაბიჯებით ცდილობს ივანიშვილს არჩევნებზე მოგების განწყობა დაუკარგოს.

**— შეიძლება ითქვას, რომ ნერვების ომი მიდის?**

— არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ნერვების ომი ნამდვილად მიდის. ხელისუფლება თითოეული გადაწყვეტილებით ცდილობს ივანიშვილს დაუმტკიცონ,



რომ ის ძალიან მაგრად შეცდა, როცა პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილება მიიღო და გაბედა გამარჯვებასა და პრემიერობაზე საუბარი.

**— როგორ ფიქრობთ, კონტროლის პალატის ქმედებები შეასუსტებს „ქართულ ოცნებას“?**

— შესუსტებით აუცილებლად შეასუსტებს და არა მხოლოდ ფინანსურად, სამართლიანად თუ არასამართლიანად, ქონებას, როდესაც ყადაღა ადევს, ფაქტობრივად, ასეთ შემთხვევაში, ვერც ერთ ქმედებას ვერ განახორციელებ, თუნდაც ისეთს, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებას არ უკავშირდება. შესაბამისად, ქონების დაყადაღებით დისკომფორტი შეექმნება, როგორც ივანიშვილს, ასევე კოალიციაში შემავალ სუბიექტებსაც.

თავის დროზე, როდესაც „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონპროექტი იხილებოდა და ენჯეოები ვაპროტესტებდით კანონში შესატან ცვლილებებს და პოლიტიკურ სუბიექტებსაც მოუწოდებდით, ჩართულიყვნენ ცვლილებების განხილვაში. მათი მხრიდან ვისმენდით მხოლოდ იმას, რომ მათთვის მნიშვნელობა არა ჰქონდა, მმართველი გუნდი რა ცვლილებებს განახორციელებდა, რადგან ოპოზიცია მაინც თავის საქმეს გააკეთებდა. გამოჩნდა, რომ ყველაფერი ისე არაა, როგორც ოპოზიციას წარმოედგინა. ამიტომ ჯობდა ოპოციზიას თავის დროზე გაეპროტესტებინა კანონპროექტში შესატანი ცვლილებები.

**— პროტესტს ექნებოდა შედეგი, რადგან ხელისუფლება, საბოლოო ჯამში, აკეთებს იმას, რაც სურს?**

— ოპოზიცია, როდესაც ხელისუფლებას შანს აძლევს, სრულიად არაადეკვატური ცვლილებები კანონში ასახონ და ამაზე უმცირესობის წარმომადგენლები საერთოდ არ რეაგირებენ, ხმას არ იღებენ და დადგენილად თვლიან ხელისუფლების ცვლილებებს, ახლა უკმაყოფილებაზე საუბარი გვიანია. თავის დროზე, რომ გაეპროტესტებინათ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მიღებული ცვლილებები, შესაძლოა, ამ კატასტროფამდე არ მივსულიყავით.

**— პოლიტოლოგებისგან და ექსპერტებისგან ხშირად ვისმენთ, რომ აშშ ხელისუფლებას, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, მხარს აღარ დაუჭერს და რომ ამერიკამ შეცვალა დამოკიდებულება სააკაშვილის მისამართით და სხვა. სახელმწიფო მდივნის საქართველოში ვიზიტი განსხვავებულ რეალობაზე მეტყველებს. ჰილარი კლინტონმა საქართველოში სტუმრობისას ხელისუფლების მიმართ მხარდაჭერა ღიად გამოხატა. რას ნიშნავს ასეთი დამოკიდებულება?**

— ველოდი, რომ საქართველოში ჰილარი კლინტონისა და უკვე შემდეგ ჯონ ბასის პრესკონფერენცია საქართველოში დაგეგმილ არჩვნებთან დაკავშირებით უფრო კრიტკული იქნებოდა, თუმცა ეს ასე არ იყო. კლინტონმა საქართველოში ვიზიტისას განაცხადა, რომ საქართველო ნომერ პირველი რეფორმატორია, ხოლო მეორე მხრივ, თქვა, რომ ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემები სასამართლოსა და მედიის თავისუფლების კუთხით არსებობს. ეს ორი განცხადება ერთმანეთთან შეუსაბამოა. საქართველოში მიმდინარე პროცესებს თუ დააკვირდებით, სახელმწიფო მდივნის ვიზიტის შემდეგ ხელისუფლებამ უფრო გააქტიურა თავისი ბერკეტები და რეპრესიული მანქანა.

**— რატომ, რა არის მიზეზი?**

— ხელისუფლებამ კლინტონის შექება პირველი რეფორმატორის შესახებ თავისებურად მიიღო და ჩათვალეს, რომ აშშ-ის მხრიდან მათი პოლიტიკა მოწონებულია. თუკი წლის ბოლომდე „მასთ ქერი“ მაინც არ იმუშავებს, არჩევნების შედეგების შეჯამებამდე მაინც განხორციელდეს, რადგან მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია არჩევნების შედეგების შეჯამება. ცხადია, რომ აშშ-ის ხელისუფლების ინტერესში არ შედის ხელისუფლების ერთ დღეში ცვლილება, პირიქით, მათ ინტერესებშია ხელისუფლების გრძელვადიანი შეცვლის პერესპექტივა.

ვფიქრობ, რომ აშშ-ის გეგმებში შედის პარლამენტში ოპოზიცია „მრავალფეროვანი“ იყოს, რის შემდეგაც საკანონმდებლო ორგანოში ასეთი მონოლითიური სიტუაცია აღარ იქნება. აშშ-ისთვის მისაღებია საპარლამენტო უმცირესობის 20-30-კაციანი ჯგუფი, რაც ნიშნავს იმას, საბოლოოდ აჭრილი პარლამენტი გვეყოლება.

რაც ხელისუფლებამ, „გლობალ ტვ“-ის ანტენების დაყადაღებით გააკეთა, ბუნებრივია, ამას, ხალხის მხრიდან, ძალიან ცუდი რეაგირება მოჰყვებოდა და აღნიშნული ფაქტი საერთაშორსო თუ ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიის დასკვნაში აუცილებლად მოხვდებოდა. ამიტომ ამ ინიციატივით ერთგვარად თავიანთი ხისტი მოქმედების დაბალანსებას შეეცადნენ.

**მირანდა ნაბახტეველი**

# mereTi, adgili sadac omi jer ar damTavrebula

2008 წლის 8 აგვისტო...

დილაადრიან, ჩემ თანამშრომელ ჟორიკა ციხელაშვილთან ერთად ცხინვალისკენ გავქანდით! გზაზე სამხედრო ტექნიკა არ შემინიშნავს, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ჩვენი ჯარი ცხინვალის მისადგომებთან უფრო ადრე ჰყავდათ მობილიზებული! (?) ერთადერთი, რაც აშკარად ხილული იყო, ის, რომ — ყვითელი ავტობუსებით ზოგი ფორმიანი და ზოგიც უფორმო რეზერვისტებით მთელი გორის ტრასა იყო გადაჭედილი და მაშინ ვთქვი კიდეც, ამ გამოუცდელ ბავშვებსაც დაახოცინებს სააკაშვილი რუსებს, ხოლო შემდეგ იმ ჯარს, რომელიც უკვე იბრძვის, ალბათ, ბულდოზერებით ამოთხრილ მიწაში ჩაყრის-თქო! ისე ყველაფერი კარგი აგიხდა, მკითხველო, როგორც ჩემი ეს სიტყვები ზედმიწევნით ზუსტად ახდა...



ტრასიდან ჩრდილოეთით გადავუხვიეთ...

მე და ჟორიკა, სოფ. მეღვრეკისის ხიდამდე მიგვიშვეს, იმის იქით გზის გაგრძელების საშუალება რუსებმა არ მოგვცეს, რომლებიც მთელ პერიმეტრს აკონტროლებდნენ, მაგრამ ამ ხიდზე ყოფნის დროს, იმდენი რამ შევიტყვე რამდენიმე საათის წინ დაწყებულ ომზე, რომ ერთი წიგნი დაიწერება.

ხიდზე, ჯიპით, თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი პრეს-სამსახურის უფროსი, ნანა ინწკირველი, შემოგრიალდა და თავისი ჟურნალისტები, ანუ „რუსთავი-2“, „იმედი“, და კიდევ რამდენიმე გვერდზე გაიყვანა, ოღონდ მახსოვს, ძალიან დაძაბული სახე ჰქონდა, თანაც ჩქარობდა. „დავაი ჩაჯექით ყველა მანქანებში და გამომყევით, როკის გვირაბიდან ახლა ტანკები გამოდის და აქეთ მოემართებიან, ჩქარა, ჩქარა“, — ეუბნებოდა მათ, მაგრამ ჩემთვის, ანუ მათთვის არასაიმედო ჟურნალისტისთვის არაფერი უთქვამს საფრთხის შესახებ! ხიდი ეგრევე დაცარიელდა და მხოლოდ I არხის პირდაპირი ჩართვების ჯგუფი და მე ვიდექით მასზე! ძველი თანამშრომლები მეხვეწნენ — წამოდი ჩვენთან ერთად, ახლა აქ „ბოინი“ იქნებაო, მაგრამ არ გავყევი, ხოლო „ალიელი“ ჟორიკა ყველაზე ადრე იმიტომ წავიდა, რომ სამხედრო კომისარიატიდან დაურეკეს — სასწრაფოდ რეზერვში გამოცხადდიო, თორემ დაპატიმრებას ვერ გადაურჩებიო!

ვიდექი ხიდზე მარტო... უფრო სწორად მე, ერთი აზერბაიჯანელი კაცი, რომლის ძმაც ცხინვალის ბაზარში დაჭრილი ეგდო და ის რუსი ოფიცერი, რომელიც ჩვენი ჯარის მანქანების ცხინვალისკენ მიმოსვლასაც „აწესრიგებდა“ და აქეთ, უკვე გორისკენ, დაზიანებული მძიმე ჯავშანტექნიკის მიმოსვლასაც! (?) რაღაცამ დაიჭექა და ნამსხვრევებიც დაცვივდა ახლომახლო... კიდევ იჭექა და მივხვდი, მალე საჰაერო დაბომბვაც დაიწყებოდა, ოღონდაც იქამდე სამხედრო ბორტიანი მანქანების სიუხვე გადავიღე, რომელზეც მკვდარი, მკვდარ-ცოცხალი და ძალიან გაღიზიანებული ჩვენი ჯარისკაცები იყვნენ! მსუბუქი, სამხედრო მანქანებიც დავაფიქსირე, რომლებშიც მიცვალებული ჯარისკაცების ცხედრები ესვენა, მაგრამ ყველაზე მეტი, სასწრაფო დახმარების მანქანები იყვნენ, რომლებიც გრძელი სირენებით, ხიდის აქეთ ჰოსპიტლისკენ ძალიან სწრაფად გადაადგილდებოდნენ!

„ამოწყდა, სააკაშვილო, შენი გამჩენი, შენი კუბო დაიდგას დედაშენმა, შე გიჟო! კოკოითმა თავისი ხალხი ორი კვირით ადრე გაიყვანა, შენ რატომ არ გაგვაფრთხილე, ჰა?“ — კივილით მორბოდა ერთი ხანშიშესული ქალი, რომელიც ძველ საბავშვო ეტლზე სასწრაფოდ დალაგებულ საკუთარ ავლადიდებას მოათრევდა და სული ძლივს მოჰქონდა... „ეს რა გვიყო, ხალხო, როგორ დაგვაქცია და მოგვატყუა, ეგ არის ამათი მთავრობა, საკუთარი ხალხი დაბომბა? — გაიძახოდა ასევე ხანშიშესული კაცი და თან აქეთ-იქით იყურებოდა, ხომ არავინ მისმენს, ამას რომ ვამბობო?

„აი, აი, ეს ხელები უნდა გაგვიხმოს ღმერთმა, სააკაშვილს რომ მივეცით ხმა“, — ტირილით იძახდა ერთი ქალი.

**„ეხლა შენა, ეს ბომბები, ბომბები გგონია? ეგ ღმერთის გამოგზავნილი ცეცხლია ჩვენთვის, ჩვენს დასასჯელად, იმიტომ რომ მთელმა ცხინვალელმა ქართველებმა აგერ იმ სოფლებმა და ჩვენცა, დავიჯერეთ მაგ მოღალატისა, ღმერთმა დაგვსაჯა შვილო, ღმერთმა და ღირსებიც ვართ. აი, ეგ არის სიმართლე თუ გინდა!“,**

— ცრემლჩამდგარი ბოღმით მითხრა ერთმა კაცმა და როცა ამ სიტყვებს, დიქტოფონზე ვიწერდი, ისიც დაამატა — მაისში, არჩევნების წინ, სოფელ-სოფელ დაეთრეოდნენ და საიდუმლოდ გვეუბნებოდნენ ქართველებსა: „მალე ცხინვალს ავიღებთ და ხმას ჩვენ თუ არ მოგვცემთ, ოპოზიცია რუსეთს ჩააბარებს აქაურობას და მერე ნახეთ, რაც მოგივათო!“ „ვაი, ი ვარძელაშვილი ჩემი ხელით უნდა დავახრჩო! ვეუბნებოდით, ბიჭოოო, რაღაც თავისი ხალხი წაიყვანა კოკოითმა, ომს ხომ არ იწყებს, ჩვენც გავალთ აქედან, ბავშვი გვყავს, ქალები გვყავს და მოვარიდებთ აქაურობას-თქო! არაო, რას ამბობთო, მაგას ისე ჩავაკლავთ, ომიც არ დასჭირდებაო, სახლ-კარი არ მიატოვოთ, მაგრათ დადექით, ჩვენი იმედი გქონდეთო! ეხლა სადა გდია, ეგ ძაღლის გაჩენილი, აქ არის თუ თბილისში გაიქცა უკვე?“ — მე მეკითხებოდა ახალგაზრდა კაცი და ხელით იქით მიმანიშნებდა, საიდანაც მწკრივად გამორბოდნენ ქართველები. ეს უბედურება ისეთი შემზარავი სანახავი იყო, ვინატრე, ახლა ვიდეოკამერა მქონდეს აქ და მერე ნახავდა „ნაც. მოძრაობა“, როგორ დაიცვა და როგორ მოატყუა ქართველები, კიდევ ერთხელ-თქო. „წადი, გოგო, ის უბედური დახოცილებიც გადაიღე მაგ ფოტოაპარატით, ჩემს ბოსელთან რომ ყრიან აფეთქებულები! ზოგს თავი აღარა აქვს, ზოგს ხელი, უბედური მაგათი დედებიიი“, — მომაკივლა ერთმა ქალმა. ამ დროს კი ხიდზე, ერთი მეორის მიყოლებით მოათრევდნენ ჩვენს აფეთქებულ ტანკებს, სპეციალური ტექნიკით და მივხვდი, რომ საქმე ძალიან ცუდად იყო! „როიტერის“ გადამღები ჯგუფის დაჯავშნული მანქანა გაჩერდა... რუსი ოფიცერი იქით, ცხინვალისკენ არ უშვებდა მათ... მაინც წავიდნენ ჟურნალისტები! წავიდნენ და აღარც დაბრუნებულან... რამდენიმე დღეში შევიტყვეთ, რომ დაიღუპნენ!

არ ვიცი, ვინ და როდის მოიცალა ჩემთვის, მაგრამ ძალიან მალე ჩემს გარშემო გაპრიალებული, სუფთა თეთრი ჯიპების კოლონა გაჩერდა და იქიდან გამოსულებმა ასევე გაპრიალებულმა სამხედროებმა თითქმის ალყაში მომაქციეს. „რატომ ხართ აქ? რა გადაიღეთ? რომელი სოფლიდან გამოქცეულებს ესაუბრებოდით? აკრედიტაცია გაქვთ, აქ რომ ჩამობრძანებულხართ? გვაჩვენეთ ფირი, მოგვასმენინეთ ჩანაწერები. რომელი გაზეთიდან ხართ, რა გქვიათ, რა გვარი ხართ და ა.შ. — დამაყარეს კითხვები. ამ დროს, უკვე შებინდებისკენ მიდიოდა ბუნება და ცაში მოიერიშე ბომბდამშენის ხმაც გაისმა. ჩამოვარდა ერთი, მეორე, მესამე ჭურვი. ის „ტიპები“ ჯიპებში ჩახტნენ და ქართველი ჟურნალისტი ქალი, მათაც მიმატოვეს!

8 აგვისტო. გორი ღამით... გორში, თითქმის ყველა სოფლიდან თუ პატარა რაიონული ცენტრიდან გამოქცეული ხალხი იყო თავმოყრილი. სტალინის ძეგლის გასწვრივ ყვითელი ავტობუსები ჩამწკრივებული იყვნენ. იყო ყვირილი, გინება, ჩხუბი და აყალ-მაყალი. მოედანთან, „თი ბი სი“-ბანკის შენობის გასწვრივ, ხალხის ხმამაღალი ლაპარაკი და გინება ისმოდა: „ეგ არის ბიჭო თქვენი სიტყვა? ახლა რა ვქნათ, სახლი არა გვაქვს და კარი, სოფელში მკვდრები აქეთ-იქეთ ყრიან, ისინი მაინც აგეკრიფათ, აქ რომ დაგდებულხართ და კიდევ „გვპრიკაზობთ“, როგორ უნდა მოვიქცეთ?“ — ყვირის ერთი კაცი. ახლოს მივედი და ვხედავ — ხალხს, გორის რ-ნის მაშინდელი გუბერნატორი ლადო ვარძელაშვილი მოუმწყვდევიათ შუაში და ცემას უპირებენ. ჩემ გვერდით, რადიო „ჰერეთის“ ჟურნალისტს, გელა მთივლიშვილსაც მოვკარი თვალი და ისიც დავინახე, როგორ იწერდა ის დიქტოფონზე ყველაფერს! მოგვიანებით მთივლიშვილს დიქტოფონი ვარძელაშვილმა წაართვა და საწყალი გელა მე მეხვეწებოდა — მიდი, შენებურად დაურეკე, დიქტოფონი დამიბრუნოსო! „სავსე ოჯახები დაგვატოვებინეთ, მთელი ცხოვრების ნაწვალები, ჩუსტებით გამოვიქეცი, შე დამპალო, შენა, ეხლა შენ მიპატრონებ თუ შენი სააკაშვილი? ოხრად დაგრჩეთ ყველაფერი, როგორც ჩემი ოჯახი აოხრეთ“, — გაჰკიოდა ერთი ქალი და ვარძელაშვილისკენ მიიწევდა... ბავშვების ტირილი, კაცების გინება, ქალების წყევლა და მოხუცების გოდება ისმოდა მხოლოდ! იქვე, ჟურნალისტებისთვის საგანგებოდ მოწყობილი „მედია ჰაუსი“ მდებარეობდა. ავედი ზევით და ძალიან მხიარული განწყობა დამხვდა! რას ზეიმობთ? — ვიკითხე მე. „ჩვენებმა ცხინვალი აიღეს, მალე რუსებს როკის გვირაბში შეტენიან და ყველაფერი დამთავრდება“, — მიპასუხა „მედია ჰაუსში“ ყველაზე დიდმა „ჩინმა“ — გიორგი კარბელაშვილმა! მაგრამ, როცა ვუთხარი: „ახლა, რამდენიმე წუთის წინ ჩამოვედი მეღვრეკისიდან, ჩვენი ჯარი, ტექნიკა და ოფიცრობა უკან იხევს-თქო“ — შემომიტია და გამაფრთხილა — „ეგ სისულელე მეორედ არ თქვა, ვიმარჯვებთ და მოდი რა, შენს რედაქციასაც ის გადაეცი, რასაც მე გეუბნებიო!

მთელი ღამე არ მიძინია, დავდიოდი გორში და გაუბედურებული, ქუჩაში დაყრილი ადამიანების ინტერვიუებს ვიწერდი. ჩავწერე — როგორ დაეცათ მძინარეებს შუაღამისას თავზე ბომბები და ეს ბომბები, რომელი მხრიდან მოდიოდა! ჩავწერე, რომელი სოფლებიდან იყვნენ, რამხელა იყო მსხვერპლი, ზარალი და ა.შ. გორი-ჯვარის ტერიტორიას ბომბავდნენ, ხალხი პანიკაშია, ჯარისკაც-რეზერვისტები დაბნეულები, დაქცეული ქართველობა ქუჩაში ყრია, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი... სააკაშვილი, ჯარის მხედართმთავარი, მთავარსარდალი და „უშიშარი ვითარცა უხორცოც“, მალე, რამდენიმე საათში დაწვება გორის ქუჩაზე, ერთ-ერთ ქუჩაზე ცხვირით მიწაზე მიხოხავს, მალე ჩაიჩრის ჰალსტუხს პირში და „ბი-ბი-სი“-ს ჟურნალისტს, სულ მალე მოუყვება — როგორ მოუგო ომი რუსებს და რომ რუსები, „საქართველოში დემოკრატიულ წინსვლას ვერ შეაჩერებენ!“.

ორიოდ დღეში კი, რუსთაველის გამზირზე, „გამარჯვებას“ აზეიმებს ხალხს და თქვენ რომ იცოდეთ — ამ „გამარჯვების“ ბევრმა ირწმუნა კიდეც! ვაი, ჩვენ პატრონს!

ასობით საჯიშე ქართველი შეეწირა ამ „გამარჯვებას“, მაგრამ ვის გამარჯვებას? სააკაშვილის თუ კრემლის? ორივეს, ორივეს გამარჯვებას და როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უდანაშაულო ადამიანების ხარჯზე!

ახლა, რატომ გავიხსენე იცით, ეს ამბები?

**„ქართული ოცნება“ რომ სოფელ მერეთში ჩავიდა და იქ ბიძინა ივანიშვილს, სააკაშვილის ქალკაც ზონდერები რომ დაესივნენ: „მიშას ვენაცვალეთო!“ — მაგიტომ. არც ბიძინას ადვოკატი ვარ და არც მისი „ოცნების“, მაგრამ ჯერ ერთი — მიშას რატომ ენაცვალეთ, თქვე სახლ-კარ აფეთქებულებო, სულში ჩაფურთხებულებო და „გეტოებში“ ჩამწყვდეულებო? იმიტომ, რომ „მაგარია?“ იმიტომ, რომ რუსული თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე თქვენი გორის მიწა ჩიჩქნა ცხვირით? და იმიტომ, რომ ასობით ბიჭი, ბავშვი, ქალი და მოხუცი მიწაში ჩაყარა? იმიტომ, რომ ამდენი ინვალიდი, ამდენი დაწიოკებული, უსახლკარო და უმუშევარი ადამიანებით აავსო ქვეყანა? იმიტომ, რომ 163 ქართული სოფელი ვიღაცას 2 დღეში მისცა? იმიტომ, რომ ჰალსტუხი სტაფილოსავით ჩაახრამუნა? იმიტომ, რომ**

**დანამდვილებით ვიცით, რომ ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავს — აცხადებს კოალიციის ერთ-ერთი სახე.**

**თუ მართლაც დანამდვილებით იცით ეს ამბავი, რას დაატარებთ ამ ადამიანს შესაწირი ზვარაკივით ისეთ ადგილებში, სადაც ტერაქტის მოწყობა უადვილესი საქმეა?**



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**საქართველო კიდევ ერთხელ დააპატარავა? თუ იმიტომ, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მიგატოვათ, ისევე როგორც 2008 წლის 7 აგვისტოს ღამეს დაგტოვათ რუსის ჯარის პირისპირ, მარტო?**

ანდა, ის დედაკაცი, ვილაც უბედური მონა, რომ გაიძახოდა —„მიშა აშენებს, ალამაზებს საქართველოსო“ — სად ნახა, როდის ნახა მისი აშენებული რამე? ფასადებია ქვეყნის აღმშენებლობა, ქალო, თუ ის ბოსლები, რომელშიც შეგყარათ და გარშემო



კიდევ გველ-ბაყაყი შემოგისიათ? მთელი ბათუმი თურქების, რუსების და ყაზახების აშენებულია, მაგრამ რად გინდა? — ქართული ენა, აქა-იქა გაისმის ქუჩაში და ეგ არის აშენება? შენი, გორის რაიონი რომ დააპატარავა მიშამ, იმას რატომ არ გაჰკიოდი ბოლო ხმაზე?

ანდა, ის ვირგლა ვინ იყო, ვენებს და კუნთებს ერთად რომ ბერავდა? სად იყო მაშინ, როცა სოფ. მერეთი ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული და იქიდან გამოქცეული ქალ-ბავშვი, უსახლკაროდ დარჩენილები, გორს რომ იყვნენ მომწყდარები, კაცები კიდევ ზოგი ტყვედ და ზოგიც დახვრეტაზე რომ ჰყავდათ გაყვანილები?

**ქართველებო! როდის უნდა შეიგნოთ, რომ სააკაშვილმა დაგაქციათ!**

ქართლი საქართველოს გულია და სწორედ ამ გულის ამოგლეჯა უნდოდა მას ქართველებისთვის! მართალი იყო ის კაცი, მეღვრიკისის ხიდზე როცა მეუბნებოდა — „აი, ეს ბომბები ღმერთმა გამოაგზავნა ...აჩვენს დასახოცად, მთელმა ქართლმა „ნაც. მოძრაობას“ რომ მივეცით ხმა 2008 წლის 25 მაისსო! გაიხედეთ, ორ ნაბიჯში რუსის ტანკები და ჯარი რომ დგას — სწორედ სააკაშვილმა დაგიყენათ კარებთან და რაც მალე შეიგნებთ ამას, მით უკეთესი თქვენთვის!

**ისე, ბიძინა ივანიშვილსაც მინდა ვკითხო — ბატონო ბიძინა! 200 მეტრში, რუსის ჯარი რომ დგას მერეთში, რომელმა ჭკვიანმა გირჩიათ, ახლა იქ უნდა შეხვდეთ მოსახლეობასო? „ჯარისკაცის მამა“ გახსოვთ? „ტამ ჟენშჩინა სტრელაეტ!“-ო? ორას მეტრში მე გავარტყამ მიზანში და რუსის სნაიპერს გაუჭირდებოდა მიზანში ვინმეს ამოღება?**

თუ, ამ ნაბიჯით თქვენს უშიშროებას უსვამდით ხაზს? არ ვიცი, მაგრამ ტყვიამ „ოცნება“ და მით უმეტეს, რომანტიკა არ იცის, განსაკუთრებით კი, რუსის ტყვიამ, რომელმაც იგივე მერეთში მრავალი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს!

**ასე რომ, თქვენს კონსულტანტებს გადაეცით — „კოკას ყოველთვის არ მოაქვს წყალი“-თქო და მორედ, ისეთ ადგილებში ნუ გამოგზაურებენ, სადაც არა მხოლოდ თქვენი, არამედ თქვენი თანმხლები პირების სიცოცხლეც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს!**

ისიც გაითვალისწინეთ, რომ პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი კაჩინსკიც უშიშრად შევიდა (შეიყვანეს) ე.წ. ნეიტრალურ ზონაში, მაგრამ ასეთი ბაგა-ბუგი ატეხეს სააკაშვილის სპეც. სამსახურებმა — რუსები ეგონა!

ისიც გაითვალისწინეთ, რომ ღვთის მიერ მიტოვებულ მერეთელებს, სწორედ თქვენი ვიზიტის შემდეგ უნდათ თანადგომა, თორემ „ბრმა“ ტყვიებით დახოცილებს გავიმრავლებთ და ეს კი შესაძლოა — ახალი კონფლიქტის, ანუ სააკაშვილ-რუსეთის შეთანხმებული, საომარი მოქმედებების ფასად დაუჯდეს საქართველოს!

წინ აგვისტოა... აფხაზეთისთვის კრემლში დაწერილი ავანტიურა 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო!

2008 წლის 8 აგვისტოს კი — აფხაზეთიც და სამაჩაბლოც 2 დღეში დაიკარგა!

**ბატონო ბიძინა, თუ საქართველოსთვის მართლა სიკეთე გინდათ, საზღვრისპირა სოფლებსა თუ ქალაქებში სიარულს მოეშვით, რადგან, შესაძლოა, თქვენი „მრჩევლების“ ახირების წყალობით, სწორედაც რომ გამიზნულ პროვოკაციაში ამოყოთ თავი და ნუ აკეთებთ ამას, რა?**

ისიც, ხომ შესაძლებელია, რომ სწორედ თქვენ დაგბრალდეთ ყოველივე და შემდეგ „ვიღაც-ვიღაცებმა“ წამოგაძახონ — რუსებთან ურთიერთშეთანხმებით და რუსებთან შეხმატკბილებულად „ააგორა“ ივანიშვილმა ყოველივე ეს?

თანაც, თქვენს გარემოცვაში იმდენი ყოფილი „მიშისტია“, რა გასაკვირია, ასეთ რჩევებს გამიზნულად გაძლევდნენ და დასაკლავი ზვარაკივით, ხან საზღვრისპირა სამეგრელოში და ხანაც საზღვრისპირა ქართლში წასვლისკენ გიბიძგებდნენ? იქნებ უკონტროლო ბანდ-ფორმირებები სწორედ ასეთი დღეებისათვის სჭირდება სააკაშვილს და ალასანიაც ამ სივერაგეზე საუბრობდა?

იფიქრეთ ამაზე, იფიქრეთ და ის, ვინც ასეთ „კეთილ“ რჩევებს გაძლევთ, დაუყოვნებლივ დააგორეთ სოლოლაკის მიხვეულ-მოხვეულ გზაზე!

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. — დანამდვილებით ვიცით, რომ ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციას გეგმავს — აცხადებს კოალიციის ერთ-ერთი სახე.**

**თუ მართლაც დანამდვილებით იცით ეს ამბავი, რას დაატარებთ ამ ადამიანს შესაწირი ზვარაკივით ისეთ ადგილებში, სადაც ტერაქტის მოწყობა უადვილესი საქმეა?**

**ი.გ**




**ლია მუხაშავრია:** — მერეთი კონფლიქტის წინა სოფელია, იქ 90-იანი წლების შემდეგ გამუდმებით სროლებია. მერეთელები ამბობენ, ღამე სროლის ხმა თუ არ ისმის, ვერ ვიძინებთ, ვკითხულობთ, ნეტა რა მოხდა, რატომ არ ისვრიანო. ანუ ეს ხალხი მუდმივად ფრონტის ხაზზე ცხოვრობდა. 2008 წლის 12 აგვისტოს მოხდა სოფლის ოკუპაცია, დაახლოებით ნაშუადღევს. ამ დროს სოფელში დარჩენილი იყვნენ მხოლოდ მამაკაცები,დაახლოებით 7-8 აგვისტოს შემდეგ, რაც ინტენსიური გახდა სროლები და აფეთქებები, მათ ქალები და ბავშვები გახიზნეს. ჩვენი ჯარების შეტევის მიმართულება მერეთზე არ იყო. თანაც ამ დროს საზოგადოება პირდაპირ ეთერში უყურებდა სააკაშვილის გამოსვლებს, რომელიც ამ დღეებში აცხადებდა, რომ ცხინვალს აკონტროლებს ჩვენი ძალოვნები, სოფლები ავიღეთ, ჯავის მიმართულებით მივდივართ და ა.შ.

თავად მე ამ პერიოდში თბილისში არ ვიმყოფებოდი, ტელევიზორს არ ვუყურებდი და ეს ინფორმაცია ვიცი ჩემი კლიენტების ნაამბობიდან. ერთ-ერთი მათგანი მიყვებოდა, რომ იგი ტელევიზორში უსმენდა სააკაშვილს და ამ დროს დაინახა, რომ მეზობელი სოფელი ცეცხლშია გახვეული. მიხვდა, რომ რაღაც ისე ვერ არის. წარმოიდგინეთ ადამიანის მეტიც, როდესაც მათ დაინახეს, რომ ვითარება დაიძაბა, დაიწყეს სოფლის თავკაცების მოძიება; აღმოჩნდა, რომ სოფლის ოფიციალური პირები ყველა წასულია, სამუშაო ადგილები მიტოვებულია და ადამიანები დარჩნენ ბედის ანაბარა. მერეთის ოფიციალურმა პირებმა არათუ დაიცვეს მოსახლეობა, ინფორმაციაც კი არ მიაწოდეს მათ საფრთხის შესახებ. უფრო მეტსაც გეტყვით, სოფელში მცხოვრებ ერთ მოხუცთან საღამოს მივიდნენ სამხედროები და სთხოვეს, მიეცა უფლება, მის ეზოში დაელაგებინათ ყუთები, რომელიც სავსე იყო ტყვია-წამლით. ამ კაცმა, რა თქმა უნდა, უფლება მისცა, მას უთხრეს, რომ დილით მოვიდოდნენ და ყველაფერს წაიღებდნენ. მეორე დილას კი მოვიდნენ რუსები და ოსები და ხომ წარმოგიდგენიათ ამ ადამიანის მდგომარეობა, როდესაც მის სახლში აღმოჩნდა არსენალი. ის იყო სრულიად განწირული. მაგრამ, საბედნიეროდ, ამ მოხუცმა ადამიანმა გამოიჩინა გამჭრიახობა, ოცლიტრიანი არყის ბოცით შეეგება რუსებს, გაუმასპინძლდა და მხოლოდ ამან იხსნა იგი აშკარა დახვრეტისაგან.



უფრო მეტიც, სოფელ მერეთის მცხოვრებთა ბაღებსა და ნაკვეთებში, რომელიც სოფლიდან მოშორებულია, ჩვენმა თავდაცვის უწყებამ დატოვა ათზე მეტი სამხედრო მანქანა, რომელიც სავსე იყო ტყვია-წამლით. ეს მანქანები აღმოჩნდა საჰაერო თავდასხმის ლეგიტიმური სამიზნე, რადგან მტერს აქვს მოწინააღმდეგის სამხედრო თავდაცვითი შეიარაღების განადგურების კანონიერი უფლება. ხომ წარმოგიდგენიათ ამ მანქანების აფეთქების შემდეგ რა დაემართებოდა იმ ბაღებს და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს. როდესაც სამი წლის შემდეგ მოსახლეობამ გადაწყვიტა იმ ნაკვეთების ხელახლა დამუშავება, აღმოჩნდა რომ ეს სახიფათო იყო, ბარს შეიძლება კიდევ ამოჰყოლოდა ნაღმის, ჭურვების ნამსხვრევი და ხელყუმბარაც კი.

მდგომარეობა, რომელიც პირდაპირ ეთერში უყურებს თავისი ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს და ამავე დროს, ხედავს რომ მეზობელი სოფელი იწვის. დარჩენილებმა გაქცევა გადაწყვიტეს. მაგრამ, სამწუხაროდ, შორს ვერ წავიდნენ. სოფლის ბოლოს უკვე ძალიან ბევრი აღმოჩნდა ტყვეობაში. ეს პერიმეტრი უკვე ოკუპირებული იყო და რუსი „ბოევიკები“ დათარეშობდნენ ტერიტორიაზე. სხვათა შორის აჩერებდნენ მანქანებს, ქალებს ძარცვავდნენ და უშვებდნენ, მამაკაცებს იტოვებდნენ, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკის მამაკაცებს და შემდეგ ეს მამაკაცები წაასხეს მათ ცხინვალში იმ ცნობილ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში. ამ ხალხს შორის იყვნენ მერეთის მკვიდრებიც.

ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ამ სოფლის გამგებელი, უბნის რწმუნებული თუ სამხედრო პირები უფრო ხშირად იყვნენ საკრებულოში, ვიდრე ჩვეულებრივ სოფლად ხდება ხოლმე. მათთან მოსახლეობას ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა, იგებდნენ ახალ ამბებს. იმ დღეს არავის გაურთხილებია ეს ხალხი. უფრო

ეს ადამიანები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში, ოკუპირებული ტერიტორიის სასაზღვრო სოფელში, მათი სავარგულების ნაწილი კი დარჩა ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ვერ სარგებლობენ.

საზღვარი, როგორც ასეთი არ არსებობს, ეს არის მხოლოდ ზეპირსიტყვიერებისა და ფოლკლორის დონეზე. მოსახლეობა გაფრთხილებულია, რომ ვილაცის ნაკვეთის ბოლოს გადის საზღვარი. იქ არ არის არანაირი სადემარკაციო ხაზი, არანაირი შემზღუდავი ღობე და ა.შ. შეიძლება ადამიანი პირუტყვს გამოედევნოს და უნებურად აღმოჩნდეს საზღვარს იქით. სწორედ ასე ხვდებიან ხოლმე ტყვეობაში. ეს ტერიტორიები არის აბსოლუტურად დაუცველი. უფრო მეტიც, მერეთი მდებარეობს ზეგანზე, გარშემო შემორტყმულია გორაკებითა და მთებით, რომელთაც სრულად აკონტროლებენ, ოკუპირებული აქვთ ოსებს. რომ არა ამ ხალხის წარმოუდგენელი გმირობა, ოსებს სრულიად თავისუფლად შეუძლიათ ამ ადამიანების სათითაოდ ამოხოცვა. იქ სოფლებში ხანდახან ღამღამობით შუქს ვერ ანთებენ, რადგან ეშინიათ, არ გახდნენ სნაიპერის სამიზნე. ანუ ეს არის ადამიანთა ყოფა წარმოუდგენელი საფრთხის პირობებში და ასეთ ვითრებაში უცებ, იქ, რაიონიდან ჩადის უამრავი ადამიანი მხოლოდ იმიტომ რომ დახვდეს ივანიშვილსა და ალასანიას და გააკეთოს პოლიტიკური ხასიათის განცხადება; მაშინ, როცა ამ ადამიანებს არა აქვთ წამალი, არ ჰყავთ ექიმი, არიან უკიდურეს გაჭირვებაში. ზამთარში არ აქვთ საწვავი, რადგან ტყეში ვერ მიდიან შეშის მოსაჭრელად, რადგან ტყე ოკუპირებული ტერიტორიააა. არ აქვთ დახმარება. ეს არის ძალიან მძიმე პირობები და ასეთ ხალხს უნდა ძალიან დიდი ყურადღება, ძალიან დიდი თანადგომა.

პოსტი არის გაცილებით შორს იმ ადგილიდან, სადაც შეხლა-შემოხლა მოხდა, ვიდრე სოფელში შეხვალ, დაახლოებით 3-4 კმ-ის დაცილებით. პოსტი არის გზაზე. და თქვენ ამ გზას გაივლით თუ გაქვთ ნებართვა ან წინასწარ შეატყობინებთ, შემდეგ იწყება ეს სოფლები, სადაც არც ერთი სამხედრო არ ჭაჭანებს. იქ რომ ჯარისკაცი დადგეს, იმას უეჭველად გამოთოფავს სნაიპერი. ეს არის უადვილესი, რადგან სიმაღლეებზე არიან ოსები და სრულიად აკონტროლებენ ამ ტერიტორიას.

ეს ხალხი არის მიტოვებული ხელისუფლების მიერ და მართლა მიკვირს, რა აკავებს დღეს ოსებს, რომ არ აგრძელებენ ოკუპაციას. იყო შემთხვევები გასულ წელს, როცა ისინი ღამით შემოვიდნენ სოფელში, ორღობეში დააკავეს ადამიანი, აწამეს, გადაასხეს ნავთი, უპირებდნენ დაწვას და შემდეგ გადაიფიქრეს. ანუ ადამიანებს ყოველდღიურად აქვთ ასეთი საფრთხეები და ისინი გმირობის ფასად აგრძელებენ საკუთარ მიწაზე ცხოვრებას. მეტიც, იქ არის ოჯახი, რომლის სახლიც აღმოჩნდა იმ სოფლის ოკუპირებულ ტერიტორიაზე და იძულებულია სკოლის შენობაში იცხოვროს, მაგრამ იქაურობას არ ტოვებს. ხოლო ჩვენი მთავრობა მას არ აძლევს დევნილის სტატუსს.

...ომი, სამხედრო მოქმედება უცილობლად გულისმხობს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას, ხოლო ეს ადამიანები მიატოვეს იქ ბედის ანაბარა. ჩვენც ძალიან გვიჭირდა თავიდან მუშაობა ამ ადამიანებთან, რადგან მათ გადაიტანეს საშინელი საფრთხე ბოლო ოცი წლის მანძილზე, აგვისტოს ომი მათთვის არის მოუშუშებელი იარა, ისინი ხედავენ რომ ბედის ანაბარა არიან მიტოვებულნი დღესაც და ასეთ ადამიანებთან ძალიან რთულია ურთიერთობა.

**„მაესტრო“**

# aqa ambavi `padoSasa~ da sxva `mcocav-mxoxavTa~ Sesaxeb

ალპინისტები და მთამსვლელები საქართველოში ვაჟკაცებად და ღირსეულ ადამიანებად იყვნენ ცნობილნი. მიხეილ ხერგიანზეც დღემდე ლეგენდები დადის. ჭიუხებისა და ციცაბო ქარაფების დალაშქვრას გმირობა და გამბედაობა სჭირდება. თუმცა, მთამსვლელთა ვაჟკაცობაც „პადოშასნაირებმა", დღეს ისეთივე გაურკვევლობის ქვეშ დააყენეს, როგორც კაცობის და ნამუსიანობის მნიშვნელობა. „პადოშად" ცნობილი მთამსვლელიც, „სახედ" ევერესტზე მისვლა გაცხადებული ასვლითა და ერთ დროს „კარგ მთამწინდლობით" იქცა. თუმცა იმ „ცნობილ ასვლაში", რომელსაც იბრალებდა და არ ყოფილა, მისი კოლეგები „გაურკვეველ ვითარებაში" დაიღუპნენ. ბევრი მისი კოლეგა ალპინისტიც „პადოშას" ამ ცნობილ ასვლასაც ეჭვქვეშ აყენებდა. თუმცა, როცა კაცი სინდის-ნამუსს გაირეცხავს და „სააკაშვილის შნირი" გახდება, აღარც ყოფილ ალპინისტობას, თბილისელობას და ყოფილ კაცობას აქვს უკვე დიდი მნიშვნელობა. „ყოფილ კაცობაზე" უბედურება დღეს მხოლოდ „პადოშობა" და სააკაშვილობა შეიძლება იყოს. ამიტომ, სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიად ქცეულ „რეალ-ტვ"-ის ეკრანზე „პადოშას", „ფლოსტებისა" თუ „პადოშასნაირების" გამოჩენაც აღარავის უკვირს. ერთ დროს „კაი ტიპად" და „კაი ბიჭად" ცნობილი, „სხვადასხვა ბატონების ევერესტზე ცოცვაში" დახელოვნებული „პადოშა" ახლა „სააკაშვილის ჯომოლუნგმაზე" ეცოცება და იქედან განაგრძობს საზოგადოების დამოძღვრას. რა ჰქნას, თუ ფული აგრერიგად „ნაყვარება"?! ადრე თუ „ოქროს მაყურისა" და ოპოზიციის მიუცოცდა, ოპოზიციაში წინაწარ ჩანერგილი (ლუსტრაციის კანონის მიღებას, თავისი არაკაცობის მისაჩქმალად თავგამოდებით ამიტომაც ითხოვდა) დღეს გიორგი თარგამაძესავით „საპარლამენტო ოპოზიციად" გვასაღებს თავს. თბილისელებში „პან ჰიმალაიკად" მონათლულმა „პადოშამაც" მეტსახელი გაამართლა. სხვების „ვაზელინწასმულობაზე" საუბრისას, თავად იქცა სააკაშვილის „ფეხსაცმლის პადოშად". ვაზელინის ნაცვლადაც, უკვე თავად ზის ყურებამდე „იმაში", რასაც ესოდენ სიამოვნებით მიირთმევდა რევოლუციონერი კამოც. როგორი ოპოზიციაც „პადოშაა", ისეთივე „რეალური ტელევიზიაა" გურგენა დონაძის „რეალ-ტვ"-ც. ან რა „რეალ-ტვ" იქნებოდა, პირველივე დღიდან „სააკაშვილის რეჟიმის მესაფლავის" — „ქართული ოცნების" წინააღმდეგ ბინძური და ჟურნალისტიკის თვალსაზრისით ყოვლად არაპროფესიონალური კამპანია რომ არ წამოეწყო და „ქართული ოცნებისა" და ივანიშვილის სალანძღავ-საქილიკოდ, 25 ივნისის გადაცემა „დღის სტუმარშიც" თავად „სააკაშვილის პადოშად ქცეული მცოცავი" რომ არ მოეწვია? „დიდმა გარეკილმა" ბრძანა და „ქართული ოცნების" რეგიონალური პოლიტიკის განსახილველად, ივანიშვილის სალანძღავად ჩაწერილებული „უთავმოყვარეო მონების ქარავანი" პატკის ჩასაბარებლად მზადყოფნაშია. სააკაშვილის სხვა „მხოხავ-მცოცავებთან" ერთად, მაყურებლის წინ „ცოცვაში დახელოვნებული", „დემოკრატიული პარტიის" თავჯდომარე თორთლაძეც გამოჩნდა „დონაძის ცისფერების რეალურ ეკრანზე". ევერესტზე როგორც იქნა აბობღებულ „პადოშას", აჰაერად, სპორტულთან ერთად, თურმე „პოლიტიკური აბობღებაც" და დეოკუპაციის თემაც ჰქონია მიზნად. „ეროვნა ავიტანე — „საქართველო ოკუპანტების გარეშეო", — მერამდენედ იმეორებდა თორთლაძე. ჩემო გია, საქართველოს და ქართულ იდეოლოგიას ნაციონალებზე დიდი ოკუპანტი არც ჰყოლია, არც ჰყავს და ღმერთმა ქნას — არც ეყოლოს. თუმცა „ლომის და კატის" იგავის მსგავსად, „ყველაფერზე ცოცვას" რომ სწავლობდი, იქედან ჩამოსვლა თუ გაქვს ნასწავლი? თუ იმ 2 000 000-ის იმედად აპირებ ყოფნას, რომელიც (ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ), „პატიმრების კომისიის თავმჯდომარეობისას" მოგართვეს და ოპოზიციაში აგენტად ჩანერგვისთვის დაგიფასდა? აფხაზეთში, სამაჩაბლოში დაღუპულ ბიჭებსა და რუსეთის პროვოკაციას რომ მიუძღვენი ეგ შენი, როგორც იქნა აცოცება, ეგ იმი, სწორედაც იმ „კაცად წოდებულის" წამოწყებული პროვოკაცია რომ იყო, ვისი „ფეხსაცმლის პადოშადაც" ქცეულხარ დღეს — არ იცი? გუშინდელი დღესავით გვახსოვს გენერალ ყურაშვილის განცხადება ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის დასამყარებლად შესვლის თაობაზე. პოსტფაქტუმ რომ გამოცხადდა — ყურაშვილს კონტუზია ჰქონდაო. კონსტიტუციური წესრიგის დამყარების იმედებიანი სააკაშ-




ვილის თავდაცვის ექსმინისტრი, შენი ყოფილი მეგობარი ოქრუაშვილიც კოდორში სპეცოპერაციისა და კოდორის მოსახლეობის განიარაღების დროს. ესეც, როგორც 2008 წლის აგვისტოში გამოჩნდა, კოდორის (დალის ხეობის) ერთი გასროლის გარეშე რუსეთისთვის ჩასაბარებლად სჭირდებოდა შენს მბრძანებელს, ჩემო „პადოშ". სამაჩაბლოში გაგზავნილი სატვირთო მანქანების კოლონების თვითმხილველნიც გახლავართ და „გამარჯვებული სააკაშვილის" პიარისთვის წინასწარ გამზადებული დროშებისა და ტრიბუნებისაც. „სამაჩაბლოს დაბრუნებულ მთავარსარდალს" (სარწმუნო ინფრმაციით) პოპოვისთვის სოლიდური თანხა ჰქონდა გადახდილი. რუსებმა „აჭამეს" და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების ნაცვლად, მეორე ცეცხლი კოდორიდან გაუხსნეს. იქაც, (როგორც ჩანს, გეგმის მიხედვით), საკაშვილი, დაგებულ ასფალტზე ახროგინეს ტანკები. ამდენ ხანს ჩვენს იურისდიქციაში შენარჩუნებული ზემო აფხაზეთად გადაქცეული კოდორიც ერთი გასროლის გარეშე ჩააბარა მტერს, შენმა „აღეკვატურმა". საკაშვილი „ჰალსტუკით" საბოლოოდ რომ არ დამხრჩვალიყო და რუსები თბილისში არ შემოსულიყვნენ, შენმა „მაღალმა და მხოხავმა" აფხაზეთის ეს ეროვნული ფორფოსტიც დათმო. „მცოცავ-მხოხავებსაც" ბიოლოგიურ-სულიერი კავშირი რომ გაქვთ, ამის დასტური „ტყავის გამოცვლის" თქვენი საუცხოო უნარიცაა. დიდ ფულზე ხან ერთი ბატონის მონობას თანხმდებით, ხან მეორისას. თავდაცვის მაშინდელი მინისტრის მოადგილის —ქუთელიას განცხადებებიც: „ამა და ამ საათზე, ამა და ამ სტრატეგიულ წერტილს ვიკავებთო" და ცხინვალის მოსახლეობისთვის სააკაშვილის „დამაიმედებელი დაპირებაც": „ნუ გეშინიათ, სიტუაციას ვაკონტროლებთ, სახლებში დარჩითო!", — გვახსოვს. მტრის სამიზნე, ამ „სახლებში დარჩენილების", ტრიალ მინდორზე დატოვებული რეზერვისტებისა და ჩახოცილი მძინარე ოსებისთვის „პატივის მისაგებად" ევერესტზე აცოცება რა საჭირო იყო? ან გორის დამომბვაზე რუსებთან 50 000 დოლარად გარიგებული გივია თარგამაძე რატომ დაგვიწყდა? ჩვენი თვალით




მაინც არ გვენახა ღამის 11 საათზე ქართული მზრიდან გაშვებული ტრანსირებული ტყვიების კადრები, რომელსაც „გურგენის ტელევიზიები" და ნაციონალების დაფინანსებული ფილმი ოკუპანტებისგან ნასროლ „გრადის ტყვიებად გვისაღებენ. ნამდვილი მთამსვლელები, კაცობასთან ერთად, სიმართლის თქმითაც გამოირჩეოდნენ. სამაჩაბლოში შეჭრის აშშ-სთან წინასწარ შეთანხმებულ გეგმაზეც, აგვისტოს ომში ქართულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შავკანიანების მონაწილეობაც მეტყველებდა. არ მითხრა ახლა, ეგენი „სირცხვილისგან გაშავებული" ქართველი მეომრები იყვნენო?! „რესპუბლიკელებზე" რომ საუბრობ, „წურბელელებივით ეტმასნებიან" ხან ერთ, ხან მეორე სუბიექტებს, შენ რითი განსხვავდები, „პადოშ", მათგან? ჯერ ოქრუაშვილის ფულებს მიეტმასნე (ოპოზიციონერის იმიჯი რომ შეგექმნა), დავალების შესრულების შემდეგ კი, ისევ შენი ბატონის გვერდით დადექი და დაშმულ ქვეყანაში მილიონები აკეთე? აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის, ივანიშვილისა და ალასანიას მიმართ კეთილგანწყობაც „შავი პიარის" ნაცვლად, ანტიპიარად გამოგივიდა. სააკაშვილისგან განსხვავებით, ყველა ქართველისთვის აფხაზებთან ურთიერთობის დალაგება და ამ ძირძველი კუთხის დაბრუნება უმთავრესი ამოცანაა. უტიფრად მიიტყუე ზურჯანიასა და ივანიშვილის მიერ სახლის დანგრევის ფაქტზეც. იმ სახლის პატრონს ამერიკელი ცოლი ჰყავს და სამმაგი ანაზღაურების საფასურად დიდი სიამოვნებით გაყიდა სახლი და თავად წავიდა საქართველოდან.

რაც შეეხება ივანიშვილის მიერ კულტურის, ხელოვნების მუშაკთა და მეცნიერთა პენსიებსა და დაფინანსებას, ალბათ, „პადოშა" უნდა იყო, რომ ენა მოგიბრუნდეს და თქვა, რომ „რუსეთის ინტერესებში იყო ივანიშვილი ყველაზე „ცნობად" ადამიანებს რომ აფინანსებდაო. „რატომ არ აფინანსებდა 10 შვილიან ოჯახსო?" იქნებ შენს გალოტებულ პრეზიდენტსა და თანაპარლამენტარებს ჰკითხო — რატომ იყიდა სააკაშვილმა აუქციონზე 7 მილიარდ მინიატურული ცხენი ან „რუსლანებში, კუტუნიეფში, ხუცრებში", ყინულის მოედნებში, კარუსელებში, თვითმფრინავებში და „გრიალისთვის" რატომ ანიავებს ქართველი ხალხის ფულს? შე, მამაცხონებულო, ივანიშვილს საკუთარ ფულს რომ უთვლი, სააკაშვილს დაუთვალე ქართველი ხალხის ქონებისა და ბიუჯეტის თანხების ფლანგვა. ასეთი არითმეტიკა ნამუსგარეცხილობას უნდა მიაწეროთ, თუ სიმაღლეზე ასვლით ტვინში გამოწვეულ „იოდის ნაკლებობას"? „რეალ-ტვ"-ს თუთიყუშივით" რომ იმეორებდი ივანიშვილი ხალხს „1000 ლარიანი ოცნების" ახდენის სანაცვლოდ 1-2 ლარის შეტანას სთხოვსო. შენც ხომ კარგად იცი ჩემო „პადოშ", ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ოცნება დღეს სააკაშვილისა და შენისთანების თავიდან მოცილება რომაა? სააკაშვილის შემხედვარე, იმას რომ იტყვის ნორმალური კაცი: „ან ეს ადამიანი (ივანიშვილი ბ.ა.) შეიშალა ჭკუიდან, ან იტყუება და ისიც არ უსწავლია ბავშვობაში, ტყუილი როგორ უნდა თქვასო", ამის შემდეგ, თავად შენ თუ ხარ ნორმალური? ნამდვილი მთამსვლელები, კაცობასთან ერთად სიმართლის თქმითაც გამოირჩეოდნენ. სააკაშვილივით, ტყუილის თქმა ბავშვობაში, ჩანს შენც გისწავლია. სიყალბეში გამოწრთობილი ტელევიზიის წამყვანმაც კვერი დაგიკრა: „ცუდია (ივანიშვილი ბ.ა.), ტყუილის თქმა რომ ვერ ისწავლესო". ვინ მოგცა უფლება „პადოშას", „ფლოსტსა" და მიშას „პირად შნირს" კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენლებზე ილაპარაკო სახელმწიფოზე დამოკიდებულნი იყვნენ, სახელმწიფოსგან მიცემულ მანქანებსა და ბინებს ჰყიდნენ და არაფერს წარმოადგენდნენო. მართალია ენას ძვალი არა აქვს, თან ისეთ ენას, რომელიც საუბრისას პირიდან გივარდება, მაგრამ ტვინი და აზრი ხომ უნდა დააყოლო ნათქვამს? დიახ, მაშინდელი სახელმწიფო აფასებდა ხელოვანს, მეცნიერს და კულტურის მოღვაწეების ამაგს. შესაძლოა, ვიღაც ჰყიდდა კიდეც მანქანასა და ბინას, მაგრამ მაშინდელი სახელმწიფო პატივს სცემდა ქვეყნისთვის ამაგდაწეულ ღირსეულ ადამიანებს. არ „ჩაურეცხავს" და ულუკმაპუროდ, „ზვალინდელი დღის შიშით" არ დაუტოვებია არავინ. ეს ღირსეული პიროვნებები იმაზე ბევრად მეტს აკეთებდნენ ქვეყნისთვის, ვიდრე კლდეზე ცოცვა იყო ჩემო „პადოშ". ან ვის ბინებზე და მანქანებზე საუბრობ, როცა ავტოფარეხები და ჰექტრები არ ეყოფა ნაციონალური მოძრაობის ბინებსა და მანქანებს? ჩემს ოჯახს არც მანქანა მიუღია ვინმესგან, არც ბინა და დღეს ივანიშვილის გვერდით ვდგავართ. შენ სად დგახარ და სად აღმოჩნდები ბოლოს, „პადოშ"?— ჯობია იმაზე იფიქრო. ამდენი ტყუილის თქმა, რაც წამყვანმა და „პადოშამ" ერთად ერთ გადაცემაში იკადრეს, როგორ უნდა მოახერხოს ადამიანმა?— „ეს ადამიანი აქციებზე ღმერთკაცსა და ღმერთისგან კურთხეულს უწოდებენ ივანიშვილსო", — თქვა წამყვანმა. „როცა ადამიანს ღმერთსა და წმინდანს ადარებ, თავზე ვაზელინს რომ ისვამენო", — თორთლაძემაც კვერი დაუკრა. ჩემო „პადოშ", „ვაზელინის წამსმელებში" შენს თავს ან ღმერთკაცში „ადმაშენებლობაზე ჩაციკლულ" შენს გარეკილს ხომ არ გულისხმობ? ვის მკრეხელობაზე საუბრობ, ეკლესიების დამანგრეველი, ქართული ენის გამთახსირებელი, ხატების ხელოვნებისა და ციხეებში ამკრძალავი და ბაგრატის ტაძრის მომსპობისა და მისი კვალის წამშლის მოსურნე პრეზიდენტის ხელში? რომელი უფრო დიდი მკრეხელობაა?!

შენს ადგილას, ამ გადაცემის შემდეგ, მთასა და კლდეს (იოდის დეფიციტის გამო) სერიოდ აღარ გავეკარებოდი, თორემ ისედაც ამ „ბრძნულ აზრებს" შესაძლოა კიდევ დაემატოს სხვაც და „უხელებო პერანგის კანდიდატად" თავად იქცე. ივანიშვილისთვის გრამატიკულ შეცდომებსა და ლექსებზე საუბრის ნაცვლად, სააკაშვილის გაგეხსენებინა: მუხრან მაჭავარიანთან სპეციალურად ჩასულმა შენმა „ნორმაში მყოფმა", „ბავშვობის უსაყვარლესი ლექსის" ერთი სტროფიც რომ ვერ თქვა სწორად. „გა-



ზაფხულის მოტყვანებაზე", ილორისა სულორის, ანა კალანდაძისა და გალაკტიონის ერიმანიაში არევაზე, ამირანის ნაცვლად პრომეთესთვის, არწივის ნაცვლად კი ყვავისთვის და ჩაქუჩით ხელში ლურსმნებით ჭედებაზე, „არგონავტების შთამომავალ კოლხებზე", პომპეუსისგან თბილისისთვის ფეხების მოუჭმლობაზე — ალარაფერს ვამბობ. ლურსმნებიც, შენმა „ნორმაში მყოფმა", ალბათ ქრისტესთის სამსჭვალის ჩაჭედებაში აურია. ასე ერთიანად გაუნათლებელი, უვიცები, ნაკლულები და უტიფრები როგორ შეიყარეთ ერთად? „პადოშამ" ივანიშვილის ეკონომიკური პროგრამაც რომ დაუწუნა: „გურულებს გაფორეჯებაზე უნდა ელაპარაკო. ვიცი, გურულების ამბავი და სახლში ლაპარაკობენ — ეს კაცი (ივანიშვილი ბ.ა.) ნორმაში ვერ იყოო". მთელი საქართველო და დასავლეთი დიდი ხანია სააკაშვილის არანორმალურობას თავის თვალით ხედავს და „ევერესტზე მძრომალებისთვის" რატომ არის ასეთი დაუნახავი ეს? ხკამის და სააკაშვილთან ნაშოვნი ფულის დაკარგვის შიშით, ეტყობა უკვე თავად „პადოშაც" ველარა „ნორმაში". ფიზიკურ ნაკლთან შეხება არ მინდოდა, მაგრამ როცა „პადოშას" მეტყველების მქონე კაცი ვინმეზე იტყვის „ყრუსო", კომენტარის გარეშე ვერ დავტოვებ. ბუნებრივია, „ივანიშვილის ფსიქოანალიზსაც" — ივანიშვილს წარმოდგენა არა აქვს რაზე საუბრობსო, „პადოშას" „წოკლაურის, ოჩიაურისა და თავხელობის ფსიქოანალიზი ურჩევნია". თუმცა, თუ „მცოცავობამ" ჭკუა სულ მთლად არ გამოურეცხა, უნდა ხედავდეს, რომ ივანიშვილის თანმიმდევრულ ფსიქოლოგიურ სვლებს ეტაპობრივად ისე გამოჰყავს წყობიდან " ნორმაში მყოფი სააკაშვილი", რომ უკვე საეროპროსო თანამდებობაც კი ჩააფიქრა ამან. „უსახელო პერანგის" ჩამოცმას რაც შეეხება: პარგჩამოუჭმლადაც, „ტანსაცმლიანი გიჟი" რომ დარბის ამდა-დაღმა საქართველოში, ფეხდაფეხ რომ დასდევს ივანიშვილს და მისგან გაცხადებულ ეკონომიკური პოლიტიკის ნაბიჯებს ვითომ რომ ასწრებს, ამასაც ვერ ხედავ „პადოშ"?

**ბაია მაშუკელი**

# `araCveulebrivi nacizmi~ _ aCveneT es filmi saqarTvelos da miSasgan aRaraferi darCeba!

ამასწინათ კლუბ „ჯაზუში“ ამირან ამირანაშვილის დოკუმენტური ფილმის „არაჩვეულებრივი ნაციზმის“ ჩვენება შედგა.

აჩვენეთ ეს ფილმი მთელ საქართველოს და მიშასგან (რეჟიმის კრებსითი სახელი) აღარაფერი დარჩება! — ასეთი იყო აუდიტორიის დასკვნა

ამბობენ, სამამულო ომის დროს, შეტევაზე გადასვლის წინ, სტალინის ბრძანებით 100-100 გრამ სპირტს ურიგებდნენ საბჭოთა მეომრებსო; ამბობენ, ქართველი ხალხის დასარბევად გამოყვანილ ქართველებითვე და ქართველებისავე შექმნილ ე.წ „სიკვდილის ბრიგადებს“ გასამხეცებლად სპეცწამალს აძლევს საქართველოს ხელისუფლებაო — ხსენებული ფილმი, „არაჩვეულებრივი ნაციზმი“, არის ის „100 გრამი“ და ის „სპეცწამალი“, რომელიც საქართველოს ყველაზე ღრმად ჩაძინებულ, დაბრმავებულ თუ დაყრუებულ მოქალაქესაც კი გამოაღვიძებს, თუ, რა თქმა უნდა, გონებრივად და სულიერად ჯანმრთელია და მასაც სისხლიანი ხელები არ აქვს...

„ივანიშვილი რომ დადის რაიონებში, გააკრას ერთი ზეწარი და ყველგან აჩვენოს ეს ფილმი. რა უნდა, 20 წუთია, სანამ დასარბევად მივლენ, მოასწრებს ჩვენებას!“, — ლამის ყვიროდა ასაკოვანი უცნობი მამაკაცი და კვერს უკრავდნენ გარშემო მდგომები; „ამის მნახველ ხალხს ველარ მოერევიან მიშას ზონდერები!“, „ამ მკვლელების დედებმა და ცოლებმა უნდა ნახონ ეს!“, „იმ ბიჭივით ყველამ უნდა ავიღოთ თითო კომბალი!“

„იმ ბიჭივით“ — ვისზეც ითქვა — 26 მაისს გადაღებულ კადრებში ჩანს თავფეხიანად დაცული, „დუბინკით“ შეიარაღებული სპეცრაზმელისა და აქციის მონაწილის, ფანერის „ფარითა“ (სიმბოლურია — „მიშა, წადი!“ ეწერა მომცრო ტრანსფარანტებს მეორე მხრიდან) და ალუმინის ჯოხით „ალკაზმული“ მამაკაცის „ორთაბრძოლა“, ვერ დაჯაბნა გაწვრთნილმა და გავეშებულმა რეჟიმის სახემ აქციის უცნობი და უნიღბო რიგითი მონაწილე, თუმცა გულანთებული ქართველი, სანამ აფთრებივით არ მიესივნენ ხროვის სხვა წევრები, მერე კი რა უქნეს, ცოცხალი მაინც თუ დარჩა, ვინ იცის...

აფხაზეთიდან დევნილი 29 წლის გიორგი მალაზონია რომ გონდაკარგული დაეცა და კვლავ განაგრძობდნენ მის ცემას, დედა, თამარ ჯობავა გადაეფარა მთელი ტანით და არც ის დაინდეს...

**ამირან ამირანაშვილი, რეჟისორი:** — „როგორც საავტორო ფილმი, ფესტივალებზეც იქნება გაგზავნილი, მაგრამ გადავილე იმიტომ, რომ ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, ჩემი ტკივილია. მე, როგორც დოკუმენტალისტს, არ შემეძლო არ ამესახა ის რეალობა, რა დღეშიც საქართველოს მოსახლეობაა.

**— როგორც ვიცი, საქართველოში არ მოღვაწეობდით.**

— საქართველოში ჩამოვედი ორი წლის წინ, მანამდე, ვმუშაობდი მოსკოვში I არხზე. 26 მაისს თბილისში არ გახლდით, მოსკოვში ვიყავი მიწვეული ფესტივალზე, ამდენად, დარბევას ვერ შევესწარი. სადაც, ალბათ, ბევრიც მომხვდებოდა, მაგრამ ბევრ რამესაც გადავიღებდი... ყველაფერს აქვს საზღვარი — ეს ყველამ უნდა ნახოს! იმიტომ არის ფილმი მხოლოდ მუსიკაზე აწყობილი, რომ ვფიქრობ, საშინელ რეალობას მოვუძებნე ფორმა, სადაც ლაპარაკი არ არის საჭირო — ეს, უბრალოდ, უნდა ნახო — ამას ვერ მოუყვები ადამიანს, ეს უნდა გაიარო, ეს უნდა იგრძნო.

**— თქვენ, შეიძლება, ვერ შენიშნეთ, მაგრამ მამაკაცებსაც ჩემსავით ჩამოსდიოდათ ცრემლი...**

— კი, შევნიშნე, ბევრი ტიროდა... ვიცოდი, რომ მძიმე საყურებელი იქნებოდა, მაგრამ ასეთ მძაფრ რეაქციასაც არ მოველოდი. მირეკავენ ადამიანები, რომლებსაც უნდათ ფილმი გადაგზავნონ საქართველოს ფარგლებს გარეთ... აშშ-ში, საბერძნეთში, ინგლისში და აჩვენონ ხალხს...



## გთავაზობთ საქართველოს დღევანდელი რეჟიმის მსხვერპლთა არასრულ სიას:

**ართმელიძე მარად** (2006წ. თბილისი. მოკლეს სპეცოპერაციის დროს); **აფრასიძე ევგენი** და **აფრასიძე ომეხ** (2004წ. მესტიის რაიონი. სპეცოპერაციის დროს მოკლული მამა-შვილი); **ბაბუხადია ზვიად** (2006 წ. ბაღდათის რაიონი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **ბარ-**წ. სოფელი ჩონჩხათი); **თელია გია** (2006წ. მოკლულია სპეცოპერაციისას); **კვეზერელი ალექსანდრე** (2008წ. გურჯაანის რაიონი. მოკლულია შსს კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს მე-6 განყოფილების ყოფილი უფროსის ოთარ გოგოციშვილის მიერ); **კვირიკაშვილი შოთა** (2005წ. თბილისი.); **კიზირია ბუთხუზ** (2006წ. სოფ. ვარციხე. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **კირაკოსიანი მიხეილ** (2007წ. საპატრულო პოლიციის მიერ მოტოციკლეტის გაჩერების მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო მოკლუ-ჭრილობებით); **ქარდავა მურთაზ** (2004წ); **შავაძე როინ** (2008წ. 16 აგვისტო. მოკლეს წამებით); **ჩარჩხალია მამუკა** (2009წ. თბილისი.); **ჩაფიძე ჯემალ** (2006წ. თერჯოლის რაიონი. მოკლულია დაკავებისას); **ცეკვავა თემურ** (2005წ. აბაშის რაიონი. მოკლულია დაკავებისას); **ცინდელიანი გელა** (2006წ. სოფ. ჭუბერი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **წულიაშვილი ეთერ** (2003წ. თბილისი. ჯავშანტრანსპორტიორის დაჯახების მსხვერპლი); **ჭარბაძე გიგა** (2007წ); **ხოსიტაშვილი ალექსანდრე** (2007წ. სოფ. დიღომი. გარდაიცვალა პოლი-

**ქაია დიკო** (2004წ. ზუგდიდი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **ბენდელიანი ვალერი** (2006წ. ბაღდათის რაიონი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **ბერძენიშვილი მიხეილ** (2006წ. საგარეჯო. მოკლულია დაკავებისას); **გამცემლიძე გიორგი** (2008წ. თბილისი. მოკლულია პატრულინსპექტორის მიერ); **გველუკაშვილი ოთარ** (2004 წ. მოკლულია სოფ. კარდენახში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს); **გირგვლიანი სანდრო** (2006წ. ოქროყანა. გარდაცვლილია შსს თანამშრომლების მიერ მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით); **გოგია თენგიზ** (2008წ. სენაკი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს, ჩაცხრილეს საკუთარ სახლში); **გომაშვილი ალექსანდრე** (2004წ. მოკლეს დაკავებისას); **გორგაძე მურად** (2006წ. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **გუმაშვილი ავთანდილ** და **გუმაშვილი ვახტანგ** (2005წ. სოფ. დუისში ჩატარებული სპეცოპერაციისას მოკლულები); **გულუა ლევან** (2005წ. თბილისი. მოკლეს დაკავებისას); **ესებუა ნესტორ** (2005წ. აბაშის რაიონი. მოკლულია დაკავებისას); **ვაზაგაშვილი ზურაბ** (2006წ. თბილისი. სპეცოპერაციის დროს მანქანაში ჩაცხრილეს); **თაბაგარი ალექსანდრე** (2005









ლი); **კობერიძე ნინო** (2011წ. კნოლევი); **კოკაია ხვიჩა** (2006წ. ხობის რაიონი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **კორკოტაშვილი აკაკი** (2005 წ. გურჯაანი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **კრიალაშვილი გია** (2009 წ. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **კუკულავა ანტონ** (2004წ. მოკლულია დაკავებისას); **კურკუმული თამაზ** (2005 წ. თბილისი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **ლომიძე სულხან** (2004წ. ხელვაჩაური. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **მანთაძე ზურაბ** (2008წ. თბილისი. მოკლულია დაკავების შემდეგ); **მანია ნუგზარ** (2010წ. ზუგდიდი); **მანჯავიძე გიორგი** (2005წ. თბილისი.); **მარგოშვილი ვახტანგ** (2005წ. მოკლულია საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისას); **მახარაძე როლანდ** (2007 წ.); **მეგრელიძე ჯიმი** (2009 წ. ზუგდიდი. მოკლულია დაკავებისას); **მელაძე გიორგი** (2005წ. თბილისი); **მესხიძე ოლეგ** (2007 წ. ოზურგეთი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **ნემსიწვერიძე ვარლამ; რობაქიძე ბუტა** (2004 წ. დიდუბის პანთეონთან ხელებაწეული მოკლა პატრულმა); **სარჯველაძე რევაზ** (2005წ. თბილისი. მოკლულია დაკავებისას); **საყვარელიძე დავით** (2003წ. თბილისი. ჯავშანტრანსპორტიორის დაჯახების მსხვერპლი); **სურმანიძე რომან** (2006 წ. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **ოკუჯავა გია** (2005წ. აბაშის რაიონი. მოკლულია დაკავებისას); **ფანცქველაძე ზაზა** (2004 წ. ზუგდიდი. მოკლულია სპეცოპერაციის დროს); **ფხაკაძე ვალერი** (2006წ. ქუთაისი. გარდაიცვალა დაკავებისას მიყენებული ციელების ცემის შედეგად); **ხოშტარია ვლადიმერ** (2005წ. მოკლეს დაკავებისას); **ხუბულოვი ალექსანდრე** (2006წ. თბილისი. სპეცოპერაციის დროს მანქანაში ჩაცხრილეს); **ხუბუნაია თემურ** (2004წ); **ჯაბანაშვილი ჯაბა** (2006წ. ბორჯომი.);

ეს, რაც ისეთი ფაქტებია, რომელთაც ვერანაირი „თეთრი ძაფი“ რომ ვერ კერავს, თორემ, ოფიციალური ვერსიით „უბედური შემთხვევები“, „პოლიციის მხრიდან ადეკვატური ქმედებები“ და ა. შ მაგრამ რეალურად მოკლული ადამიანები ცალკე თემაა.

ე.წ „ციხის ბუნტის“ დროს, ოფიციალური ვერსიით, მოკლულია 7 პატიმარი, თუმცა, არაოფიციალურად სხვა ციფრი სახელდება. იგივე ითქმის 2011 წლის 26 მაისს გარდაცვლილებზეც, (ოფიციალურად, დენის დარტყმისგან გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი, რომლებიც სახურავზე ბორკილდადებულები ნახეს), ამ დარბევის შემდეგ, მტკვარში, „თვითმკვლელობის მიზნით“ ზურგსუკან ხელებგაკრული გვამების აღმოჩენაზეც, პოლიციის შენობის კიბეებზე „დაცემულ“, მაგრამ რეალურად ნაწამებ და მოკლულ სოსო ქიმერიძეზე და ა. შ რომელი და რამდენი ერთი ოფიციალური ვერსიააა...

კიდევ ერთხელ ვუცხადებთ თანაგრძნობას ყველა გარდაცვლილის ჭირისუფალს და ამავდროულად ბოდიშს ვუხდით იმ ჭირისუფლებს, რომელთა ოჯახების გარდაცვლილ წევრთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

**მაია ჭელიძე**

# რამდენად უსაფრთხოა შაქრის შემცვლელები

დიაბეტიანებს ექიმები ურჩევენ, შეზღუდონ ან საერთოდ უარი თქვან შაქრის მიღებაზე. ბევრისთვის ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის ტკბილზე უარის თქმა, სწორედ ასეთი ადამიანებისთვის გამოიგონეს შაქრის შემცვლელები.

შაქრის შემცვლელები შესაძლოა იყოს ბუნებრივი და ხელოვნური.

### ბუნებრივი შაქრის შემცვლელები

ბუნებრივ შაქრის შემცვლელებს, რომლებსაც ხშირად საკვებ დამატკბობლებსაც უწოდებენ, შეიცავს ზოგიერთი მცენარე, ხილი, კენკრა, ბოსტნეული; მათ მიეკუთვნება ფრუქტოზა, ქსილიტი, სორბიტი, მალტიტი, იზომატი.

ბუნებრივი შაქრის შემცვლელები სისხლში შაქრის დონეს გაცილებით ნაკლები ხარისხით ზრდის, ვიდრე ჩვეულებრივი შაქარი. ამასთან, მათ ათვისებას არ სჭირდება ინსულინი.

### გაითვალისწინეთ:

– როდესაც დიაბეტი არაკომპენსირებულია და სისხლში შაქრის დონე მაღალია, არ შეიძლება სორბიტის მიღება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პაციენტებს, რომლებიც რეგულარულად იყენებდნენ სორბიტს, ადრეულად უვითარდებათ პოლინეიროპათიები, ასე რომ, სორბიტისა და ქსილიტის მიღება მხოლოდ მაშინნარის დაშვებული, როდესაც დიაბეტი კომპენსირებულია.

– სორბიტი დიდი დოზებით (ერთჯერადად 30 გრამზე მეტი) იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობას.

– ბუნებრივ შაქრის შემცვლელებში არის კალორიები (1გ=4კკალ), ამიტომ დღე-ღამეში მხოლოდ 30 გრამის მიღებაა დაშვებული.

– დიაბეტიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველი პროდუქტის შეძენისას აუცილებელია, ეტიკეტის მეშვეობით შეამოწმონ, ხომ არ აღემატება პროდუქტში გამოყენებული საკვები დამატკბობლები დაშვებულ დონეს (30 გრამზე მეტი).

### ხელოვნური შაქრის შემცვლელები

ხელოვნური შაქრის შემცვლელი ბევრია, მათ მეორენაირად ინტენსიურ დამატკბობელებსაც უწოდებენ. ესენია: ასპარტამი, ციკლამატი, საქარინი, სუკრალოზი, სტევია.

ხელოვნური შაქრის, შემცვლელები ბუნებრივი შაქრის შემცვლელებისგან განსხვავებით, სისხლში შაქრის დონეს არ ზრდის, შესაბამისად, მათი გამოყენება შეიძლება არაკომპენსირებული დიაბეტის დროსაც. გარდა ამისა, ისინი არ შეიცავს კალორიებს და ჭარბ წონასთან ბრძოლაშიც გამოსადეგია.



დასახელება „ინტენსიური" იმაზე მიუთითებს, რომ შაქარზე ბევრად უფრო ტკბილია და სწორედ ამიტომ გამოიყენება ძალზედ მცირე დოზებით.

ინტენსიური დამატკბობლის სახე ყოველთვის მითითებულია პროდუქტის ეტიკეტზე.

ყველაზე გავრცელებული ინტენსიური დამატკბობლებია:

ასპარტამი – **E 951**, კომერციული დასახელებებია სვიტლი, სლასტილინი, სუკრაზიდი, ნუტრისვიტი. 200-ჯერ ტკბილია შაქარზე. რეკომენდებული არ არის ფენილკეტონურიით (თანდაყოლილი დაავადება, რომელიც ნივთიერებათა ცვლის მოშლას გულისხმობს და მემკვიდრეობით გადაეცემა) დავადებულთათვის.

ციკლამატი – **E 952** (ცუკლი), არარეკომენდებულია 1,5-დან 4-წლამდე ბავშვებისათვის დღეში სამ ულუფაზე მეტი სასმელი ან ფაფა, რომლებიც მას შეიცავს;

საქარინი – **E 954**, დაშვებულია ბევრ ქვეყანაში, თუმცა მისი გამოყენება მაშინ, როდესაც ადამიანს დიაბეტი არ აქვს, სასურველი არ არის.

ასევე არ შეიძლება მისი გამოყენება ბავშვებისთვის და მათთვის, ვისაც თირკმლის ან ღვიძლის პათოლოგია აქვს.

კალიუმის აცესულფატი – **E 950**, შაქარზე 200-ჯერ ტკბილია, არ არის რეკომენდებული იმ დაავადებების დროს, რომელთა მიმდინარეობისას კალიუმის მიღებაა შეზღუდული;

### გაითვალისწინეთ:

– ციკლამატი ჩვეულებრივ შაქარზე 30-ჯერ, საქარინი კი 300-ჯერ უფრო ტკბილია, თუმცა ხელოვნური ნიშნავს ქიმიურს, ნებისმიერი ქიმია კი დიდი დოზებით ტოქსიკურია. ამიტომ ხელოვნური შაქრის შემცვლელების მიღება შეიძლება მხოლოდ ასეთი სქემით – 2,5 მგ სხეულის 1 კგ-ზე.

– არარეკომენდებულია ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის;

– ნებისმიერი მათგანი ვერ უძლებს თერმულ დამუშავებას და მწარე ხდება.

– ნებისმიერი მათგანი უნდა მიიღოთ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით, რადგანაც ისინი მხოლოდ კვებითი დანამატები არ არის;

– შაქრის ყველა შემცვლელს ახასიათებს ძლიერი ნაღვლმდენი ეფექტი, ამიტომ სანაღვლე გზების დაავადების მქონეებთ, შესაძლოა დაავადება გაუმწვავდეთ.

– შაქრის შემცვლელებს არ შეუძლია სისხლში შაქრის დონის დაქვეითება და არც დიაბეტის სამკურნალო წამლებია.

– წესად გაიხადეთ და პროდუქტის შეძენისას მის ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაცის გაეცანით;

– ადამიანის მოთხოვნილება შაქრრის მიმართ ინდივიდუალურია, ამიტომ შაქრის შემცვლელის არჩევისას დიდი დაფიქრება გვმართებს.

# ჩვენი სხეულის არომატები, ანუ ერთი შესუნთქვით შეყვარება

ფერომონები – ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, რომლებსაც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის სპეციალური უჯრედები და ენდოკრინული ჯირკვლები გამოიმუშავებს. მათ შედარებით მცირე მოლეკულური მასა გააჩნია და მაღალ აქტიურობას ამჟღავნებს ჰაერში ყველაზე დაბალი კონცენტრაციით მოხვედრისასაც კი.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით, არსებობს ფერომონთა საკმაოდ მრავალფეროვანი ჯგუფი. ცნობილია შიშისა და განგაშის, სქესობრივი სიმწიფის, ქცევის, სიხარულის, სიყვარულისა და ვნების ფერომონები; ყველა მათგანი მფრინავი არომატია, ადვილად გამოიყოფა ჰაერში და სწრაფადვე იშლება.

### იაკობსის ორგანო

ფერომონების მოქმედება მთლიანად ადამიანის ვომერონაზალურ ორგანოზეა დამოკიდებული. იგი პირველად მე-18 საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიელმა ექიმმა იაკობსმა ცხვირში დაჭრილი ჯარისკაცის მკურნალობისას აღმოაჩინა. მანამდე ფიქრობდნენ, რომ ვომერონაზალური ორგანო მხოლოდ ემბრიონს ჰქონდა და დაბადებისთანავე ქრებოდა.

300 წლის შემდეგ, სულ რამდენიმე წლის წინათ კი, ამერიკელმა ფიზიოლოგებმა ეს ორგანო ხელახლა აღმოაჩინეს. იგი ყველას აქვს, ეს არის თითოეულ ნესტოში მოთავსებული პატარა, 1 მმ დიამეტრის ჩაღრმავება, რომელიც ორი ასანთის ჩხირის ზომის მილში გრძელდება, ჩაღრმავებაცა და მილის კედლებიც მთლიანად დაფარულია რეცეპტორებით, რომლებიც სიგნალს ყნოსვის ცენტრის გვერდის ავლით, პირდაპირ თავის ტვინს უგზავნის.



სწორედ იაკობსის ორგანოს დამსახურებაა, რომ ფერომონები ასე მოქმედებს ადამიანზე და ბოლომდე გაუცნობიერებელ ემოციებს იწვევს, მათ შორის – სექსუალურსაც.

იაკობსის ორგანო სპეციფიკურად არის აწყობილი ფერომონებზე და შეუძლია ჰაერში ამ ნივთიერების მილიგრამის მემილიარდე ნაწილიც კი ამოიცნოს.

დღეისთვის ადამიანის 30-მდე ფერომონია ამოცნობილი. მათი უმრავლესობა ცხვირის ნესტოების კანში, კისრის, შორისისა და საზარდულის არეში გამოიყოფა.

ამოცნობილია ის ფერომონებიც, რომლებიც გარკვეულ ურთიერთობებს იწვევს ახლო ნათესავებში, მაგალითად დის, დედის ფერომონები მამაკაცში თრგუნავს სექსუალურ აქტივობას. არსებობს მეძუძური დედის ფერომონი, რომელსაც ახალშობილი ყველაზე უკეთ განსაზღვრავს და პატარა არსება ხვდება, სად წევს დედიკო.

ცნობილია ბიოლოგიურად აქტიური ისეთი ფერომონები, რომლებიც ამშვიდებს ადამიანს, უქვეითებს არტერიულ წნევას და უმცირებს გულისცემას.

### სასქესო ფერომონები – ატრაქტანტები

მეცნიერთათვის განსაკუთრებით საინტერესოა სასქესო ფერომონები – ატრაქტანტები: ანდროსტენორი და კოპულინი.

ანდროსტენორი მამაკაცის საოფლე ჯირკვალში წარმოიქმნება, კოპულინი კი ქალის ვაგინალური ჯირკვლების სეკრეტია. სწორედ ეს ორი ფერომონია, რომლებიც ადამიანებს საპირისპირო სქესის ყურადღების მიპყრობაში ეხმარებიან.

მამაკაცთა 10 პროცენტი ოფლთან ერთად გამოყოფს განსაკუთრებულ ფერომონებს, რომლებიც მათ ქალბატონებისთვის გაცილებით მიმზიდველებს ხდიან. მათი კანი და თმა შეიცავს განსაკუთრებული სახის ანდროსტერონს, რომელიც ჰაერში მოხვედრის შემდეგ ქალს დასაახლოებლად უჩინარ, შეუცნობელ მოწოდებას უგზავნის, ქალები კი ამ მოწოდებას ისე ემორჩილებიან, თავადაც არ იციან, რატომ ამჯობინეს ესა თუ ის მამაკაცი დანარჩენებს. ისინი უბრალოდ გრძნობენ, რომ სწორედ მისი გაცნობის, მასთან დაახლოების სურვილი აქვთ.

მამაკაცის სასქესო ფერომონები ასტიმულირებს მდედრობითი სასქესო ჰორმონების სინთეზს და ზრდიან შვილოსნობის ვადას.

ქალების ვაგინალური ჯირკვლების სეკრეტსაც პირობითად შეიძლება „ახლოს მოდი" დაარქვა, რადგან ანდროსტენორის მსგავსად, მასაც შეუძლია მოწინააღმდეგე სქესში გაუცნობიერებელი სიმპათიის აღძვრა. სასურველი ქალის სურნელი აუმჯობესებს მამაკაცის განწყობას და მას სტრესებთან და პრობლემებთან ბრძოლაში ეხმარება.

ატრაქტანტებს თავად სუნი არ აქვს, მაგრამ იაკობსის ორგანოზე მოქმედების შემდეგ, სწორედ ისინი წყვეტს, ვინ სჭირდება ადამიანს ყველაზე მეტად და ვინ – არა. რა თქმა უნდა, მხედველობა და სმენა აუცილებელია, მაგრამ სწორედ ატრაქტანტები თამაშობს მთავარ როლს ერთი ნახვით შეყვარებაში, რომელსაც უფრო ლოგიკური იქნებოდა, თუ ერთი შესუნთქვით შეყვარებას დავარქმევდით.

### ქალები ფერომონებს უკეთ გრძნობენ

გაირკვა, რომ ქალბატონები გაცილებით მგრძნობიარენი არიან ფერომონებისადმი; ანატომიურადაც, იაკობსის ორგანო მამაკაცებისაზე ოდნავ დიდი აქვთ. ფიზიოლოგები დარწმუნებული არიან, რომ ქალისთვის საკმარისია, მამაკაცთან ერთად 15 წამი იცეკვოს, რომ მიხვდეს, რამდენად საინტერესოა სექსუალურად იგი.

სუსტი სქესის წარმომადგენლებს ფერომონების ამოცნობის უნარი 1000-ჯერ მეტად აქვთ განვითარებული და განსაკუთრებით დიდ მგრძნობელობას ამჟღავნებელ ძვირადღირებულ პარფიუმერიაში გამოყენებული არომატებისადმი.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ როდესაც პოლიციელები ბოროტმოქმედებს უსაფრდებიან, პოლიციელი-ქალბატონები მათ მოახლოებას კოლეგა-მამაკაცებზე გაცილებით ადრე გრძნობენ.

მოამზადა
ზვიად ღონღაძემ

# saakaSvilma Tavisi gundi rom ar daaimedos, SeiZleba sakuTarma garemocvam gadauaros

*„საერთო გაზეთს“ მოძრაობა „არას“ ლიდერი **ლევან ჩიტაძე** ესაუბრა*

„საქართველოს ეკონომიკა რახან არ არსებობს, აუცილებელი იყო მდიდარი ადამიანების თანადგომა, ქვეყანაში რეალური შიმშილი რომ არ დაწყებულიყო. 2003 წლიდან მოყოლებული ხელისუფლება ცდილობდა ბიუჯეტი გაყიდვების ხარჯზე შეევსო. გაიყიდა ყველაფერი, მათ შორის სტრატეგიული ობიექტები, ტყეები, ტბები და მდინარეებიც კი, მაგრამ ეს ფინანსური სიმყარის 40-50%-ს თუ უზრუნველყოფდა, დანარჩენს თურმე პრაქტიკულად ერთი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი ასრულებდა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ეს ადამიანი ინახავდა თავდაცვის უწყებასა და შსს-ს, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანაში ახალი პოლიტიკური რეალობა შექმნა, სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, მოაკლდა მსხვილი ფინანსური წყარო. საზოგადოებრივ მაუწყებელს, საპატრულო პოლიციას, თავდაცვის სამინისტროს ხელფასების პრობლემა შეექმნა. საიდან უნდა მოიტანონ ეს ფული, როცა თითქმის ყველაფერი გაყიდულია? თავიდან რკინიგზის აქციებს მიადგნენ გასაყიდად, მაგრამ, როგორც კი ბატონმა ბიძინამ განაცხადა ამ აქციებს მე ვიყიდიო, ხელისუფლებამ მაშინვე გადამალა ყველაფერი, თუმცა ფულის პრობლემა მაინც დარჩა, ამიტომაც დაიწყეს უკანონო და უსამართლო ჯარიმების დაწესება ბიძინა ივანიშვილის, „ქართული ოცნების“ და ამ კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიების მიმართ. ბოლო ხანს კოლოსალური თანხით დააჯარიმეს ბიძინა ივანიშვილი, რაც სრული უკანონობაა, მაგრამ ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ იმ ქონებას აყადაღებენ, რასაც ის საქართველოში პრაქტიკულად არ ფლობს. თანაც თურმე ეს, ყველაფერი არ ყოფილა, ძიება უნდა გაგრძელდეს, უნდა მოიძიონ კიდევ რას ფლობს. ამის პარალელურად ხელისუფლება მარტივად შეძლებს დარჩენილი სახელმწიფო ქონების, მათ შორის სტრატეგიული ობიექტების, რკინიგზისა და გაზსადენის აუქციონზე გატანას და გასხვისებას, ბიძინა ივანიშვილი კი ამ აქციების შესყიდვაში მონაწილეობას ველარ მიიღებს, რადგან იმ ქონებასაც დაუყადაღებენ. მოკლედ, ხელისუფლებამ შემოსავლის ორი წყარო გაიჩინა ამ გაყიდვებისა და ჯარიმების სახით. ამის გარდა, მათ სხვა „შავი“ წყაროებიც აქვთ, რის შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცის. ეს არის პროსტიტუცია აჭარაში და ნარკობიზნესი, თანაც გაორმაგებული თუ გასამმაგებული ოდენობით. ბათუმში პროსტიტუციის ბუმია. ზღვისპირა რაიონებში ყველგან ბორდელებია გახსნილი, რომლით სარგებლობაც საქართველოს მოქალაქეების გარდა, ყველას შეუძლია.

**- ვის ეკუთვნის ეს ბორდელები და ვინ „მუშაობს“ იქ?**

- როგორც აღმოჩნდა, ეს ქალები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჰყავთ ჩამოყვანილი და ისინი რეალურად ტრეფიკინგის მსხვერპლნი არიან. უფრო დეტალური გამოძიება სჭირდება, ზუსტად რა რაოდენობის ქალი ყავთ მოტყუებით ჩამოყვანილი. ამ ყველაფერს კი სახელმწიფო უწყობს ხელს, ანუ სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ მოტყუებით ჩამოყვანას, რაც იმის მანიშნებელია, რომ ისინი ვერასდროს დააღწევენ თავს იქაურობას. მე რამდენადაც ვიცი, ამ „ბიზნესზე“ პასუხისმგებლობა ლევან ვარშალომიძემ აიღო, მას ძალზე კონკრეტულად უთხრეს, რომ არჩევნებისთვის აუცილებელია თანხები. ხელისუფლებამ მთელი რესურსები აჭარისკენ მიმართა, ასე ვთქვათ, რეკონსტრუქციისთვის, შადრევნების, ცათამბჯენების, გრანდიოზული ბულვარის გასაკეთებლად, ამიტომ ვარშალომიძეზე ყველაზე მეტადაა ზეწოლა, რაც გინდა ის გააკეთე, რომ რაც შეიძლება მეტი ფული შემოვიდეს აჭარიდანო. ამ მოთხოვნის გამო, მან, თავის მხრივ, პირობა წამოაყენა, რომ ყველა რესურსს გამოიყენებს, რაც გააჩნია და ამაში არავინ უნდა ჩაერიოს, პირველ რიგში შსს. ცხადია, აჭარის შეფმა ეს პირობა მიიღო და ჩაერთო პროსტიტუციის ბიზნესში, რაც ძალზე სერიოზული დანაშაულია, რადგან სახელმწიფოს დაკვეთით ადამიანები მოტყუებით ჩამოყავთ, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან. რაც შეეხება ნარკობიზნესს, როგორც ევროპელი სამართალდამცავები ირწმუნებიან, საქართველოს გავლით ნარკორტიკების მოძრაობამ იმატა, ანუ საქართველო არის ნარკოტრეფიკის სატრანზიტო გზა, საიდანაც სერიოზული ფული რჩება საქართველოს მხარეს. ეს არის შავი ბიუჯეტი, თანხები, რომლებიც რეალურად არსად ფიქსირდება. თუ ბიძინა ივანიშვილს ოფიციალურადართმევენ ასობით მილიონს, უამრავი კომპანიაც დააჯარიმეს მის გამო და ჯარიმების საერთო რაოდენობა 300 მილიონს გასცდა, გაცილებით მეტი თანხის აკუმულირება ხელისუფლებას ამ შავი ბიზნესით შეუძლია, რომელიც არ ჩანს. საბოლოო ჯამში ეს ძალზე დიდი ფინანსური რესურსია, რაც მათ არჩევნებისთვის სჭირდებათ, ამიტომ ყველა მეთოდს იყენებენ.



**- კონტროლის პალატამ კახა კუკავას „თავისუფალი საქართველოს“ და „ახალი მემარჯვენეების“ შემოწმებაც დაიწყო. ხელისუფლებას ამით თავისი ობიექტურობის ხაზგასმა უნდა, თუ სხვების გაკულაკებაც გადაწყვიტეს, მით უმეტეს ბოლო ხანს, როგორც ჩანს კუკავას ფული გაუჩნდა.**

– „ახალი მემარჯვენეების“ შემოწმება და რაღაცა დარღვევების აღმოჩენა, ჩემი აზრით, სრული ბლეფია. 26 მაისის შემდეგ ოქტომბრამდე პოლიტიკური სუბიექტები გარკვეულწილად დიდ გაურკვევლობაში იყვნენ. იმ პერიოდში „ახალმა მემარჯვენეებმა“ აირჩიეს კონკრეტული გზა, გადაწყვიტეს პოლიტიკური რელსები შეეცვალათ. დავით გამყრელიძემ, რომელსაც 2008 წელს და მოგვიანებითაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა, 2011 წელს ეს გადაწყვეტილება მიიღო, რადგან იმედი არ ჰქონდა, რომ პარლამენტში მოხვდებოდა. აქედან გამომდინარე, შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია



და ამ ცვლილებაში რასაც ვგულისხმობ, ყველას კარგად მოეხსენება. დარწმუნებული ვარ, ის ამ ნაბიჯს ძალზე ნანობს, ხვდება რომ დიდი შეცდომა დაუშვა, მაგრამ უკან დაბრუნება უკვე აღარ შეუძლია, ამ გზის ბოლოს კი პოლიტიკური ცხოვრებიდან საერთოდ გაქრობა ელოდებათ.

რაც შეეხება კახა კუკავას პარტიას, ის ცალკე დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან ეს პარტია ხელისუფლების ჩანაცვლებას ვერ მოახდენს, მაგრამ იმ ბლეფის დასაფარად, რომ თითქოს ყველას ამოწმებენ, კუკავას პარტიაც შეამოწმეს. საიდან აქვს კუკავას ფინანსები, ნამდვილად არ ვიცი და ამ ეტაპზე არც არის ჩემი ინტერესის სფერო. ხელისუფლება კახა კუკავას თემას კარგად გამოიყენებს მტრის ხატის შესაქმნელად და რუსეთის აგენტობის დასაბრალებლად. რამდენადაც ვიცი, ჯერ მხოლოდ პარტიის შემოწმება მიმდინარეობს, არ არის გამორიცხული პატარა რეპრესიული მანქანა მის წინააღმდეგაც ჩართონ, შავი პიარი აუგორონ და შეაფერხონ „ქართული ოცნების“ კიდევ უფრო გაფართოება, რადგან არ გამოვრიცხავ, რომ კუკავასთან და სხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებთანაც დაეწყო ბიძინა ივანიშვილს მოლაპარაკება. აქედან გამომდინარე, კახა კუკავას წინასწარ იდება „კომპრომატი“, რომ ის პრორუსულია და თუ ბიძინა ივანიშვილი მას დაელაპარაკება, ხელისუფლება ერთ ამბავს ატეხს, ხომ ვამბობდით ივანიშვილი რუსეთის პროექტია, პრორუსული ძალები გაერთიანდნენო.

სააკაშვილი, რა თქმა უნდა ყველაფრის ნებას მისცემს მთავრობას, მთელ სახელმწიფო რესურსს მიმართავს „ქართული ოცნებისა“ და სხვა ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას ძალზე დიდი სურვილი აქვს ხელისუფლებაში დარჩეს და ამისთვის იბრძვის.

**- სხვას რას უნდა ნიშნავდეს?**

- იმას, რომ, რაც უფრო მეტად განახორციელებს სააკაშვილი ზეწოლას და რეპრესიას ოპოზიციური პარტიების მიმართ, მით უფრო მეტად ეშინია საკუთარი გარემოცვის. ეს ზუსტად იმის მაჩვენებელია, როგორ ეშინია ზურაბ ადეიშვილის, ვანო მერაბიშვილის, პარლამენტის უმრავლესობის წევრების, გამგებლების... ის თუ ამ ხალხს რეპრესიების უფლებას არ მისცემს, ისინი ავტომატურად იფიქრებენ, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩენას არ აპირებს, რის შემდეგაც მათი დიდი ნაწილი ახალი ნავის მოძებნაზე ზრუნვას დაიწყებს, სადაც უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს, მოპარულ ფულებსაც გადაარჩენენ და იმის გარანტია ექნებათ, რომ არ დაიჭერენ. ყველა მათგანს ერთნაირი ფსიქოლოგია აქვთ, მათი აზრით, როგორც თვითონ ექცეოდნენ თუნდაც შევარდნაძის დროინდელ მაღალჩინოსნებს, მათაც ისე მოექცევიან. ისე, ასეთი წარმოდგენა რომც არ ჰქონდეთ და რეალობა ობიექტურად აღიქვან, მათთვის მაინც მძიმე ასატანია სამართლიანი სასამართლოს პირობებში დაისაჯონ იმ დანაშაულებებისთვის, რაც ჩაიდინეს და დღესაც სჩადიან. სააკაშვილმა თავისი გუნდი, რომ არ დაამედოს, მხოლოდ თავისი დაცვის ამარა დარჩება და აზვირთებული საკუთარი გუნდი გადაუვლის. მან ეს ყველაფერი კარგად იცის, ამიტომაც მათ ეუბნება, ხელისუფლებაში ვრჩებით და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ „ქართული ოცნების“ მოსასპობადო, რასაც, რა თქმა უნდა ვერ შეძლებენ. დარწმუნებული ვარ დაპატიმრებების ახალი სერია დაიწყება. იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილს გააზრებული აქვს, ის ბრაზი და ძალა, რაც ხალხში გროვდება, საბოლოო ჯამში ძალზე ცუდად რომ ამოხეთქავს. თუ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას გადაწყვეტს, ეს დაგროვილი ძალა იმდენად დიდი და ძლიერი იქნება, რომ მართლა შესაძლებელი იქნება სამოქალაქო ომის გამოწვევა. მე არ მეგულება უწყება, რომელში მომუშავე ადამიანებიც ხალხის გვერდით არ დადგებიან, რადგან მათაც ყელში აქვთ ამოსული ყველაფერი. პოლიციას ხელისუფლება უკვე აღარ ენდობა (შეიძლება ამისი გამოძახილიც იყოს ვანო მერაბიშვილის ამ უწყებიდან ჩამოშორება – მ.ს.), რადგან პოლიციის თანამშრომლები ადეკვატურად აღიქვამენ რეალობას და აცხადებენ, რომ ისინი ქვეყნის სამსახურში არიან და არა რომელიმე პიროვნების, ამიტომ კანონი უნდა დაიცვან. ამის გამო, ამ უწყებიდან ძალზე ბევრი ადამიანი დაითხოვეს და კიდევ ბევრს გაათავისუფლებენ.

**- რეპრესიები დაიწყო იმ ხალხის მიმართაც, ვინც „ქართული ოცნების“ ანგარიშზე ფული გადარიცხა, ოღონდ იმას კი არ ედავებიან რატომ გადარიცხეს, არამედ იმით ინტერესდებიან, საიდან აქვთ მათ ეს ფული.**

- ეს ბუნებრივი პროცედურაა ამ ხელისუფლებისთვის, რომ მისთვის არასასურველი სუბიექტის ანგარიშზე მოხვედრილი თანხის გადამრიცხველს პრობლემები შეუქმნას. ის დაკითხვის ფორმა, თუ საიდან აქვს ამ ადამიანს ეს ფული, ძალზე ჰგავს საბჭოთა პერიოდს, როცა ადამიანს შეიძლებოდა დიდი ფული ჰქონოდა, მაგრამ ამ ფულს ვერ გამოაჩენდა, რადგან ჩამოართმევდნენ და შეიძლებოდა ციხეშიც ეკრათ მისთვის თავი. შეიძლება მათ ეს თანხა სრულიად კანონიერი გზით ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ მაინც მალავდნენ. ზურაბ აზმაიფარაშვილს არ გაუჭირდება თავისი ფულის წარმომავლობის დამტკიცება, მაგრამ სხვა პირებს, ნახეთ, რა მდგომარეობაში აყენებენ – ვთქვათ, კონკრეტულმა პირმა თავის მეგობრებთან ერთად გადაწყვიტა შეგროვილი ფულის „ქართული ოცნებისთვის“ გადარიცხვა. ამ პირმა ის ადამიანები რომ დაასახელოს, რომლებსაც გამოჩენა არ უნდათ, მათ ძალზე ცუდად ექნებათ საქმე. თუ ბიზნესმენები, არიან ბიზნესს ჩამოართმევენ, არაბიზნესმენს რაღაცას მაინც წაართმევენ, ნარკოტიკს ან იარაღს ჩაუდებენ, თუ ვინმე ჰყავს პატიმარი, იმას ციხეში უკიდურესად შეავიწროებენ. ამიტომაც ინტერესდებიან, საიდან მოიტანეს მათ ეს ფული. პარალელურად იმასაც გაარკვევენ რეალურად რამდენი მხარდამჭერი ჰყავს „ქართულ ოცნებას“, მათ ხომ მოუწყობენ რეპრესიებს და სხვებსაც დააშინებენ, – პოლიტიკური შემოწირულობის გაღება არ გაბედოთო. ამგვარი შემოწირულობის გამღები ნებისმიერი ადამიანი სააკაშვილის ხელისუფლებისგან მტრად აღიქმება, მტრებს კი ნაციონალები ყველა მეთოდით ებრძვიან.

**მანანა სუხიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „ყელმოჭრილი საქმის კაცი"



## ეპიზოდები ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებიდან

(დასასრული. დასაწყისი წინა ნომერში)

**„დროს გასწრებული კაცის" ნააზრევი:**

I „მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა სარწმუნოების დაკარგვამ წაგვახდინა, აღარ გვწამდა საკუთარი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება... უცოდინრობაა ჩვენი მომრევი და არა მრავალრიცხოვანი მომხდური... ერთმანეთს შევესიეთ და შევაკვდით... ერთმანეთი მიწასთან გავასწორეთ..."

I „ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს და არც მთელ საზოგადოებას".

I „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას. უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს..."

I „ყველა ხალხს საკუთარი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცებს, ქართველს ვერა კაცი გაარუსებს. შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ – შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ – წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება. და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან... მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ..."

I „არა კლასობრივი ბრძოლა, არა ეროვნული შუღლი, არამედ ერთიანობაა საჭირო უმთავრესი მიზნის – პიროვნულობისა და თავისუფლების მისაღწევად".

I „არც ქართველებს, არც სომხებს, არც სლავებს ქრისტიანობის რწმენა და ერთგულება არ აკლიათ, მაგრამ ევროპელ ხალხებს ვერ დაეწიენ და გაუთანასწორდნენ. კიდევ უფრო მეტად არიან დაკნინებული მაჰმადიანი ხალხები. მაგრამ ამ დაქვეითება-ჩამორჩენის საფუძველი სარწმუნოება კი არ არის, არამედ მმართველობის სისტემა. როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველო-სომხეთში და სლავურ ქვეყნებში (მით უფრო მაჰმადიანურ სახელმწიფოებში) მმართველობის სისტემა ავტოკრატიული, დესპოტური იყო, სადაც ყველაფერი დესპოტის (სულერთია, რა ერქვა მას – იმპერატორი, მეფე თუ მთავარი) ნება-სურვილს ემორჩილებოდა. არ არსებობდა დემოკრატიული მმართველობის არც ერთი ინსტიტუტი... ავტოკრატიული ხელმწიფის მორჩილებამ ხალხი გადააჩვია აზროვნებას, შეაძულა პაექრობა, დაავიწყა სხვისი განსხვავებული აზრის პატივისცემა. დესპოტია ვერ იტანს აზროვნების თავისუფლებას.

I „დესპოტიას სძულს წარსული, წინაპართა ნაღვაწი და ნაშრომი. ყველა დიქტატორი ისტორიას თავიდან იწყებს. მიაჩნია, რომ ყველაფერი მისგან იღებს სათავეს. რაც მანამდე იყო, უარსაყოფი და დასაგმობია. ევროპაში ასე არ არის, იქ ყოველი ახალი თაობა განძად თვლის წინაპართა დანატოვარს. უვლის, პატრონობს მას. ძველზე აფუძნებს ახალს და ასე აგრძელებს წინსვლას".



I „ევროპული თავისუფალი აზროვნების წესი რომ დამკვიდრებულიყო საქართველოში, უპირველესად დესპოტური მმართველობისაგან თავის დაღწევა იყო საჭირო. მაგრამ საქართველოში რუსთა დამკვიდრების შემდეგაც, მმართველობის თვისება-ბუნება და ხასიათი არ შეცვლილა. რუსეთშიც თვითმპყრობელობა ისევე ებრძოდა აზროვნების თავისუფლებას, როგორც ძველ ბიზანტიაში. ამდენად, სარწმუნოებრივი ერთიანობა და ერთნაირობა არაფრის გარანტიას არ იძლეოდა, მას ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა... იგი ქართველთა ინტელექტუალურ ცხოვრებაში არაფერს ცვლიდა... არადა, კრიტიკულ შეხედულებათა დამკვიდრება, სხვათა აზრისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება ურთულესი და უძნელესი საქმე იყო. უამისოდ კი ხალხის ინტელექტუალური თავისუფლება ზღაპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. ხოლო ის ხალხი, ვისი აზროვნებაც თავისუფალი არ იყო, უნდა გამოთხოვებოდა ყოველგვარ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ პროგრესს".

I „ევროპული წესის თვისებაა, რომ ყოველი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს... ყოველი ახალი თაობა ყოვლად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს...

მოდიოდნენ ჩვენში მეთაურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ. „ამბოხება დავიწყოთო" – დაიძახებდნენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხას – ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ან ახსნა, ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაჰქრებოდნენ. გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს?"

I „რა დასამალია და, საქართველოს წარსულში ბევრი კარგიც ყოფილა და ბევრი ავიც, რისი გახსენებისას ტანში ჟრუანტელი გვივლის. სხვაგვარად ანკი როგორ შეიძლებოდა. იმ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი ხალხი ეწეოდა, იმ მრავალსაუკუნოვან მონობაში, რაც თავს გადაგვხდენია, ვისი ან რისი კვალი არ დარჩენილა ჩვენს ყოფასა და აზროვნებაში.

ზოგმა ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა შარვალი. ზოგმა სიზანტე, ზოგმა ორპირობა... ხეირიანი და მაგარი ბუნება რომ არ გვქონოდა, ჩვენ სისხლში რომ ის დაუნდობელი და დაუშრეტელი ძალა არ მდგარიყო, რომელიც ზოგიერთ რჩეულ ხალხს უკვდავებას აძლევს, დიდი ხანია რაც დედამიწის პირიდან ქართველებისა და საქართველოს ხსენებაც კი გაქრებოდა. ყველასგან იმოდენა ჩირქი გვრგებია, ყველას ჩვენთვის იმდენი ტალახი და მტვერი მოუცხია, რომ სხვა, უფრო სუსტი ხალხი, კიდეც დაიმარხებოდა აქამდი ამ სისქე ტლაპოს ქვეშ... ვინ, რომელი ბრძენი, ისტორიკოსი, ან ეთნოგრაფი გვეტყვის დღეს, როგორი იყო ნამდვილი და პირველდროინდელი ქართველების ბუნება, ზნე, ხასიათი, თვისება? რა შეგვრჩა ჩვენ საკუთარი ან რა გამოგვყვა და მოგვედო სხვისი?.."

I „ჩვენი აზრით, თანამედროვეობა, – როგორიც უნდა იყოს იგი, – არის რეალური მოვლენა, არა ჩვენი ნებით შექმნილი, არა ჩვენი ბრძანების მორჩილი. იგი არსებული ფაქტია. მოგვწონს ეს ფაქტი თუ არა, სულერთია, მისი გაუქმება ჩვენ არ შეგვიძლია. მას ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ. არ შეგვიძლია მასზე თვალი დავხუჭოთ, შევწყვიტოთ მისი შეგრძნება, მაშინაც კი, სირაქლემას რომ მივბაძოთ და თავი დავმალოთ საარქივო დოკუმენტებში. ეს ცხოვრებაა, ეს სამყაროა, ეს ყველაფერია. რაც გინდათ თქვით და, თანამედროვეობა, მისი ბუნების მთელი არსებით, გვიჭერს ჩვენ თავის თათებში, გვიკრავს გულში. ნუთუ, მხოლოდ იმისათვის, რომ იგი არ მოგვწონს, არ შეესატყვისება ჩვენს გაგებასა და იდეალებს, ჩვენ შეგვიძლია მოვშორდეთ მას? არ უნდა გავექცეთ? პირადად მე ვერ ვხედავ აქ სხვა ხსნას, გარდა სამარისა, მაგრამ ამას არ ვთვლი ადამიანის ღირსების შესაფერის გამოსავლად. რამდენადაც მეტად ეს თანამედროვეობა არ გვეხატება გულზე, მით უფრო ძალიან გვსურს მისი გაუმჯობესება, მით უფრო ახლოს უნდა შევისწავლოთ იგი, მისი გამოვლინებანი, კანონები, ძალები, ცოტად თუ ბევრად მის სვლაზე ზემოქმედებისათვის...

თანამედროვეობა მკაცრია და ჭუჭყიანი, მყრალი და მძვინვარე, მაგრამ არავის აქვს უფლება, ამის საფუძველზე, თავი გაითავისუფლოს მისი გაწმენდისაგან, მისი ასენიზაციისაგან. თორემ, გასაგებია, ფრაკებში და თეთრ ხელთათმანებში ყველას ესიამოვნება ცხოვრების სასახლის გაპრიალებულ პარკეტზე სიარული..."



I „თუ ნამდვილად გიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით – სამართლიანი ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით – მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით, ის იმედი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ თვითონ გვაქვს, იმ მომავლისკენ უნდა მოუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა. მარტო ის ხალხიაო ღირსი ბედნიერების, სთქვა ვიქტორ ჰიუგომ, რომელიც მომავალს შეჩერებია; და ვინც მარტო წარსულს შეცქერის, ის სამარეს ითხრისო...

მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ, მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც. ...ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავაზაკობას, ნურც სიმხდალეს, ნუ ვეძიებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთიერთ დახმარების საჭიროებას, ნუ დავიმალვით სოროში, მაშინ, ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახვებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია..."

I „ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამაპაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით – ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით – რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ, უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდა?.. საძებნი გზა ჩვენსავით დახშული როდი ჰქონდათ, მთელი ქვეყანა მიმოვლეს მათმა ელჩებმა, სამეფო არსად დარჩენიათ, რომელთანაც მოლაპარაკება არ გაემართათ, დაახლოვება საქართველოს სახსნელად არ ეცადათ. სანამ საბოლოო გზას დაადგებოდნენ, სანამ გვირგვინს ერის არსებობას შესწირავდნენ, ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღონისძიება იხმარეს; თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჰპირდნენ რომის პაპს და ფრიდრიხ დიდს. უცრემლოდ ვერ გადაიკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის აღწერას მატიანეში. რაც ამდენს, ამისთანა თაობას აუგია, აუცილებლად უცვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, გინდ ერთი თაობა ვერ შესცვლის. სანამ ოსმალოს, ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასსა ან მეფობა არ დაიჭერს, საქართველოსთვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს, იმის გარდა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ, იძულებით, საქართველოს უგონიერესი პატრონები: ალექსანდრე კახელი, ალექსანდრე იმერელი, ვახტანგ კანონმდები, თეიმურაზ მეორე, სოლომონ დიდი, დიდი ერეკლე. რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ მოვერევით. როგორც უნაყოფოდ, უკვალოდ, უსახელოდ დაიღუპა ყოველი სახსარი, მათ დროს სხვას რამე მიზნისაკენ მიმართული, ისრევე წყალწაღებულია ყველა სხვა მეცადინეობაზე ნახმარი საშუალება. ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოა და სასტიკად ისჯება".

მოამზადა
**გ. ჭავჭავაძე**

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია ცნობილი რეჟისორი, ქართული კინოს პატრიარქი, უხუცესთა დარბაზის თავმჯდომარე ბატონი რეზო ჩხეიძე. იგი 86 წლის ასაკში აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და რაღაც გადამდები იმედიანობით ყვება იმის შესახებ, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება.**



# me, 86 wlis rezo CxeiZe, TiTqmis yvela regionSi kardakar davdivar da adamianebs movuwodeb, rom SiSi daZlion

–„დღესაც თვალწინ მიდგას დედაჩემის სევდით დაღარული სახე, რომელსაც მამის დაპატიმრების შემდეგ, თვალზე ცრემლი არ შეშრობია. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ელოდა მამაჩემს ან თუნდაც რაიმე იმედისმომცემ ცნობას მისი ამქვეყნიური არსებობის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ – რამდენიმე წლის წინათ ლოდინით გადაღლილი დედა იმედგადაწურული გაეცალა ამ წუთისოფელს და სამარეში ჩაიტანა გაუნელებელი კაეშანი“.

ამ სიტყვებით იწყება წიგნი, დია ჩიანელის „თხზულებები“, რომელიც ბატონმა რეზომ მასთან სახლში სტუმრობისას მისახსოვრა. ეს მან მშობლების ნათელ ხსოვნას უძღვნა. დიდი რეჟისორის მამა, დავით ჩხეიძე (მწერლობაში დია ჩიანელად ცნობილი) ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი გახლდათ.

**– ბატონო რეზო, თქვენ რეპრესირებულის ოჯახიდან ბრძანდებით, მამათქვენი 37 წელს დახვრიტეს. იმ მძიმე ჟამს, ალბათ ყველა ერიდებოდა ასეთი ოჯახების მიმართ ყურადღებას, როგორი იყო თქვენი ბავშვობა“?**

– რასაკვირველია, მძიმე ბავშვობა მქონდა თუმცა ჩვენს ოჯახს ნათესავების და ახლობლების ყურადღება არ მოგვკლებია. ჩემი დეიდის მეუღლე იყო ცნობილი მწერალი დემნა შენგელაია, ხშირი სტუმარი იყო ცნობილი მხატვარი მოსე თოიძე. ჩვენს დაობლებულ ოჯახს ციხე-სიმაგრესავით შემოეკვრნენ მამაჩემის მხრიდან ნათესავები: ჩხეიძეები, წერეთლები, მაჭავარიანები, გაბუნიები, კანდელაკები. ტოტალური ეკონომიკური გაჭირვებისა და შიმშილობის დროს ეს ადამიანები საკუთარ მწირ ლუკმას გვიტოვებდნენ. მართლაც კონტრასტული ეპოქა გახლდათ, სადაც ერთ ადამიანში შეიძლებოდა თანაბრად ეარსება როგორც მკვლელს, ასევე სასიკვდილოდ განწირულის გადამრჩენს, მაშინ ბევრმა ადამიანმა გამოიჩინა სულმდაბლობა და მათი დასმენით უამრავი უდანაშაულო აღმოჩნდა სატუსაღოს კედლებში, მამაჩემის წმინდა სახე კი შეუმცდარად მიიკვლევდა გზას ურთულესი ცხოვრებისკენ.



ახლაც, როცა ოთხმოც წელს გადავცდი და ლამის ასაკით ორჯერ უფროსი ვარ მამაჩემზე, ხშირად წარმომიდგება ხოლმე მისი ნათელი სახე, რომელიც დღესაც ჭკუას მარიგებს და ადამიანებისადმი მეტი სითბოსა და სიყვარულის გაღებისაკენ მომიწოდებს. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ჩემს მშობლიურ ქუთაისში, იმ ადგილზე, სადაც ადამიანებს ხვრეტდნენ, პირობითი საფლავი გავაკეთეთ. მაშინ დახვრიტეს ცნობილი აკადემიკოსის, ირაკლი ჭუმბურიძის მამა, ტყიბულის რაიკომის მდივანი ლაფერაძე და მამაჩემი დია ჩიანელი.

**– კონტრასტული ეპოქა იყოო, ბრძანეთ, დღევანდელ დროს ხომ არ შეადარებდით იმ ავადსახსენებელ დროს?**

– ძალიან ბევრი მსგავსებაა. მე არავითარი პიროვნული არ მაინტერესებს, როდესაც ლაპარაკია ჩვენს დღევანდელ პრეზიდენტზე, მე წარმოვადგენ ქართული კინემატოგრაფიის წიაღიდან წამოსულ ადამიანს უბრალოდ მაინტერესებს, როდესაც ღებულობდნენ გადაწყვეტილებას, რომ ქართული კინო ფაქტობრივად მოესპოთ, რითი ხელმძღვანელობდა ხელისუფლება? მე შემიძლია მათემატიკურად დავუმტკიცო მათ, რომ ეს არ იყო ფინანსური მდგომარეობის გამო. როგორ შეიძლება განადგურებულიყო ქართული კინო, ჩვენი სტუდია მსოფლიოს კინემატოგრაფისტთა მოწინავეთა რიგებში იყო. ქართული ფილმი მოხსენიებულია ფრანგული და ამერიკული კინოს გვერდით. ამ დარგის და არა მარტო ამ დარგის განვითარება იყო ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტი, საერთოდ კულტურა, ხელოვნება, თეატრი, მწერლობა იყო წინა პლანზე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, ამ მხრივ, ბატონი ედუარდ შევარდნაძის დამსახურება, რადგან იგი ყოველთვის მზად იყო დახმარებისთვის. სწორედ იმ პერიოდში იყო დიდი მიღწევები ამ სფეროში. 37 წელი ვიყავი კინოსტუდიის დირექტორი და მან მოგვცა საშუალება ხელოვნების წარმომადგენლებს ემუშავათ თავისუფალი შეგნებით. გამოდიოდა გაზეთი „ქართული ფილმი“, მას ჯიხურებში ვერ იშოვიდით. ვერ დავასახელებ სცენარს, ფილმს, რომ ხელისუფლებას გაეჩერებინოს. ვერ დავასახელებ ვერც ერთ შეხვედრას, თუნდაც მოსკოვში, საკავშირო კინემატაოგრაფიის სამინისტროში, რომელიმე ქართული ფილმისთვის არ მიეცათ დაფინანსება. მახსოვს, როდესაც მოსკოვში საქართველოდან ჩასული ვიყავით რეჟისორები, ხელოვნების წარმომადგენლები, სცენარისტები, ერთ-ერთ შეხვედრაზე ცენტრალური ტელევიზიის მთავარმა რედაქტორმა გვითხრა –„იმ რომანს, თუ დადგამთო“, – საუბარი იყო „დათა თუთაშხიაზე“ და ჩვენ ეს გენიალური ნაწარმოები არც ერთს წაკითხული არ გვქონდა. ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ასეთი დამოკიდებულება იყო ჩვენი ქვეყნის მწერლობისა და კულტურის მიმართ. „დათა თუთაშხია“ როდესაც ცენტრალური ტელევიზიით გადიოდა, მაშინ, მოსკოვში და რუსეთის დიდ ქალაქებში ბევრად ნაკლები დანაშაული ხდებოდა თურმე, ეს მაშინდელ პრესაში იწერებოდა ყველა ამ შესანიშნავ ფილმს უყურებდა. ამ დიდი წარმატების მატარებელმა ჩემი ცხოვრების ლიანდაგებზე გადაიარა, ეს რეცეპტი ახლაც უდაოდ ქმედითია. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ ქართული კინოს შესაქმნელად მუშაობდნენ არა მარტო სცენარისტები და რეჟისორები, არამედ ჩართული იყო მთელი ქვეყნის ინტელიგენცია. ისეთ ადამიანებსაც ნახავდით ჩვენ სტუდიაში, ვისაც კინოსთან შეხება არ ჰქონდათ.

**– ბატონო რეზო, ინტელიგენცია ჩვენს ქვეყანაში ყველა დროში დიდ როლს ასრულებდა, დღეს, როდესაც ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ბევრი ცნობილი ადამიანი ღიად აცხადებს, რომ პოლიტიკაში არ ვერევიო...**

– ახლა განზე დგომა ქვეყნის ღალატია. ეს ხელისუფლება პირდაპირ ქართულ სულს ებრძვის. ქუთაისში, დავით აღმაშენებლის ადგილზე, ვერ გავიგე რა დადგეს. ეს ბავშვების მიერ პლასტელინისგან გაკეთებულ გაურკვეველ ფიგურებს მაგონებს. რომ შეეძლოთ ბაგრატის ტაძარსაც აიღებდნენ და ამას რომ ვერ ახერხებენ, ამიტომ უნდათ დაამახინჯონ ბაგრატის ტაძარი. არსებობს ცნება ცივილიზაცია, ბაგრატის ტაძარი ცივილიზაციის ერთ-ერთი ძეგლია. ეს არის „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებისთვის, ვინ მისცა მათ დამახინჯების უფლება? არანაირი გეგმა არ ჰქონდათ, ეს ეკლესია ეკუთვნის ერს და ერს მიაყენეს ტკივილი. ვერც ერთი ავადმყოფობა ვერ მიაყენებს ამდენ ტკივილს ადამიანს. პატრიარქმა თქვა, რომ ეს ქართული სულის წინააღმდეგ ბრძოლააო. როგორ ბედავენ პატრიარქთან კამათს! როცა ქუთაისში ჩავდივარ, პირველად ბაგრატის ტაძარში მივდივარ. მძღოლს რომ ვუთხარი ჩამიყვანე-მეთქი, იქ მივდივართო, მითხრა, ვერ ვიცანი. ტაძართან არის ვასილ ამაშუკელის სახლი. ეს კინოს მუზეუმი იყო, იქ საშინელება ხდება, ისეა გავერანებული. ესენი ნაციონალები არ არიან, ესენი ანტინაციონალები არიან. თქვენ როგორ ფიქრობთ, დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისში და ქუთაისში შემთხვევით აიღეს ქალაქის ცენტრიდან? რამე დანაშაული მიუძღვის დავით აღმაშენებელს ქართველი ხალხის წინაშე? ასე დაანგრიეს არაჩვეულებრივი მონუმენტი ქუთაისში, იგი ქართულ მეომრულ სულზე იყო შექმნილი, ვახტანგ მეექვსიდან დაწყებული, დიდი სამამულო ომით დამთავრებული. ესენი სწორედ ამას ებრძვიან. მახსოვს, ამერიკაში ქართული კინოს კვირეული იყო, იქ 40 ფილმი ჩავიტანეთ. ერთ-ერთმა ამერიკელმა მკითხა, რაშია საქმე, რა მონაწილეობა გაქვთ მიღებული ომში, რატომ გადაიღეთ „ჯარისკაცის მამაო“? მე ვუპასუხე: „თქვენ, ასე დიდი ქვეყანა ხართ და სულ 300 ათასი ადამიანი დაკარგეთ ამ ომში, ჩვენ კი, ძალიან მცირერიცხოვანმა ქვეყანამ 460 ათასი დავკარგეთ-მეთქი. იმ მემორიალის დანგრევა მიცვალებულთა შეურაცხყოფაა, ეს საქმე ჯოჯოხეთთან მიახლოვებაა, შეიძლება ყველაფერს ეროვნულს ასე ხელაღებით ებრძოდე? რაც ქვეყანაში ხდება, ამის შორიდან ყურება სწორედ რომ ღალატია, ამიტომ დავდივარ არჩევნების წინ, მე, 86 წლის რეზო ჩხეიძე დღეს თითქმის ყველა რეგიონში კარდაკარ და ადამიანებს მოვუწოდებ, შიში დასძლიონ. წარმოუდგენელი სიღატაკეა სოფლად, ხალხი დაშინებულია, სოფლის გამგებელი სპეციალურად დაგვყვებოდა, ხალხი რომ არ გამოსულიყო ჩვენთან შესახვედრად. ასეთი გამგებლების დღეს ხალხს არ უნდა ეშინოდეს. ესენი აუცილებლად უნდა წავიდნენ და ამიტომ ბიძინა ივანიშვილს ყველა გვერდით უნდა დავუდგეთ, რომ გადავარჩინოთ ქვეყანა და ამ რწმენით რომ ვიქნებით შიშსაც დავძლევთ. შიშთან დაკავშირებით ერთი ფაქტი გამახსენდა. 2003 წელს ლომებთან ერთად აღმოვჩნდი ცირკში. ჩამოსული იყო მოსკოველი მწვრთვნელი ნ. სკვირსკი. მეორე განყოფილება ლომების ატრაქციონს ეკავა. იყო დიდი მზადება. კონფერანსიემ გამოაცხადა, რომ ადამიანებს, შეეწყვიტათ ყოველგვარი მოძრაობა. ლომები ამაზე ღიზიანდებიანო. იყო დაძაბულობა. ლომი! ლომია! როდესაც სპექტაკლი დასრულდა ნ. სკვირსკიმ გამოაცხადა, რომ დარბაზში იმყოფება ცნობილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე და ვთხოვ მას შემოვიდეს ლომების გალიაშიო! ყველა გაშეშდა, მაყურებელი ელოდა ჩემს გადაწყვეტილებას. ჩემთან ერთად იყო ჩემი მეუღლე და შვილიშვილი ნინო, იგი 4 წლის იყო, მეუღლემ გამამხნევა: „შედი გალიაშიო“, მეც ბევრი აღარ მიფიქრია. ამ დროს მთავარი ის იყო, რომ ჩემი პატარა შვილიშვილის წინაშე არ შევრცხვენილიყავი და მეც დავიძარი ლომებისკენ... იყო დიდი ტაში! იყო მილოცვები.



ჩვენი შვილიშვილების წინაშე რომ არ შევრცხვეთ, იმიტომ უნდა დავძლიოთ შიში, რომ მომავალმა თაობებმა ღირსეულ ქვეყანაში იცხოვრონ.

რადგან ამ ქვეყანაში ყველა, დიდ სამამულო ომში გმირულად დაღუპული „ღიმილის ბიჭებიც“ შეურაცხყოფილია, ომიდან ცოცხლად დაბრუნებული „ბოლოკაც“ და „ჯარისკაცის მამაც“, რომლებიც მცირე პენსიით ძლივს მიათრევენ ამ წუთისოფელს.

ერთი ასეთი შეჭირვებული კაცისთვის, თავისი პენსიის დათმობა რომ გადაუწყვეტია ბატონ რეზოს და საჭირო ცნობის ასაღებად სამსახურში რომ მისულა, სწორედ მაშინ გაუგია, რომ იგი სამსახურიდან გათავისუფლებული ყოფილა...

ამას წინათ, საქართველოში „იუნესკოს“ არქიტექტორი, 84 წლის იტალიელი ანდრეა ბრუნო იყო სტუმრად ჩამოსული ბაგრატის ტაძრის აღდგენის საკითხთან ატეხილი ხმაურის გამო, სხვა, უცხოელი, საკმაოდ გამოცდილი და დიდი პრაქტიკის მქონე, მხცოვანი ადამიანის აზრს ითვალისწინებენ ნაციონალები, საკუთარი ქვეყნის სახელოვან შვილს კი – როგორც ბატონი რეზო ჩხეიძეა, მის დამსახურებას ანგარიშსაც კი არ უწევენ, არადა, ბატონი რეზო ჩხეიძის სიბრძნე და გონებრივი შესაძლებლობები ამ ასაკშიც გაცილებით მეტს იწონის, ვიდრე ერთად აღებული ნაციონალების გამრუდებული გონება. და ამიტომ, ივლის დიდი ხელოვანი საარჩევნო მარათონზე, და ივლის მანამ, სანამ ჩვენი ქვეყანა ცივილიზებულ სამყაროში საპატიო ადგილს არ დაიმკვიდრებს.

**ნანა სულავა**

ჯემალ დავლიანიძე

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს

მაინც, რატომ დახვრიტა შევარდნაძემ ეკლესიის მსახური?

არის მეორე კითხვაც — საქართველოს ეკლესიამ რატომ არ გამოხატა საკუთარი პოზიცია, არც მაშინ და არც შემდგომში?

თქმა არ უნდა, მამა თეოდორეს შევარდნაძემ ე.წ. თანამშრომლობა შესთავაზა, რათა ქართული ეკლესიის მესვეურები დაებეზღებინა და შემდგომში ძირგამომთხრელი მუშაობა განეგრძო. კიდევ? კიდევ — ბრალი დაედო თვითმფრინავის გამტაცებელ ახალგაზრდებისათვის, როგორც მოწმეს, რათა შევარდნაძის სასამართლოს გაცილებით მყარი ალიბები ჰქონოდა! კიდევ?

ქართული ეკლესიისთვის გაეწია ცუდი სამსახური, დისკრედიტაცია, რომ ასეთი დიდი დამნაშავეები იყვნენ მის რიგებში!

მეორე კითხვას პასუხს ვერ გავცემ. მას თვით ეკლესიის მეთაურებმა უპასუხონ! არადა, ადრე თუ გვიან, ამ კითხვას ვილაცამ ხომ უნდა გასცეს პასუხი? ხომ უნდა თქვას საქართველოს სინოდმა — მართალი გახლდათ თუ არა მამა თეოდორე?

ჯამში, მამა თეოდორეს დახვრეტით შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დაანახვა მსოფლიოს, რომ საბჭოთა კავშირში ანუ რუსეთში, მართლმადიდებლურ ქვეყანაში, შესაძლებელია არა მხოლოდ უბრალო ადამიანების დევნა-ლიკვიდაცია, არამედ თვით ეკლესიის მსახურთა დახვრეტა, რაც ლენინ-სტალინის ტირანიის ლოგიკური გაგრძელებაა!





ისევე, როგორც 9 აპრილის ტრაგედიამ, თვითმფრინავის გამტაცებელთა და მათი ვითომ მეთაურის — ბერი თეოდორეს დახვრეტამ, დიდი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის დაშლაში.

ისევ ვუბრუნდები (ძალიან მოკლედ) დასკვნებს, რაც მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ (თავმჯდომარე თამაზ შავგულიძე, პროფესორი!):

„კომისიის მიერ უცხოეთის პრესის დეტალურმა შესწავლამ დაგვანახვა, რომ საბოლოო ანგარიშში იგი ბევრად უფრო მიუკერძოებლად აშუქებდა თბილისის ტრაგედიას, ვიდრე საკავშირო პრესა.

საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის იდეას მხარს უჭერს გამოკითხულთა 89 პროცენტი.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება სამხედრო ძალებზეც გავრცელდა. გამოკითხულთა 82 პროცენტის აზრით, საბჭოთა არმია არ ემსახურება თავისი ხალხის ინტერესებს.

9 აპრილის მოვლენები ქართველი ხალხის ცნობიერებაში დაკავშირებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან,

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–25

რუს ხალხთან, დემოკრატიზაციისა და კონსტიტუციის დაცვის იდეებთან.

მიტინგის ბარბაროსული დარბევა მკვეთრ, უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს მომწყობთა მიმართ. ასეთ ინსტანციად ხალხმა ცენტრალური ხელისუფლება, საქართველოს ხელისუფლება და საბჭოთა არმია ჩათვალა.

9 აპრილის ტრაგედიისათვის პასუხისმგებლობა, გამოკითხულთა აზრით, უნდა დაეკისროს პარტიის ცენტრალურ ხელმძღვანელობას (81%), სამხედრო ხელისუფლებას (71%) და საქართველოს ხელისუფლებას (55%).

9 აპრილი, უწინარეს ყოვლისა, ოფიციალური იდეოლოგიის კატასტროფაა, რომელიც შეესაბამებოდა დიქტატორული რეჟიმის იდეოლოგიას და რომელიც ეყრდნობოდა დიქტატს, აზრის მონოპოლიას და დემაგოგიას.

9 აპრილის ტრაგედიამ ცხადყო, რომ საბჭოთა სინამდვილეში ჯერ კიდევ ძლიერადაა გამჯდარი ტოტალიტარული რეჟიმისათვის ჩვეული აზრი, რომლის მიხედვითაც ანტისაბჭოური მოწოდება ან სიტყვა უფრო დიდ დანაშაულად ითვლება, ვიდრე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა. არსებული რეჟიმის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების იდეოლოგია ფაქტობრივად უგულებელყოფს კონსტიტუციით აღიარებულ ძირეულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი თავისუფალ რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია. ასეთი იდეოლოგიის მიმდევარნი უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულად თვლიან იმ აზრსაც კი, რომ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკამ დააყენოს საკითხი კონსტიტუციის სათანადო მუხლის გამოყენებით სსრ კავშირის ფარგლებიდან გასვლის შესახებ.

9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთი უმძიმესი პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ ხალხს მკვეთრად დაუპირისპირდა არმია, რომელიც არაქართველი ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული.

კომისიას აუცილებლად მიაჩნია დაიშალოს ის სამხედრო შენაერთი, რომელმაც განახორციელა თბილისში საბჭოთა არმიისათვის შეუფერებელი ბარბაროსული აქცია.

საბოლოოდ კომისია ასკვნის:

9 აპრილს ქ. თქილისში ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესია საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. მას დამსჯელი ოპერაციის ხასიათი აქვს, წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა წინასწარ ორგანიზებულ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და აკრძალული ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. იგი შეიცავს საერთაშორისო დანაშაულს, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს".

მაშ, არ არის საოცრება?

ერთი შეხედვით, გარეგნულად, საბჭოთა კავშირმა მოჭრა ის ტოტი, რომელზედაც იჯდა, ანუ საკუთარი თავის წინააღმდეგ მოაწყო გაუგონარი, თავისავე თავისათვის სრულიად გაუმართლებელი პროვოკაცია, დაისამარა ხვალინდელი დღე!

საბჭოთა კავშირის ვერც ერთი მტერი ვერ ინატრებდა ამგვარ ოპერაციას. ვერასგზით ვერ ჩაიფიქრებდნენ და მით უმეტეს, ვერ განახორციელებდნენ!

ყოველივე ეს ჩინებულად მოახერხა შევარდნაძე-გორბაჩოვმა და კარგად მოზრდილი ორმო, უფრო სწორად სამარე გაუთხარეს საბჭოთა კავშირის არსებობას.

### ევროამერიკის და გორბაჩოვ-შევარდნაძის უპირველესი პრობლემა

დღეის ამას იქით, გორბაჩოვ-შევარდნაძის უპირველეს პრობლემად უკვე ზვიად გამსახურდია იქცა. მკითხველს ვთხოვ კიდევ ერთხელ გაისიგრძეგანოს, — რა საშინელ, ბნელ ძალასთან მოუხდა შეჯახება ზვიად გამსახურდიას...

შევარდნაძე ცოფს ჰყრიდა იმის გამოც, რომ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში ეროვნულმა ძალამ გაიმარჯვა, ხოლო იმან, რომ ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად 87 პროცენტმა აირჩია, მთლად გადარია და სიგიჟემდე მიიყვანა.

გარდა ამისა, მას მსოფლიო უფროსობა საყვედურობდა, რომ ძალისხმევას იშურებდა, რომ უსწრაფესად უნდა ემოქმედა, სანამ გამსახურდია თავს მოიმაგრებდა!

არადა, მსოფლიო, საქართველოს მთავრობის წინ ე.წ. ოპოზიციის მიტინგების ფონზე, იძულებული შეიქნა ნელ-ნელა დაეწყო თავისუფალი რესპუბლიკის აღიარება.

1990 წლის 14 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ გამოსვლიდან:

„ჩვენ უდიდესი მადლობა უნდა მივაგოთ ყველა ქართველს, და საქართველოს ერთგულ ყველა მოქალაქეს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინასაარჩევნო ბრძოლაში, იღვაწეს და გაისარჯნენ ეროვნული ძალების გამარჯვებისათვის, რამეთუ ეს გამარჯვება დემოკრატიის გამარჯვებაა".

„ჩვენდამი ოპოზიციურად დაპირისპირებული ბანაკიდან გაისმის მოწოდება, თითქოს ჩვენ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა გამოვაცხადოთ კოლონიურ ქვეყნად, რაც არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს კოლონიური სტატუსის მქონე ქვეყანა, სადაც ჩატარებულიყოს თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები და ეს ქვეყანა ამის შემდეგაც კოლონიად დარჩენილიყო. კოლონიური თვითმმართველობა ყოველთვის მეტროპოლიას ნიშნავს... სხვა საკითხია საქართველოს ცნობა ოკუპირებულ ქვეყნად".

„ჩვენ ვიბრძვით ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. ჩვენი სახელმწიფო წყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ჰელსინკის და ვენის საერ-თაშორისო შეთანხმებებს, რათა ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს მოქალაქეთა გარანტიების დასამკვიდრებლად... საბჭოთა პერიოდში საქართველო გამოცხადდა ეროვნებათა შერწყმისა და დიფუზიის თავისებურ ლაბორატორიად (ეს, რა თქმა უნდა, შევარდნაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. — ჯ.დ.).

„აუცილებელია აღდგეს ტრადიციული ფორმები სოფლის მეურნეობისა (რაც შევარდნაძემ მთლიანად გაანადგურა! — ჯ.დ.) ტრადიციული ფორმების (რის გაგონებაც ზაფრავს და აცოფებს ე.წ. ლიბერალურ დემოკრატიას! — ჯ.დ.) ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მევენახეობაზე (რაც დღეს ძლივსღა ითქვამს სულს! — ჯ.დ.), მეცხოველეობაზე და მარცვლეული კულტურების განვითარებაზე... უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა საბოტაჟის ფაქტებიც, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდი რაოდენობით აბარებენ პირუტყვს სასაკლაოებს და ხორცკომბინატებს, ყიდიან მანქანებს და სხვა ტექნიკას (ეს ამბავი შემდგომ უფრო გაძლიერდა, რათა საქართველო შეგნებულად გაეღატაკებინათ და ამას სათავეში ედგა ედუარდ შევარდნაძე! — ჯ.დ.)".

„ჩვენ ვაფრთხილებთ ყველას, მართალია ჩვენ გამოვაცხადეთ ეროვნული შერიგება და შემწყნარებლობა, რომ არავის განვიკითხავთ წარსული ცოდვებისათვის, მაგრამ ვინც ამიერიდან დაუპირისპირდება განახლების პროცესს ისევ კორუფციით, სპეკულაციით და საბოტაჟით გაამწვავებს ვითარებას, პასუხს აგებს ერისა და კანონის წინაშე".

„უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დამნაშავეობას ვთვლით სოციალურ პრობლემად, ვინაიდან მას წარმოშობს მახინჯი სოციალ-პოლიტიკური წყობილება, რომელშიც ვცხოვრობდით წლების მანძილზე. რელიგიის განადგურება, ზნეობის დაცემა, სულიერი იდეალების მივიწყება და გაუარესება — აი, დამნაშავეობის ნამდვილი საწყისები. დანაშაულის აღმოფხვრის, სოციალური ჰარმონიის დამყარების ერთადერთი გზა იცის ცივილიზებულმა კაცობრიობამ, ეს არის რელიგიის აღორძინება, ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ზნეობრივი იდეალების დამკვიდრება საზოგადოებაში".

„გადაუდებელია განათლების სისტემის რადიკალური რეფორმა. სასწრაფოდ უნდა გადაისინჯოს, უნდა გავაუქმოთ ყოვლად უსარგებლო და ზედმეტი დისციპლინები ე.წ. სსრ კავშირის ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმი, სოციალისტური პოლიტეკონომია, ე.წ. საზოგადოებათმცოდნეობა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და სხვანი. უნდა აღვადგინოთ საქართველოს ისტორია და გეოგრაფიის სრულფასოვანი სწავლება, უნდა გაფართოვდეს რელიგიური სწავლება, შეიქმნას საკვირაო, სამრევლო სკოლები და თეოლოგიური ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში".

„ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. დე იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის, რამეთუ საქართველოს დიდი მისია დააკისრა განგებამ. ქართველი ერი არნახული წამებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე. იგი ზნეობისა და სამართლიანობის ქომაგი იყო მუდამჟამს. მან ხორცი გასწირა სულისათვის, მან ჭეშმარიტების მსახურება დაისახა თავის უზენაეს მიზნად, რისთვისაც მრავალგზის ეწამა და იგვემა ბარბაროსთაგან, წარმართთაგან, მაგრამ მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა (რომელშიც კვლავ შეგვაბრუნეს 1991-1992 წლებიდან! — ჯ.დ.), რათა დამდგარიყო ჟამი მისი აღდგომისა, მისი გაბრწყინებისა მსოფლიოს ხალხთა წინაშე, რათა კაცობრიობა ეზიაროს ნათელს საქართველოსას ღვთით მომადლებულს. არ არის შორს ის დრო, როდესაც საქართველო იქცევა ზნეობრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხებისათვის... ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი მოძრაობა უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება, ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვებრძვით ულმერთობისა და უსამართლობის უკუნეთ ღამეს. ქართველი ერი არ წავა ბარაბას გზით, ულმერთობის, ავაზაკობის, ტერორიზმის გზით. ქართველი ერის გზა სათნოების გზაა, სიყვარულის გზაა, ქრისტეს გზაა".

ყოველივე ზემოთქმულის გამო და კიდევ მრავალი ამბის გამო, აშშ-ს პრეზიდენტი, მამა ბუში 1991 წლის დეკემბერში მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადებს:

„ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!"

რატომ? რატომ მიცურავდა ზვიად გამსახურდია „დინების საწინააღმდეგოდ"?

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ეს კითხვა მრავალჯერ დაისმება ჩვენს წიგნში და ამიტომ, მანამ მე გავცემ პასუხს, თქვენც, ჩემო მკითხველებო, იფიქრეთ. აბა ვნახოთ, დაემთხვევა თუ არა ჩვენი პასუხები!

### კავკასიამ უნდა იარსებოს, ოღონდ — მარადიულად მიჯაჭვულმა!

როგორც ვთქვი — ზვიად გამსახურდიამ იცოდა, რასაც უმზადებდნენ და ჯერ კიდევ 1991 წლის საახალწლო მიმართვაში, რომელიც ტელევიზიით გადაიცა, განაცხადა:

„მოახდინა თუ არა მოსკოვში მიმდინარე პროცესებმა რაიმე ზეგავლენა ჩვენს შინაურ პოლიტიკაზე? არ არის დასამალი, რომ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია შევარდნაძის გადადგომამ. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ამ გადადგომას ვერ მივცემთ სათანადო შეფასებას, სანამ იგი დაკმაყოფილებული არ იქნება ცენტრალური ხელმძღვანელობის მიერ. მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის გარკვეული მანევრი, რათა მას შეუქმნან კიდევ დიდი ავტორიტეტი, აამაღლონ მისი პოპულარობა და შემდეგ სცადონ მისი მეშვეობით საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა და შესაძლოა მისი ჩამოყვანაც საქართველოში, რასაც ჩვენ, რასაკვირველია სათანადო შეფასებას მივცემთ, როდესაც საჭირო იქნება“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №1, 1991 წ., 1 იანვარი).

ყველაზე სახიფათოდ ე.წ. წამყვანი ქვეყნების დიდმა თანამეგობრობამ ზვიად გამსახურდიას მიერ კავკასიის ხალხების გაერთიანების მცდელობა ჩათვალა.

მსოფლიოს ძველმა იმპერიებმა, თავის დროზე შექმნეს პრომეთეოსის მითი, რომლის მიხედვით, პრომეთე (ქართულად ამირანი!) მუდამ მიჯაჭვული უნდა იყოს, ცოცხალი იქნება, ოღონდ დაბმული! მისი აშვება, ანუ კავკასიის თავისუფლება უძველესმა იმპერიებმა უკვე საუკუნეების მიღმა უარყოფითად გადაწყვიტეს!

აღმოჩნდა, რომ ოცი საუკუნის შემდეგაც მთელი მსოფლიოს ე.წ. წამყვანი ქვეყნებიც თავიანთ წინამორბედთა მსგავსადვე ფიქრობდნენ.

1991 წლის გაზაფხულზე ზვიად გამსახურდიამ ოფიციალურად მიმართა კავკასიის ხალხებს (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №57, 1991 წ. 23 მარტი):

„კავკასია უნიკალური, მსოფლიო მნიშვნელობის ფენომენია თავისი მრავალფეროვნებით, თავისთავადი კულტურებით, ერებს შორის ურთიერთობის მყარად ჩამოყალიბებული ტრადიციებით, განუმეორებელი ისტორიით, ლანდშაფტით, ფლორითა და ფაუნით. სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა სარწმუნოების კავკასიელ ხალხებს შორის ეთნიკური სიძულვილი, ე.წ. „ეთნოკონფლიქტები“, ამ ერთა თანაარსებობის მანძილზე უცხო იყო... კავკასიელი ხალხები ისე მოხერხებულად გადაჰკიდეს ერთმანეთს, რომ ამჟამად კავკასიაში მცხოვრებ თითქმის ყოველ ხალხს იმპერიის მიერ თავსდატეხილი ყველა უბედურების მიზეზი მის გვერდით მცხოვრები სხვა ხალხი ჰგონია. ამგვარი ბოროტი ხერხებით ერთმანეთს წაკიდებულ ხალხთა შორის ურთიერთობა უკვე სახიფათოდ არის დაძაბული. მათ შორის მტრობას თანდათან აღვივებენ, ზოგან სისხლიც იღვრება, ცენტრი კი მოსყიდული ინფორმაციის საშუალებებით მთელ მსოფლიოს „უმტკიცებს“, უჩვენოდ ეს „ველური და კაციჭამია“ კავკასიელები ერთმანეთს მოსპობენო, თანაც მსოფლიოს უმალავენ იმას, რომ კავკასიელ ხალხებს უძველესი კულტურა და ჰუმანური ტრადიციები გააჩნიათ და სურთ ისინი „ტუზემცებად“ არ გამოაცხადონ (იმის მტკიცებაში, რომ კავკასიელები „ველურები და კაციჭამიები“ ვართ, ედუარდ შევარდნაძე უპირველესი გახლდათ! — ჯ.დ.).

ძვირფასო კავკასიელებო!

დროა გონს მოვეგოთ! ნუ გავებმევით ჩვენს საზიანოდ დაგებულ მახეში! მოვიგონოთ ჩვენი დიდებული წინაპრების სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა! აღვადგინოთ ძმობა, ურთიერთპატივისცემა და ნდობა. ნებისმიერი კავკასიელი ხალხის ბედი, ყველა კავკასიელის მშვიდობიან თანაცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები ისევ ჩვენივე ერთსულოვნებით, კავკასიაშივე უნდა წყდებოდეს. ამისათვის აუცილებელია კავკასიელ ხალხთა



ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია, დიალოგი, რათა ერთობლივ იქნეს შემუშავებული ერთიანი მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია... ჩვენი მიზანი იქნება კავკასიის კონსოლიდაცია, მისი განთავისუფლება და დაფუძნება მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა ოჯახში. ეს ასევე აღადგენს ჩვენს გულწრფელ მეგობრობას რუს ხალხთან, რომელიც თვით არის ტოტალიტარიზმის მსხვერპლი!

თქვენი თანხმობის შემთხვევაში კავკასიის ხალხთა ფორუმის დამფუძნებელი სხდომის მოწყობის ადგილისა და ზუსტი თარიღის შესახებ დამატებით გაუწყებთ.

გაუმარჯოს კავკასიელ ხალხთა ერთიან, ძმურ ოჯახს!

გაუმარჯოს ჩვენს ძმობას, ერთობასა და თავისუფლებას!

გვფარავდეს ღმერთი!“

ღმერთო ჩემო! მსოფლიოს ლიბერალურ-დემოკრატიულ თანამეგობრობას, როგორ ფიქრობთ, ამგვარი მიმართვა და შიგნით ჩადებული აზრი მოეწონებოდა?

ევროამერიკელებს გულზე დაეხატებოდათ კავკასიელების „გულწრფელი მეგობრობა რუს ხალხ-თან?“ და, ამ მიმართვის ტექსტს ედუარდ შევარდნაძე არ ჩაიდებდა ჯიბეში და ამერიკის პრეზიდენტს არ დაუდებდა მაგიდაზე? აბა, მამა ბუშმა რომ დაიძახა მსოფლიოს გასაგონად, „ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო“, მაშ, ვისი ჩაგონებული და ნამუშევარი იყო?

ამისი დამადასტურებელი ფაქტია ისიც, რომ კავკასიელი ხალხებისადმი მიმართვიდან სულ რაღაც ერთ კვირაში, 1991 წლის 29 მარტს, დღის სამ საათზე ამერიკიდან თბილისს და კერძოდ, უზენაეს საბჭოს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი და კარგად მოზრდილი დელეგაცია!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# skolis `ucxo sxeulebma~ oqmebis gegma ver Seasrules!



**მანდატური (ლათ. mandaturus) — ხელჯოხიანი.**

***ტერმინი — მანდატური ქართულ ისტორიულ წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში მანდატურის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები — ბოქაული და იასაული.***

2010 წლის აპრილიდან საჯარო სკოლებში "მანდატურიზაცია" დაიწყო. ხელისუფლების აზრით, სკოლებში მანდატურის შეყვანა წარმატებული პროექტია, თუმცა ამ მოსაზრებას ჰყავდა და ჰყავს ბევრი მოწინააღმდეგე. ბოლო დღეებში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ მანდატურის ხელფასი სექტემბრიდან პირდაპირპროპორციული იქნება მათ მიერ გამოწერილი ოქმების რაოდენობისა. გადავხედოთ, რა სპეციალობის ადამიანები მუშაობენ მანდატურებად, რა შემთხვევაში შეუძლიათ მათ ოქმების გამოწერა, როგორი მომზადება გაიარეს ამ სამსახურში მოსახვედრად და არგუმენტები აქვთ მანდატურთა მოწინააღმდეგეებს.



მანდატურად მუშაობის დაწყება შეეძლო უმაღლესი განათლების მქონე, ნებისმიერი პროფესიის, დიახ, ნებისმიერი პროფესიის, ადამიანს, რომელიც წარმატებით გაივლიდა სამთვიან ტრენინგ კურსს. ბოლო დროს, ამ სამუშაოს მისაღებად, ცოტა ხელის წაკვრაც გახდა საჭირო, რადგან მანდატურს საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს — მასწავლებელზე თითქმის სამჯერ მეტი. პედაგოგებს, არც თუ დაუმსახურებლად, სწყინთ კიდეც მანდატურის ხელფასი მათ ხელფასს ასე რომ აღემატება, არც ის სიამოვნებთ, მანდატურს შენიშვნის მიცემის უფლება რომ აქვს მასწავლებლისთვის მოსწავლეების თანდასწრებით. ამბობენ, ამითი ჩვენი ღირსებები კნინდებაო, ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ჩვენი — პედაგოგების შრომა ამ ქვეყანაში არასოდეს ფასობდა და არც დაფასდებაო. ზოგ სკოლაში მანდატურები მოსწონთ, ზოგ სკოლაში კი დერეფანში მანდატურის გამოჩენისთანავე ბავშვები და პედაგოგებიც კი საუბარს წყვეტენ.

კარგად მოგეხსენებათ, საჯარო სკოლების უმეტესობას ფსიქოლოგები აღარ ჰყავთ. სამაგიეროდ ყავთ სამთვიან ტრენინგ გავლილი მანდატურები. არადა, მოზარდებთან მუშაობა არც ისე ადვილია. აუცილებელია მოზარდის ფსიქიკურ თავისებურებებში ერკვეოდნენ — პიროვნების განვითარების როგორ ასაკში არიან ისინი, რა სტადიაზე რა თავისებურებანი ახასიათებთ, რა ემოციებით არიან დატვირთულნი ამა თუ იმ მომენტში, რა სპეციფიკისაა ესა თუ ის ასაკი. ყოველივე ამის ცოდნა, იმ ადამიანისთვის, რომელმაც ხვალ ან ზეგ თქვენს შვილს ოქმი უნდა გამოუწეროს — აუცილებელია. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის საკითხი, რადგან ესა თუ ის თემა უხერხულობასთან არის დაკავშირებული. ბევრ შემთხვევაში მოზარდს (ვისაც მთელი ცხოვრება წინ აქვს) შესაძლოა, გარკვეულწილად ჩრდილს აყენებდეს მისი ბიოგრაფიული ფაქტების საჯაროდ გამოტანა. ცალსახად იმის თქმა, რომ მანდატურიზაცია — ცუდია, არ შეიძლება. ამ ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, ბევრი სკოლა, მართლაც უფრო დისციპლინირებული გახდა. მაგრამ, მანდატური "პროფესორი" არ არის და არ შეიძლება მას ყველაფრის კონტროლი მივანდოთ. მანდატურს შეუძლია მცირე დაგვიანებაზეც კი ოქმი გამოწეროს, მაშინ როცა მასწავლებელს არ აქვს უფლება ბავშვს რამე მკაცრად მიუთითოს ან მოსთხოვოს, თორემ მასწავლებელსაც გამოუწერენ ოქმს. ნორმალური გადამზადების შემდეგ და **აუცილებლად ფსიქოლოგთან ერთად,** მანდატურის მუშაობა სკოლაში, ვფიქრობ, მართლაც ეფექტური იქნებოდა. ყველამ კარგად ვიცით, როგორ მუშაობდნენ ადრე სკოლებში ფსიქოლოგები. თითქმის არაფერს აკეთებდნენ, შესაბამისად, ჯერ ფსიქოლოგთა გადამზადება უნდა მომხდარიყო. იმაზეც უნდა გვეზრუნა, რომ შესაბამის სოციალურ მუშაკებს სკოლის გარეთაც შეემოწმებინათ და მიეხედათ ე.წ. „რთული“ ბავშვებისთვის.

დაუშვებელია მანდატურის ხელფასის ოდენობა მათ მიერ გამოწერილი ოქმების რაოდენობაზე იყოს დამოკიდებული. თუ აქამდე მანდატურს სკოლაში უცხო სხეულს უწოდებდნენ, ამ კანონის შემოღების შემდეგ მონსტრადაც მონათლავენ, რადგან უკვე ნამდვილად ველარ მოხერხდება მანდატურისა და მოსწავლეების ურთიერთობის პატივისცემაზე დამყარება. უკვე შიში იქნება მათი ურთიერთობის მთავარი წარმმართველი. მანდატური წესით მედიატორი უნდა იყოს კონფლიქტის დროს, უნდა შეეძლოს დამოძღვროს და დაარიგოს ბავშვი (რასაკვირველია, ეს მისი პიროვნული თვისებების დამსახურება იქნება და არა და ვერა სამთვიანი ტრენინგისა), მაგრამ თუ მანდატურის ხელფასი გამოწერილ ოქმებზე იქნება დამოკიდებული, მანდატური იძულებული გახდება ჩასაფრებული "გაიშნიკივით" დაელოდოს, როდის წაიტეხს ცხვირს ან კისერს ჩემი ან თქვენი შვილი, რომ მერე თავზე დაადგეს და ნიშნისმოგებით — აქაოდა გამოგიჭირეო — ოქმს გამოუწერს.

მე არ მინდა ჩემი შვილი მშიშარა მონად გავზარდო, რომ შემდეგ ბრბოს ნაწილი გახდეს. მინდა პატივს სცემდეს პედაგოგს და სკოლას, მინდა მხიარული იყოს და არა მოწყენილი, არა შეშინებული და დათრგუნული. მინდა ვაჟკაცი გამოვიდეს და არა ჩამშვები. მინდა ავისა და კარგის გარჩევა ისწავლოს და არა ყველაფრის და ყველას შიში.

მე არ მინდა ასეთი მანდატური!

არც შენ უნდა გჭირდებოდეს!

და ვისაც "მაღლა" ოქმები შემოაკლდა, იმის შვილს კიდევ გვარით ცნობენ სკოლაში (პატარა ქალაქია თბილისი) და რა ენაღვლება?!

**თამარ კეშელავა**

მოგზაურობა სამშობლოში





# 1000 wlis winandeli suraTebi

## ადიშის თემი

შემოდგომის კრიალა ცაა. ადიშში მეორე ჯადოსნური დილა გაგვითენდა. მდინარის მქუხარე ხმას მამლის ყივილი უერთდება.

კვლავ **„მაცხოვარს“** ვუტრიალებთ. იგი სოფლის უძველეს უბანში, სასაფლაოზე დგას. იქვეა გვიან ხანებში აგებული თუ აღდგენილი სამრეკლოც. **თავად „მაცხოვარი“ დიდი ეკლესია არაა (6,55X5,2 მ.), ნაგებია კარგად გათლილი შირიმის კვადრებით და ნათდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორი ვიწრო სარკმლით, რომელიც შიგნიდან ამბრაზურასავით ფართოვდება. ფასადები მთლიანად მოხატული ყოფილა, რასაც ადასტურებს სამხრეთ კედლის კარს ზევით, მთელ გაყოლებაზე შემორჩენილი ნალესი და მხატვრობის უმნიშვნელო კვალი.**

ტაძარი შიგნით მთლიანადაა მოხატული XI-XII საუკუნეთა მიჯნის ფრესკებით, რომელთაგან ერთ-ერთზე, კარის თავზე შესრულებული მიქაელ ჩეგიანის პორტრეტზე, წინა წერილში დაწვრილებით ვისაუბრეთ. საკურთხევლის კონქში მაცხოვრის ფრესკაა, დანარჩენ კედლებზე კი ბიბლიური სცენები და წმინდანებია მოხატული. მიუხედავად იმისა, რომ ჩაშავებული ფრესკებიდან მხოლოდ თეთრი და მოვარდისფრო ტონალობა და ხაზები იკითხება, მხატვრობას წუნი არ დაედება.

მოხატულია უძველესი, სამი თაღით გახსნილი ქვის კანკელი, რომლის წინ ქვის პოსტამენტში ჩადგმული დიდი ხის ჯვარია აღმართული. ქვის კანკელის ზურგზე პალეოგრაფმა ვალერიან სილოგავამ წაიკითხა ორი გრაფიტი (ნაკაწრი წარწერა), რომელშიც ნახსენები არიან **გიორგი ხოჭომანი** და **ივანე ხეშკიკელი.**

ჩვენ დაკვირვებულ მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, რომ წინა წერილში „მაცხოვარში“ შემონახული **სინელი ხუცესის** მოზრდილი წარწერაც მოვიტანეთ, მაგრამ ამ სასულიერო მოღვაწის სახელს სულ მალე კიდევ აღმოვაჩენთ, თუ სოფლის ჩრდ.აღმოსავლეთ უბანში მდგარ მთავარანგელოზების ეკლესიისკენ –„თარინგზელისკენ“ გავწევთ.

**„თარინგზელი“** მინიატურული საყდარია (4,9X4,2 მ), მაღალ ბორცვზე დგას და როგორც სვანეთის ძეგლთა უმეტესობა, თლილი შირიმის ქვითაა აშენებული. მიუხედავად იმისა, რომ ნაწილობრივ სუბსტრუქციაზე დგას, საყდარს მაინც დამუქრებია დანგრევა და ორი მხრიდან (ჩრდ;დასავ.) კონტრფორსებით გაუმაგრებიათ. მშენებლობის სტილით, „მაცხოვრის“ მსგავსად, ისიც XI-ის ძეგლია, ნათდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორი ვიწრო სარკმლით, ხოლო შესასვლელი დასავლეთ კედელშია გაჭრილი. ეკლესია შიგნიდან რამდენადმე პრიმიტულად არის მოხატული გვიან შუასაუკუნეებში, ჭარბობს აგურისფერი. საკურთხევლის წინ აქაც სამი თაღით გახსნილი ქვის კანკელი და დიდი ხის ჯვარია. ამ ტაძარში სინელი ხუცესი ორ ნაკაწრ წარწერაშია ნახსენები. პირველი გრაფიტი ასეთი შინაარსისაა: **„ქ. წმიდაო მთავარანგელოზო, შეიწყალე სინელი ხუცესი, მწარედ ცოდვილი, დღესა მას საშინელსა განკითხვისასა, ოდეს ღმერთი მიაგებდეს...“** ძალიან საინტერესოა მეორე გრაფიტი. იგი ათასი წლის წინათ მომხდარ ამბავს აცოცხლებს: **„ქრისტე შეიწყალე სინელი, იოვანეს თავისპოვასა წინათდღესა თოვლმან სახლი დაარღვია და ძელნი დალეწა“.** ხედავთ, რა უცნაური ამბავი მომხდარა 1000 წლის წინათ – აგვისტოში ისეთი თოვლი მოსულა, რომ სახლები დაუნგრევია!... ამ წარწერებიდან ჩვენ ბერის ვინაობაც დაგვაინტერესებს უთუოდ. **ეს ჩვეულებრივი, ერთ ეკლესია-მონასტერში მოღვაწე ბერი რომ არაა, ამას მარტოოდენ ადიშის ორ ეკლესიაში შემონახული მისი სახელი როდი ადასტურებს. სინელს ჩვენ აქამდე ქვემო სვანეთის (ლენტეხის რ-ნი) XI საუკუნის თეკალის (მამის)**



„ქაშვეთის“ საერთო ხედი ჩრდ. აღმოსავლეთიდან, წმინდა გიორგის ფრესკა ინტერიერში და საკურთხევლის აბსიდი

**„მაცხოვარშიც“ წავაწყდით, სადაც საღებავით წერია: „ქრისტე, შეიწყალე სინელი“.** სავარაუდოა, რომ სინელი ბერი XI საუკუნეში სინას მთიდან მოსული რომელიღაც უცნობი განმანათლებელი სასულიერო მოღვაწეა.

„თარინგზელის“ შიგნით XI საუკუნის კიდევ 7 გრაფიტია შემონახული, რომელიც ასევე ვ.სილოგავას აქვს ამოკითხული. ისინი სამხრეთ კედელზეა. ორ მათგანში მთავარანგელოზებს შეწყალებას სთხოვს ორი სხვადასხვა კვირიკე, ერთში – ამროლა და ერთშიც – იოანე. ორგან სახელი არ არის ამოკაწრული, ერთგან კი უცნაური ტექსტია: **„ერთი თირკუმელი შემიჭამია“.**

რას უნდა ნიშნავდეს ეს წარწერა და რა ისეთი აღსანიშნავია თირკმლის ჭამა (თანაც რის თირკმელზეა საუბარი?), რომ მომლოცველს საყდრის კედელზე ამოეკაწრა ეს ამბავი?

ცნობა თირკმლის, როგორც დაკლული საქონლის წმინდა ნაწილის, შესახებ სვანეთის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში რამდენჯერმე გვხვდება. იმასაც ამბობენ, რომ ზოგიერთი ეკლესიის საკურთხეველში ერთ დროს თირკმლის ფორმის ქვებს ისე ინახავდნენ, როგორც სიწმინდეს და სამკურნალო საშუალებას. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ საკითხთან დაკავშირებით ძველი აღთქმის ლევიტელთა წიგნის მესამე თავსაც იხსენებს. მასში ნათქვამია, რომ არონის ძეთა მღვდლები მოვალენი იყვნენ, საღვთოდ დაკლული საქონლის შემწვარი თირკმელი და ბადექონი თავიანთი ღმერთის საკურთხეველზე დაეწყოთ. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია, იუდეველთაგან დამოუკიდებლად, ქართულ წარმართულ რიტუალებშიც იყო და იგი მთამ შემოინახა. ეს რომ ასეა, ერთი სვანური ტრადიციაც ადასტურებს: **მოგეხსენებათ, საქართველოს ამ კუთხეში ნადირობა ვაჟკაცობის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ასე მაგალითად, გურამ ჩეგიანი, ვისაც ამ წერილების სერიალს ვუძღვნი, ისეთი სახელგანთქმული მონადირე იყო, რომ მურმან ლებანიძემ ლამის მთელი პოემა მის ვაჟკაცობას მიუძღვნა. გურამისგან გამიგონია და ახლა აქ, ადიშში შემახსენეს მხცოვანმა კაცებმა, რომ სანადიროდ წასული სვანი ისე არ გაუყვებოდა ჭიუხების გზას, სანამ წმინდა გიორგის ეკლესიაში არ ილოცებდა და მთავარმოწამისაგან ნადირობის ნებართვას არ მიიღებდა. ნადირობიდან დაბრუნებული სვანი ნანადირევის შემწვარ თირკმელს დიდი სიფრთხილით (მისი ძირს დაცემა და მწიკვლიანობა არ იქნებოდა) შეიტანდა ეკლესიაში. უკან გამობრუნებისას იგი მადლობის ნიშნად ნანადირევი ჯიხვის ან არჩვის საუკეთესო რქებს ტოვებდა საყდრის კარზე.**

როგორც ჩანს, გამონაკლის შემთხვევაში, მონადირეს მთავარანგელოზის ეკლესიაშიც შეეძლო შევლა, მაგრამ ერთი თირკმლის შეწირვა, ანუ ერთი ნანადირევი რა ისეთი ვაჟკაცობაა, რომ საყდრის კედელზე აღენიშნათ? როგორც ჩანს, მონადირე ამ ხეობიდან არ იყო და არც ის იცოდა, რომ წმინდა გიორგის ეკლესია სხვაგან იდგა. მან, როგორც შეძლო, გულწრფელად მოიხადა მონადირის მოკრძალებული ვალი. ეს ამბავიც, ათასი წლის წინათ მომხდარა...

... წმინდა გიორგის ეკლესია ადიშის სხვა უბანში, სოფლის სამხრეთ მონაკვეთში, ადიშჭალის მარცხენა, კლდოვან ნაპირზეა. მას **„ქაშვეთის წმინდა გიორგით“** მოიხსენებენ ადგილობრივები. იგი „თარინგზელის“ თანატოლია და ბევრი რამით ჰგავს მას. **სამხრეთი კედლით, მდინარის მხარეს, ისიც სუბსტრუქციას ეყრდნობა და შიგნიდანაც, მგონი, იგივე ოსტატის მოხატულია. მსგავსია კანკელი და მის წინ აღმართული ხის ჯვარიც. ერთადერთი, რაც „ქაშვეთს“ „თარინგზელისგან“ განასხვავებს, ჩრდილოეთი ფასადია, რომელიც მთლიანად წმ. თევდორეს და წმ. გიორგის ცხენოსანი ფიგურების ფრესკებს უკავია.** საინტერესოდ არის წარმოდგენილი მთავარმოწამე ინტერიერის მხატვრობაში, სადაც იგი, ფეხზე დგას. აქვეა წმინდა ბასილის მოზრდილი ფრესკაც.

ეკლესიის კარსა და კეხზე არჩვის რქებია დამაგრებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ადიშელები ამ მიმართულებით არჩვებზე სანადიროდ მიდიოდნენ. როგორც სოფელში ამიხსნეს, სწორედ ამ მხარესაა ადიშის ერთ დროს არჩვებით მდიდარი ველირალის მთა. ჯიხვებზე სანადირო ჭიუხები ადიშიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრალური კავკასიონის უმაღლესი მწვერვალებისკენაა. მომავალი მოგზაურობა სწორედ იქით გვაქვს დაგეგმილი.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

სოფელი ადიში და „თარინგზელის“ საერთო ხედი ჩრდ. დასავლეთიდან





# ambavi imis Sesaxeb, Tu rogor waarTves saakaSvilTan damegobrebis imediT Camotyuebul biznesmens foTis bazari da rogor gayves da gainawiles igi



ამას წინათ ერთი ჩემი ძველი ფოთელი ნაცნობი შემხვდა, და რას შვებით, რა ხდება ფოთში-მეთქი, რომ ვკითხე, პირველი, რაც მიპასუხა, ფოთის მერის შესახებ ანეკდოტი მომიყვა, რომელიც ფოთის ბაზარს უკავშირდებოდა. ანეკდოტს ყოველთვის აქვს საფუძველი. მაგრამ თბილისში, დაძაბული პოლიტიკური ეპიცენტრის შუაგულში, ფოთის ამბებით, შეიძლებოდა, არც დავინტერესებულიყავი, ინტერნეტპორტალ **„geonews.ge“-ზე** რომ ახალი ამბავს შემთხვევით არ წავწყდომოდი:

*„... წავიდა თუ არა მერი, ამაზე დაზუსტებული პასუხი არავის აქვს. ზოგის თქმით, ლემონჯავას ფოთში სტუმრად მყოფ სააკაშვილთან უთანხმოება მოსვლია, რის გამოც დღის წესრიგში მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი დადგა.* ***„Tspres.ge“****-ს ინფორმაციით, ვახტანგ ლემონჯავა ამ დროისთვის მერის საქმიანობას აგრძელებს. ის მერიაში იმყოფება და სამსახურიდან წასვლის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდულს უწოდებს. „სად გავრცელდა ეს ინფორმაცია, ბაზარში?“ — აცხადებს მერი და ამბობს, რომ მას კიდევ „ბევრი სამუშაო აქვს“.*

მაგრამ რატომ უნდა გავრცელებულიყო ინფორმაცია მაინცდამაინც ფოთის ბაზარში და რა შუაშია ბაზარი მერთან?

ბაზარი ფოთში ყველაზე ხალხმრავალი ადგილი და პორტის შემდეგ ყველაზე შემოსავლიანი ობიექტია. თვით ბაზრის გარშემო კი მავანთა ვნებათაღელვა, როგორც ჩემმა ფოთელმა ახლობელმა მითხრა, ერთი თვის წინ დაიწყო.

### „კოლხი-21“-ის ადმინისტრაციული „ოდისეა“

2005 წელს ფოთში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი აგრარული ბაზარი აშენდა. ძველი, საბჭოთა პერიოდში არსებული და უკვე მოძველებული სავაჭრო ინვენტარის, ანტისანიტარიის, უთავბოლობის ნაცვლად შპს „კოლხი-21“-ის ინიციატივით ყოფილი ბაზრის ტერიტორიაზე სამსართულიანი შენობა გაჩნდა.

ადრე მუხლებამდე ტალახში რომ იდგნენ მოვაჭრეები, ღორი და კაცი რომ ერთად ტრიალებდა, მოწესრიგდა ყველაფერი და ადამიანს ადამიანურ პირობებში მუშაობის საშულება მიეცაო, ამბობენ ახლა ფოთელები.

შედარებით ნორმალურ გარემოში იქ დასაქმდა 500-მდე ადამიანი, რომელთა უმეტესობა აფხაზეთიდან არის დევნილი. მათ შორის არიან ისეთებიც, ანუ სოციალურად დაუცველნი, რომლებსაც ბაზრის ხელმძღვანელობა გადასახადებისგან ათავისუფლებს. 2005 წლის შემდეგ ბაზრის ხელმძღვანელობამ იმდენი მოახერხა, რომ მოვაჭრეებს განახევრებულ გადასახადებს ახდევინებდა. ფოთის ბაზარი პორტის შემდეგ ქალაქში ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი და ხალხმრავალი ადგილი გახდა, იგი შპს-ს ეკუთვნოდა და შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ ავტონომიას ექვემდებარებოდა.

ჩვენს მიერ მოპოვებული დოკუმენტაციის მიხედვით, 2010 წელს ფოთის ბაზარმა საგადასახადო შემოწმება გაიარა. დოკუმენტაციის საფუძველზე ერთი თვის მაქსიმალური შემოსავალი მექანიკურად იქნა გადამრავლებული იმ თვეში დღეების რაოდენობაზე და ყველა თვეში მითითებული იქნა სხვადასხვა თანხა.

ამჟამად, 2012 წლის 26 მარტის მდგომარეობით, გადამხდელის პირად ბარათზე, საბოლოოდ ირიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება, რომელმაც 783 852 ლარი შეადგინა. სახელმწიფოს შეეძლო აეღო აღნიშნული დავალიანება, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, შპს-ს ქონება რატომღაც 2 მილიონ 880 ათასად შეაფასეს და გადასახდელადაც ეს თანხა დააკისრეს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით კი შპს „კოლხი-21-ის“ „ვი თი ბი ბანკი ჯორჯიას“ სასარგებლოდ 2 99356872 ლარი აქვს გადასახდელი, რაც შპს-ს ავტომატურ გაკოტრებას ნიშნავს.

ბაზრის ხელმძღვანელობისთვის, ცხადია, ეს თანხა არ იქნებოდა ისეთი ხელწამოსაკრავი, რომ გადახდის მიზანშეწონილობაზე პროტესტის გრძნობა არ გასჩენოდა და გასაჩივრდა საგადასახადო აქტი, მაგრამ საქართველოში ხომ „სახელმწიფო“ ყოველთვის მართალია?! ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ბაზრის ხელმძღვანელობამ, უბრალოდ, ვერ მიაღწია იმას, რომ საკითხი საფუძვლიანად განხილულიყო. სხვა გზა აღარ რჩებოდა, იძულებულნი გახდნენ საგადასახადო გარიგებაზე წასულიყვნენ. ბაზრის მესვეურებმა გარიგების საფუძველზე საგადასახადოს 170 000 ლარი შესთავაზეს, რაზეც სასტიკი უარი მიიღეს. იფიქრეს, ალბათ, თანხა ეცოტავათო, ბაზრის ხელმძღვანელობამ თავიანთი ობიექტის „გადასარჩენად“ ოჯახის წევრებისა და ნათესავების უძრავ-მოძრავი ქონება იპოთეკით დატვირთვა და ამჯერად 350 000 ლარი შესთავაზეს საგადასახადოს. რეფორმირებული საგადასახადო სტრუქტურა კვლავ უარზე იდგა. ბაზრის ხელმძღვანელობამ რწყილის და ჭიანჭველას ზღაპრის არ იყოს, ახლა სასამართლოს მიმართა საკითხის ობიექტურად გადაწყვეტაში დახმარებისთვის, მაგრამ, სანამ სასამართლო საკითხს განიხილავდა, მანამ სასწრაფოდ შეაფასეს ობიექტი 8 მილიონ დოლარად და გაასხვისეს. დაინტერესებული იკითხავს: ბოლოს და ბოლოს ვისზე გასხვისდა ბაზარი? სწორედ აქაა დამარხული, რომ იტყვიან, ძაღლის თავი. 8 მილიონი დოლარი არ არის ისეთი საყველპურო თანხა, ვინმეს ხელი რომ გაეკრა ჯიბეზე და დაუფიქრებლად ამოეღო საკუთარი ყულაბიდან. ამიტომ ფოთში არსებული „კრიმინალური“ ობიექტი — ფოთის აგრარული ბაზარი სახელმწიფომ, რომელიც ვითომდა კორუფციას ებრძვის და დაფარულ შემოსავლებს ხალხის სასარგებლოდ ააშკარავებს, ორად გაყო. ნაწილი „ვი თი ბი ბანკს“ დარჩა, ნაწილი — სახელმწიფოს.



### სადაო „შვილი“

ფოთის ბაზრის ამბავი სოლომონ ბრძენის იგავს მაგონებს — ორი ქალი მივიდა ბიბლიურ პატრიარქთან, მიიყვანეს ჩვილი. ორივე ირწმუნება — არა ჩემია ბავშვი, არა — ჩემიო. მაშინ ბრძენს უთქვამს — გაჭერით ჩვილი შუაში, ნაწილი ერთს მიეცით, ნაწილი — მეორესო. მაშინ წამომხტარა ნამდვილი დედა და უთქვამს — ასეთი რამ არ ჩაიდინოთ, დაე, ბავშვი ცოცხალი იყოსო.

ეს ამბავი იმაზე გამახსენდა, რომ ბაზრის ნამდვილი მეპატრონეები, რომელთაგან მხოლოდ ნოდარ კორსანტიას ტელეფონის ნომერს მივაკვლიე, ისიც კი პასუხს შეკითხვებზე არ იძლევა და დუმს. სატელეფონო საუბრისას მხოლოდ ეს თქვა: მე დღესაც ვპატრონობ ბაზარს, თუმცა უკვე სხვის სახელზეა გადაფორმებული, რა ვქნა, ჩემს ნაშრომს ვერ ვიმეტებ, იმდენი ოფლი მაქვს იქ დაღვრილი, ამ განუკითხაობისთვის უბრალოდ, მენანებაო.

მოკლედ, ბაზრის ნაწილი რამდენადაც გავარკვიე, ეკუთვნის „ვი თი ბი ბანკს“, ნაწილი — სახელმწიფოს, რომელმაც თავისი წილი ეკონომიკის სამინისტროს გადაულოცა. სახელმწიფომ თვითონ შეაფასა საკუთარივე კანონის დარღვევით, რადგან შპს-მ უნდა მოიწვიოს დამოუკიდებელი შემფასებელი, რათა კერძო საკუთრების უფლება არ დაირღვეს. ერთი სიტყვით, მიუხედავად ბაზრის დამფუძნებელთა არაერთი მცდელობისა, სახელმწიფო ამ შემთხვევაშიც არ აღმოჩნდა სოლომონ ბრძენისნაირი მართალი და გონიერი და შუაში „გაჭრა“ ბაზარი. ნაწილი ბანკს, ნაწილი — ეკონომიკის სამინისტროს. როგორც გავიგე, ბანკს რამდენიმე დღის წინ აუქციონი გაუმართავს ბაზრის ნაწილის გასხვისებაზე, ეკონომიკის სამინისტროს კი დარჩა ბაზრის დარჩენილი ნაწილი, რომელსაც ბანკის სოლიდური ვალი აქვს. ხვალ რომ ეკონომიკის სამინისტრომ ობიექტის ნაწილი ვინმეს გადასცეს, ის ბიუჯეტში კარგა ხანს ვერაფერს შეიტანს, რადგან ბანკის ვალები ექნება გასასტუმრებელი, ბანკი კი რუსეთის ფედერაციის კუთვნილებაა.



### ტყუილზე დაფუძნებული აღმშენებლობა გრძელდება

საქართველოს პრეზიდენტად წოდებულმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი საპრეზიდენტო კარიერიდან სულ ცოტა ხანში ხმამაღლა გამოაცხადა: ვინც საქართველოში 50 000 დოლარის ინვესტიციას ჩადებს, ჩემი უახლოესი მეგობარი ავტომატურად ხდებაო. შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის სამარცხვინო უღლის გადაგდების შემდეგ სააკაშვილთან მეგობრობას ბევრი შეძლებული ქართველი დახარბდა მაშინ, ძირითადად, ისინი, ვინც უცხოეთში ცხოვრობდნენ. ჩემი ფოთელი ინფორმატორის ცნობით, ფოთის აგრარული ბაზრის რეკონსტრუქცია და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა მოსკოვში მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილმა ნოდარ კორსანტიამ ითავა.

მართალია, **„geonews.ge“** ინფორმაციაში ფოთის მერი ვახტანგ ლემონჯავა აცხადებს, რომ მის შესახებ ფოთის ბაზარში ლაპარაკობენ, მაგრამ, ზუსტად ფოთელებმა მითხრეს, რომ, შესაძლოა, ამ მსხვილი სავაჭრო ობიექტით სწორედ ფოთის ნაციონალი ხელმძღვანელობა იყოს დაინტერესებული.

ეს ხომ მათი ჩვეული მეთოდია?! ააშენებინებენ, გააკეთებინებენ, მერე წაართმევენ და მიითვისებენ...

ვახტანგ ლემონჯავა, რომლის სახელსაც ფოთში არაერთი უსამართლობა უკავშირდება, ნაციონალურმა მოძრაობამ ჩხოროწყუს მაჟორიტარ დეპუტატად დაასახელა. რომელი კეთილი საქმეების გამო აირჩევენ ჩხოროწყუელები ფოთის ყოფილ მერს, ახალ ნაციონალ მაჟორიტარს, ეს კიდევ საკითხავია, მაგრამ ჯერ გავიხსენოთ, რა მოხდა დეზერტირების ბაზართან დაკავშირებით, ტელევიზიით აჩვენებდნენ გორის ბაზრის მოვაჭრეთა წივილკივილს, მეპატრონეს იქაც ძალით წაართვეს კუთვნილი ქონება, ხაშურის ბაზარზე აღარ შევჩერდებით...

მაგრამ ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ ეს ამბავი არ მომხდარა 5 ან 7 წლის წინ, მაშინ, როცა ნაციონალები „დემოკრატიის მშენებლობას“ ეს-ესაა იწყებდნენ, ეს ისტორია დაახლოებით, ერთი თვის წინ მოხდა, როცა მთელი ქვეყანა საარჩევნო მარათონშია ჩართული და ნაციონალები დაპირებებს დაპირებებზე იძლევიან. როგორც მგელი არ მოიშლის მგლობას, ისე ესენი ვერ გამოსწორდებიან — მათი ხასიათია უკვე წაღლეტა, დატაცება, სხვისი ქონების დაყაჩაღება-დაყადაღება და ასე გრძელდება უკვე 8 წელიწადია...

ფოთის ბაზრის შესახებ, როგორც გითხარით, შემთხვევით გავიგე, ვინ იცის, რამდენი ასეთი და უფრო უარესი რამ მოხდა და მის შესახებ საზოგადოებამ ვერაფერი შეიტყო?! ჩემს მიერ ჩატარებული ამჟამინდელი ჟურნალისტური კვლევა, შესაძლოა, ზღვაში წვეთი იყოს ფოთის ბაზრის ისტორიის დეტალებთან დაკავშირებით, რადგან ხელისუფლებამ ყველაფერი საინფორმაციო საშუალებებისგან დაფარულად, ჩუმად განახორციელა. თუ ასეთი კრიმინალური საშინელებები და სახელმწიფო დანაშაული ხდებოდა ფოთის ბაზარში ისე, რომ მისი გაკოტრება და შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაგლეჯა აუცილებელი იყო, რატომ ვერ გაიგო ამ კრიმინალის შესახებ მანამდე საზოგადოებამ? ამიტომ დიდად მოხარული ვიქნები თუ ფოთის ბაზრის მესვეურები დამიკავშირდებიან. მაშინ ჩვენს მკითხველს ხელისუფლების ძალმომრეობაზე უფრო დეტალურ ინფორმაციებს მივაწვდით. მოკლედ, კითხვები ბევრია და პასუხი, ცხადია, ქვეყნის ხელმძღვანელობას და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მეთაურებს უნდა მოეკითხოთ...

**ირანდა კალანდაძე**







# თავსატეხი

ვერტიკალურად: აჩიჩა, არიასი, ავარია, გუდია, თოდუხი, ილიადა, კუნძულ ის იკი, ოპერა, ტეჯრი, ფანტა, ყაიმაზარია, ნესტო ცეცხლი, ზვეზი.

ჰორიზონტალურად: აგარა, ალუბი, აჯგია, ბრისკ, გუნდა, დახლი, ქმარი, ეთიოპ, ზუმბა, იუნგა, კრისი, ნესტა, ოდიში, პიონი, რეტრო, რონდო, სოფია, ტრიაკი, ჭვიშა, შეიხი, ჩალმა, ცხარე, ჯამბა.

# სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. სიხუმე, მუხუდო, ნიკელი. 2. ხელვაძე, მონაკო, ბახუსი. 3. კამათი, დუმილი, თამადა. 4. ნაბდი, რელსი, პატენა. 5. მჩადი, მუშტი, მაისი. 6. ნიარმალი, ნაარადი, ნაქსოსი. 11. ცეზზა, ლორეული, სავზი. 12. პეპუტი და კეპლა, ბუნგა. 13. კასეტა, შალახი, ცისანა. 14. ლუკარა, ლაგრა, ლუნეტი. 15. ზრუმი, ცანგა, პლასკ. 16. რისკი, რადიო, რეჩდა. 17. ელამი, ათასი, ალიკი.

ჰორიზონტალურად: 3. ტანკისტი, თარგმანი, ფალავანი. 7. ბებერი, წიქარა, ტორიალა. 8. სარაყინი, კალამბური, მადლიანი. 9. მურადი, კვლევრი, ტოპხანა. 10. კვაჭი, ლორდი, ლაისი. 12. კათოლი, ბიკოლა, ხიხუსი. 15. პორტალი, პლატონი, პიცერია. 18. კოსტა, ეროტი, პალტო. 19. კრეტი, შრუტიო, როზიო. 20. კიო, ნოე, ხია. 21. ბურჩი, ლიმადი, ზურგი. 22. ბუხარი, მოშიში, ბუტონი.

# შიფრვორდი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

**მთვარისა კევლიშვილი.**

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— არის თუ არა მემკვიდრე ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი?**

— ასეთი შეკითხვა ძალიან ხშირად შემოდის „საერთო გაზეთის“ რედაქციაში.

ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი არის მემკვიდრე, თუ მამობა აღიარებულია ნებაყოფლობით ან დადგენილია სასამართლო წესით.

* * *

**— სამოქალაქო საქმეზე შეტანილი მაქვს სააპელაციო საჩივარი, შემიძლია თუ არა უარი ვთქვა მასზე?**

— შეგიძლიათ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 378-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შემდეგაც მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

* * *

**— შემიძლია თუ არა სააპელაციო სასამართლოში წარვადგინო ახალი ფაქტები და მტკიცებულებები?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილ იქნეს ახალი მტკიცებულებები.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

* * *

**— რას ნიშნავს, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დისპოზიციურობის პრინციპი?**

— მოგახსენებთ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის I ნაწილი: მხარეები იუწყებიან საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად: სარჩელის, ან განცხადების შეტანის გზით, ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

II ნაწილი: მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგეობით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს— ცნოს სარჩელი.

* * *

**— სად უნდა წარვადგინოთ სარჩელი ალიმენტის გადახდის შესახებ?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**— სად უნდა წარვადგინოთ სარჩელი, როდესაც რამდენიმე მოპასუხეა და ისინი სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ?**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის I ნაწილის მიხედვით, სარჩელი რამდენიმე მოპა-



სუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

* * *

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას შეადგენს პროცესის ხარჯებს?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოს გარეშე ხარჯები.

II ნაწილი: სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

III ნაწილი: სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური) მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

* * *

**— სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, რა ითვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ:

ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;

ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;

გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;

დ) სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;

ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;

ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას;

ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის, ანდა მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს.

# facebook

# xalxis azriT

მიშამ ამერიკელების რჩევა ხელისუფლების გადაბარებასთან დაკავშირებით გაითვალისწინა და ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად ვანო მერაბიშვილს გადააბარა.....დროებით.

აბა, მეორადი მინისტრების ფუთები იაფად!!!

ნეტა ახლა რაღას გვეტყვის ეკონომიკის მამად წოდებული დემაგოგი კახა ბენდუქიძე? ის, რაც არ შეიძლება ბიძინა ივანიშვილისთვის, თურმე, ნუ იტყვით და შესაძლებელი ყოფილა ვანო მერაბიშვილისთვის, რომელმაც, მიუხედავად მეტყველების დეფექტისა, სხაპა-სხუპით გაიმეორა ბიძინას დაპირებები, მათ შორის ბენდუს მიერ სასაცილოდ აგდებული დასაქმება, სოფლის მეურნეობის განვითარება და, რაც ყველაზე მთავარია, საყოველთაო დაზღვევა.... რაო, კახა!!! არ გიჯერებენ? დავაი ეხლა, სკამი გამოიცვალე... ცუდ საჯდომზე ზიხარ... გადმოვარდები )))))

რაზე ვგიჟდები იცით, ეკონომიკის სამინისტრო, რომელიც არის მოუქნელი და უმოქმედო რეალურად იმის გამო, რომ 6 სამინისტროა გაერთიანებული და ვისი ვისაშია არავინ არ იცის, იმას არ ანაწევრებენ და ხსნიან (პიარზე გათვლილ) გაურკვეველი ფუნქციის „დასაქმების სამინისტროს“, მარაზმია უკვე ეს ყველაფერი და გულის ამრევიიიიიიიიიიიი...

დასაქმება უკვე დაიწყო. პაატა ტრაპაიძე დასაქმების მინისტრად დაინიშნა. მინისტრს აპარატი, მძღოლი, მდივანი ხომ უნდა და კიდევ რამდენიმე ადამიანი დასაქმდება. ვაშაააააააააააააააააააა

ეს 1000 ლარიანი ვაუჩერი რაღაა? ადრე არჩევნების წინ დასაქმების პროგრამებს რომ აცხადებდნენ, თვეში ორას-ორას ლარს არიგებდნენ, ჯამში 600-ს. ნუთუ ჩვენი ფასი გაიზარდა?

დასაქმების სამინისტროო??? აბა, წინ მივდივართ და ეკონომიკა ყვავისო?! რა გავიგეთ ამ ბოლო ხანებში ნაცებისგან: ბანკები ხალხს წეწავენ, უმუშევრობა დიდი პრობლემაა, სოფლის მეურნეობა სასწრაფოდ მისახედია, ხალხს მკურნალობის ფული არა აქვს... უკაცრავად და 9 წელიწადი რას აკეთებდნენ მაშინ და ვინც ნაცებს მისცემს ხმას, რა დაუნი უნდა იყოს, აზრზე ხართ?)))

უკაცრავად, უმუშევრობა ბეჭებზე როგორ უნდა დადოს ამ ხელისუფლებამ? ააააააააა, ზონდერებს აცემინებენ?

ხელმისაწვდომი ჯანდაცვა, დასაქმება და სოფლის აღორძინება,- ვანო მერაბიშვილისა და ბიძინა ივანიშვილის პრიორიტეტები,ერთი მოქმედი პრემიერია,მეორე მომლოდინე.

დიდი ხნის წინ ჭკვიანმა ხალხმა თქვა და მეც გავიმეორე თვეების წინ აქ (აბა, მიშას ხომ არ დავესესხებოდი?!): როცა პოლიტიკური მმართველის სახე კარიკატურად იქცევა, მისი ამბავი დასრულებულია. ეს დაემართა სააკაშვილს და ახლა როგორ გამოძვრეს მშვიდობიანად, არ იცის. ახლა დაწყებულია საფუძვლიანი კამპანია ვანოსთან დაკავშირებით

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხდება ვანო მერაბიშვილი, რომელიც წარმატებული ნომერ პირველი სუბოტექსის ბიზნესმენია, ასე რომ ვთქვათ — „ბარიგა“.. სუბოტექსის ფასი საფრანგეთის შავ ბაზარზე 2 ევროა, საქართველოს შავ ბაზარზე 500-600 ლარი და ამ ბიზნესის უშუალო მაკონტროლებელი ვანო მერაბიშვილია თავის ფრანგ პარტნიორთან ერთად — ყოფილ პრეზიდენტთან, ნიკოლა სარკოზისთან ერთად...

ახლა ვანო ქადაგებს თუ მიშა დადაბლდა და გამელოტდა? :))

აუქციონია საქართველოში: ვანიჩკას დაპირება: 1000 ლარიანი ვაუჩერი ყველა ოჯახს და 4 მილიარდი ლარი სოფლის განვითარებისთვის! :))))))))))))) აბა, ვის გინდათ კიდე ხელისუფლებაში მოსვლა? ??? ?????????

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს მწერალ რევაზ ართილაყვას

**მეუღლის - დარეჯანის**

გარდაცვალების გამო.



# Tiniko kikutaZis mogoneba

ორი წელიწადი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, მძიმე ტკივილი დაგვიტოვე შენი ოჯახის წევრებს და ახლობლებს, იყავი პატიოსანი, განათლებული, მშრომელი, ჭირსა და ლხინში გვერდით მდგომი ადამიანი... ყველას გვახსოვხარ.

შენი გარდაცვალების დღეს ყვავილებით შევამკობთ შენს საფლავს. რა დაუნდობელი ყოფილა ეს წუთისოფელი... ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო ტკივილო, თიკო.

**ოჯახი**

## უჩვეულო ქორწინება



ფოტოგრაფი და რეჟისორი სემ ტეილორ-ვუდი და აარონ ჯონსონი ერთი კვირის წინ ცოლ-ქმარი გახდნენ. ისინი უკვე სამი წელიწადია ერთად ცხოვრობენ და ორი საერთო შვილიც ჰყავთ.

ბრიტანელი ფოტოგრაფი და რეჟისორი სემი ტეილორი მსახიობ აარონ ჯონსონს 45 წლის ასაკში გაჰყვა ცოლად. აარონი სულ რაღაც 22 წლისაა და ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე დაუმეგობრდნენ. ფილმი „ბიჭუნა არსაიდან“ ჯონ ლენონის ბავშვობის წლებს მიეძღვნა. აარონ ჯონსონი ამ ფილმში მთავარ როლს ასრულებს.

ისინი, როგორც გითხარით, სამი წელიწადია ერთად ცხოვრობენ, ჰყავთ ორი გოგონა, ერთი 2010 წელს დაიბადა, მეორე – 2012 წლის იანვარში. წინა ქორწინებიდან ტეილორს ორი გოგონა ჰყავს, ისინი 15 და 7 წლისანი არიან.

## თევზი – გოლიათი, რომლისაც ნიანგსაც „ეშინია“



ჯერემი უაიდმა ახლახან გოლიათი თევზი დაიჭირა. ეს თევზი საშიშ პირანიათა ჯიშს მიეკუთვნება თავისი სიდიდით და ბასრი კბილებით. თევზი ისეთი სიდიდისაა, რომ მას თავისუფლად შეუძლია თავს ნიანგსაც კი დაესხას. მისი წონა 45 კგ-ია, სიგრძე, დაახლოებით, 2 მეტრი. თევზი – მტაცებელი იმ რეპტილიათა რიგს მიეკუთვნება, რომელთა სიგრძე, საშუალოდ, 145 ფუნტი, ხოლო სიგანე– 5 მეტრია, ამ ჯიშის თევზები მდინარის ნამდვილ მტაცებლებად ითვლებიან.

თევზი-გოლიათი მდინარე კონგოს ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს, ასეთი თევზების 80 პროცენტს მსოფლიოს სხვა მდინარეებსა და წყალსაცავებში სხვაგან ვერსად ნახავთ.

„თევზ-მონსტრს“, როგორიც იქაურები ეძახიან, შეუძლია იცუროს ყველაზე წყალმარჩხ მდინარეებშიც კი, იკვებოს შედარებით მცირე ზომის თევზებით და იცუროს დინების საწინააღმდეგოდ. მას შეუძლია დაიჭიროს ისეთი თევზებიც, რომლებიც წყალში ნაკლები ვიბრირებით გამოირჩევიან, რაც მათ, ხშირ შემთხვევაში, შეუმჩნეველს ხდის.

კონგოში 686 ჯიშის თევზი ბინადრობს. ამიტომაც ველური ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდი განსაკუთრებით იცავს ამ მდინარეს და მასში მობინადრე თევზებს, წყალმცენარეებს და მდინარის სხვა სიცოცხლისუნარიან ორგანიზმებს.

მაგალითად, ცხენისებურ თევზს, რომელიც აქ ბინადრობს, კუდზე ელექტრული ორგანო აქვს, რომელიც მას ნავიგაციასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილებაში ეხმარება.

## ოჰ, ეს ტატუ!



ბარსელონას კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ბოლო წლებში ტატუირების მოცილების მსურველთა რიცხვი 81 პროცენტით გაიზარდა. ერთი კვადრატული ტატუირების მოცილება 200 ევრო ღირს, ხოლო უფრო ფართო და ფერადი ტატუირებისა – 1500 ევრომდე.

„ტატუირების მოცილება უფრო მტკივნეული და ძვირია, ვიდრე მისი გაკეთება“, – ამბობს კლინიკის დირექტორი რაფაელ სერენა.

„ერთხელ მამაკაცი მოვიდა, რომელსაც სურდა მოგვეცილებინა მის ტანზე ამოსვირინგებული ეშმაკის გამოსახულება, იმიტომ, რომ ადგილობრივი მღვდელი მას ეკლესიაში არ უშვებდა სალოცავად. ამ ნახატის მოცილებას დიდი დრო დასჭირდა, მედიკოსებმა ოფლი ღვარეს, პაციენტი ძლივს გადაურჩა სიკვდილს“, – აცხადებს რაფაელ სერენა.

**შესწორება:** „საერთო გაზეთის“ №29, 27.VI-3.VII.2012 წ. სტატიაში „დღეს არც ხელისუფლებაში, არც ოპოზიციაში და არც ჩემს გარშემო არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩემი წამალი არ სჭირდებოდეს“, მკურნალ მანანა ჭყონიას ტელეფონის ნომერი არასწორია. ქალბატონ მანანას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნომერზე: 593 56 90 50

## ქიშმიში გასუქებისგან იცავს?



ქიშმიში ერთ-ერთი მსუყე საკვებია, რომელიც შეგიძლიათ მიირთვათ და დაგანაყრებთ.

ახალი კვლევების მიხედვით, რომელიც კანადის კვების ცენტრის თანამშრომლებმა ჩაატარეს, აღმოჩნდა, რომ 8-11 წლამდე ბავშვებს, რომლებიც ცდისპირებად ჰყავდათ, კვებავდნენ მხოლოდ ქიშმიშით, ყურძნით, კარტოფილის ჩიპსებით და შოკოლადის ნამცხვრებით, აღმოჩნდა, რომ ქიშმიშის მჭამელები უფრო დანაყრებულნი იყვნენ, ვიდრე სხვა დანარჩენი საკვებით დაკმაყოფილებულნი. აღმოჩნდა, რომ ქიშმიში ადამიანს ანაყრებს, არ ასუქებს, უნარჩუნებს წონას და ჯანმრთელობას.

## რით განსხვავდება სიყვარული და სექსი?



კონკორდიის უნივერსიტეტის თანამშრომლები კარგა ხანს იკვლევდნენ, რა იწვევს სიყვარულს და სექსუალურ მოთხოვნილებებს. კვლევაში მოხალისეები მონაწილეობდნენ, რომელთაც აჩვენებდნენ საყვარელი ადამიანების ფოტოებს, შემდეგ ახდენდნენ მათი ტვინის სკანირებას.

აღმოჩნდა, რომ სექსუალური მოთხოვნილებები ტვინში მსგავსია, როგორც ჭამის მოთხოვნილება.

სიყვარულის გრძნობა დაჯილდოებისა და კმაყოფილების გრძნობის იდენტურია. სიყვარულის გრძნობა ყველაზე მეტად ექვემდებარება მიჩვევას და იგი ნარკოდამოკიდებულივით მიჯაჭვულია იდენტურ შეგრძნებებზე.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – თავს ძალა დაატანეთ, რათა დასახული მიზნისკენ სვლა არ შეაჩეროთ. ახალი საქმეების დაწყებამდე სჯობს, ჯერ ადრე დაწყებული საქმეები დაასრულოთ. ეცადეთ არ გაიფუჭოთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. ეს კარგი პერიოდია უცხოელებთან ურთიერთობისათვის.

**კურო** – დროულად დაასრულეთ ძველი საქმეები და ახალი მეთოდებიც გამოიყენეთ. ამ დროს მოგზაურობა კარგს არაფერს გიქადის.

**ტყუპები** – შეუზღუდავი თავისუფლების მოთხოვნა კრიზისულ მდგომარეობას გამოიწვევს, ეცადეთ, მშობლებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ.

**კირჩხიბი** – გაიზრდება თქვენი პოპულარობა. დამოუკიდებლად აზროვნება და შემოქმედება გარკვეულ შემოსავალსაც გპირდებათ. პრობლემები გამოწვეული იქნება საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან ხანგრძლივი ჩხუბით.

**ლომი** – მთელ დროსა და ძალას სახლის საქმეებზე ნუ დახარჯავთ. ფინანსების გამო შესაძლოა, უსიამოვნება მოგივიდეთ საყვარელ ადამიანთან. ეცადეთ, არ აჰყვეთ გარშემო მყოფებს და გეგმები არ ჩაგეშლებათ.

**ქალწული** – გარკვეული მოვლენები არ მოგცემთ საშუალებას, შეიცვალოთ სამსახური ან ხელი მიჰყოთ საყვარელ საქმეს. დამაკმაყიფილებელი იქნება ფინანსური მდგომარეობა.

**სასწორი** – შემოქმედებითი სამუშაო, მოლაპარაკებები და ხანგრძლივი მოგზაურობა მოგებას მოგიტანთ. ეცადეთ მიიღოთ ახალი ინფორმაცია და ის სასიკეთოდ გამოიყენოთ.

**მორიელი** – მთელი ენერგია მიმართული იქნება შემოსავლის გაზრდისკენ, თავი შეიკავეთ რისკისგან და ეცადეთ, არ აჰყვეთ ცდუნებებს. სასიყვარულო პარტნიორმა შეიძლება იმედები გაგიცრუოთ.

**მშვილდოსანი** – თამამად შეგიძლიათ, შეუდგეს თქვენი გეგმების განხორციელებისთვის მზადებას. პარტნიორული ურთიერთობების დასამყარებლად უცნობებთან საქმეს ნუ დაიჭერთ, რათა არავინ მოგატყუოთ.

**თხის რქა** – ნუ გამოიყენებთ გადაუმოწნებელ ინფორმაციას, განსაკუთრებით საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით. ახალი საქმის დაწყებისას დახმარებისთვის მიმართეთ ახლო ნათესავებს ან მეგობრებს.

**მერწყული** – ბევრ მოულოდნელ ამბავს შეიტყობთ, მაგრამ არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად სჯობს არაფერი შეცვალოთ. ეცადეთ საყვარელ ადამიანთან არ დაუშვათ შეცდომები.

**თევზები** – ეცადეთ, აღადგინოთ ძველი კავშირები და საზოგადოებაში დაიმკვიდროთ მნიშვნელოვანი ადგილი. მიზნები დაუკავშირდება ახალ ჩანაფიქრებს და განსხვავებულ საქმიანობას, ერიდეთ ხალხის თავშეყრის ადგილებს და მოგზაურობას.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**
**სკანვორდი**

1. ნიკარაგუა. 2. ბოლტონი. 3. ბილი. 4. ლენდროვერი. 5. ორინოკო. 6. მოჰიკანი. 7. ლორანი. 8. ლორდოზი. 9. ოზი. 10. ნუმიზმატიკა. 11. შტაზი. 12. ჩოგანი. 13. ავრორა. 14. როდ. 15. რაკრაკი. 16. ღულუნი. 17. ღაზა. 18. მარკონი. 19. გრივნა. 20. კურტაკი. 21. არაჟანი. 22. კარუზო. 23. პრიკაზი. 24. კონსიერჟი. 25. პაიკი. 26. პარი. 27. კაისა. 28. გასმანი. 29. პანაგია. 30. ნიმეიერი. 31. კაპოტი. 32. იონიკა. 33. ანტრაშა.34. იპო. 35. არითმია. 36. ინტუიცია. 37. სილიკოზი. 38. ლაგომაჯორე. 39. ტანგენსი. 40. ლევილი. 41. აფრიკაანსი. 42. არამეული. 43. თეატრალი. 44. ხეშეში. 45. ჯაკარტა. 46. ტრალი. 47. რიალი. 48. შამფური. 49. რაფლეზია. 50. უფსკრული. 51. დილა. 52. დამა. 53. შრიალი. 54. ტესლა. 55 ლუი. 56. ტრაბახი. 57. სენეკა. 58. ესმა. 59. ბიმეტალი. 60. სვავი. 61. ბარტერი. 62. სვემა. 63. საიდა. 64. ხუანხე. 65. ნოველა. 66. ავსტრალია. 67. ხოკერი.